გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
პარასკევი, 24 ივნისი, 2005 წელი.
№148 (5181)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

„ცოფების ყრა“ პარლამენტში

იხ. მე-2 გვ.

◎ ვიზიტი

საქართველოს პრეზიდენტი ნილ ბუშს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ძმას ნილ ბუშს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ნილ ბუშმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი საქართველოში კერძო ვიზიტით იმყოფება და ძირითადად განათლების სფეროთი ინტერესდება.

„მე მაქვს კერძო ფირმა, რომელიც განათლების სფეროში საქმიანობს, ამიტომ დაინტერესებული ვარ თქვენს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმებით“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტის ძმამ.

მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტთან მას კონკრეტულ ბიზნეს-პროექტებზე არ უსაუბრია. „ბიზნესის შესახებ საუბარი მხოლოდ რეკომენდაციებისა და ინფორმაციების გაცვლის დონეზე გვქონდა“, — აღნიშნა ბუშმა.

ის გუშინ განათლების მინისტრს ალექსანდრე ლომაიასაც შეხვდა.

ინტერპრესნიუსი.

ქართული სახელმწიფოს მაჯისცემა

ისრაელი სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას დაეხმარება

საქართველოში ისრაელის საელჩოს ეგიდითა და ისრაელის ელჩის შაბთაი ცურის ხელშეწყობით, საქართველოს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა ისრაელის სახელმწიფოდან ჰუმანიტარულ ტვირთს მიიღებს. ტვირთის პირველი ნაწილი (10 ტონა) თბილისში დღეს ჩამოვა. ჰუმანიტარული ტვირთის დანარჩენ ნაწილს — მედიკამენტებსა და სხვა პირველადი მოხმარების საგნებს საქართველო მომავალი 10 დღის განმავლობაში მიიღებს.

ტვირთის პირველ ნაწილს თბილისში, დღეს, დილით, უსასყიდლოდ ჩამოიტანს ისრაელის ავიაკომპანია „არკია-ისრაელის ავიახაზების“ თვითმფრინავი. ამ რეისით ავიაკომპანია „არკია-ისრაელის ავიახაზები“ რეგულარულ რეისებს განაახლებს თელავივი-თბილისი-თელავივის მიმართულებით. ამავე რეისით, თბილისში ისრაელიდან 40-კაციანი დელეგაცია ჩამოვა.

საქართველოში ისრაელის ელჩის შაბთაი ცურის განცხადებით, „არკია-ისრაელის ავიახაზების“ რეგულარული რეისების განახლება ხელს შეუწყობს ისრაელიდან საქართველოში მეტი ტურისტის ჩამოსვლას. გაიზრდება საქართველოდან ისრაელში მიმავალ ტურისტთა რიცხვიც.

ნინო ბურჯანაძეს ჩინეთიდან 20 მლნ იუანი მოაქვს

ჩინეთის ხელისუფლება საქართველოს 20 მილიონ იუანს საჩუქრად გამოუყოფს.

ეს გადაწყვეტილება ჩინეთის ხელისუფლებამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ოფიციალური ვიზიტის მიმდინარეობისას მიიღო.

ჩინეთის ხელისუფლების მიერ 20 მლნ. იუანის გამოყოფის თაობაზე განცხადება ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ უ ბანგომ და სახელმწიფო საბჭოს წევრმა ტან ციზუანმა პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ გააკეთეს.

ვიზიტის მსვლელობისას ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ორმაგი დაბეგვრის შესახებ, რაც ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ბურჯანაძემ ჩინურ მხარეს საქართველოში ინვესტიციების ჩადება შესთავაზა.

პარლამენტის თავმჯდომარე საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად თბილისში დღეს დაბრუნდება.

ვლადისლავ არძინბა მოსკოვში საიდუმლოდ გადაიყვანეს

ალცჰაიმერის ავადმყოფობით დაავადებული აფხაზეთის უღიარებელი რესპუბლიკის ექს-პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა სამკურნალოდ სოხუმიდან მოსკოვში საიდუმლო ვითარებაში გადაიყვანეს.

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის ხელისუფლებაში მოღვაწე არც ერთი ოფიციალური პირი არ ადასტურებს ინფორმაციას, აფხაზეთის უღიარებელი რესპუბლიკის „პირველი პრეზიდენტის“ ვლადისლავ არძინბას ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესების შესახებ, სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულმა წყარომ ინტერპრესნიუსს აცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ექს-პრეზიდენტის ოჯახის წევრებმა ჯანმრთელობაშერყეული ვლადისლავ არძინბა სოხუმიდან ადლერში, საიდუმლო ვითარებაში ვერტმფრენით, შემდგომ კი მოსკოვში გადააფრინეს.

იმავე წყაროს მტკიცებით, სოხუმში გავრცელებული ინფორმაციით ვლადისლავ არძინბას მოსკოვში სასწრაფო გადაყვანა მისთვის ისრაელის ერთ-ერთ კლინიკაში დაგეგმილ ოპერაციას უკავშირდება.

დაზუსტებული ინფორმაციით, უკანასკნელ ხანს ვლადისლავ არძინბა მამისეულ სახლში, სოხუმის რაიონის სოფელ ქვემო ეშერაში დაცვის სამსახურისა და მედიკოსების მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა.

ინტერპრესნიუსი.

◎ ერიჯა!

დასაჯეს... ერთგულებისთვის?!

ადამიანის ბედი, მისი სოციალური დაცვა ნებისმიერი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავია. მით უფრო აუცილებელია ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე პროფესიონალის მოვლა-გაფრთხილება. ამ ანბანურ ჭეშმარიტებას თვით დღევანდელი ხელისუფლებაც წარამარა შეგვახსენებს, მაგრამ... სიტყვა სხვაა, საქმე სხვა. ათასობით ადამიანი უმიზეზოდ კარგავს სამსახურს. ზოგიერთს გაუფრთხილებლადაც კი ათავისუფლებენ...

იხ. მე-4 გვ.

ეგდოს თქვენს სეიფში...

ნაჯახი რას დამაკლებდა, ხიდანვე გამოთლილ ტარზე რომ არ იყოს დაგებულიო, — ამოუკვნესია ხეს.

ვერც „ნიპეკი“ გაგვაცუცურაკებდა და გვიჩვენებდა ბრანწს, ჩვენებურები რომ არ შეშველებოდნენ. თუმცა, ისიც საკითხავია, ჩვენებურები შეეშველნენ, თუ პირიქით — თავად გამოიყენეს ეს რუსეთული კომპანია საკუთარი ანგარებითი მიზნებისთვის!



„დავდივარ მშიერ-მწყურვალი, სიცოცხლე-გაძაღლებული, ხავსსაც ვერ ვებღაუჭები, ისე ვარ წყალწაღებული“. — ერთი შესანიშნავი პოეტისა არ იყოს, სწორედ ამგვარ სიტუაციაში ჩაუგდია „ნიპეკ“-ჩვენებურთა დუეტს ჩვენი ავტორი.

იხ. მე-4 გვ.

◎ აკრძალული ზონა

„ობშიაკი მართლაც არსებობს. მას 200-წლოვანი ისტორია აქვს“

იუსტიციის მინისტრის მოადგილეს დავით დარახველიძეს თურმე არ უყვარს, აღიზიანებს სიტყვა „ამბობენ“. სიყვარულის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ სიტყვას ჟურნალისტებმა ხშირად რომ არ მოვუხმოთ, ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა გაგვარკვიონ. პენიტენციურ სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე სასაუბროდ სწორედ დავით დარახველიძეს მივმართეთ და მისგან დაწუნებული სიტყვაც არაერთხელ მოვიმარჯვეთ...

იხ. მე-2 გვ.

◎ დაბრუნება

ინტერპრესმა ნიუსი მიიმატა

საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ახალი ამბების სააგენტო ინტერპრესის შემოქმედებითი გუნდი, რომელიც ცოტა ხანს „შეყოვნდა“, ქართულ მედია ბაზარს დამოუკიდებელი, განახლებული ახალი ამბების სააგენტოს — ინტერპრესნიუსის სახელით დაუბრუნდა. ინტერპრესის მუშაობით დამკვეთი ყოველთვის კმაყოფილი იყო და ამ დამკვეთთა რიცხვი ალბათ კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან „ახალი კოლექტივი“, ჩანს, არაერთ საინტერესო სიახლეს შემოგვთავაზებს. ვესაუბრებით ინტერპრესნიუსის მთავარ რედაქტორს ბაია ცანავას.

იხ. მე-2 გვ.

◎ საზღვარგარეთ

ბაქოში ტელეკომპანია „როსიას“ თანამშრომლის მაქსიმ კორჟოვის გვამი იპოვეს. ის „არკადი მამონტოვის საავტორო გადაცემის“ მთავარი პროდიუსერი იყო. გვამი ბაქოს ცენტრის ერთ-ერთ კეთილმოწყობილ ბინაში აღმოაჩინეს. მკვლელობის მიზეზს ჯერჯერობით არ ასახელებენ.

* * *

რუსეთისა და ბელორუსის ხელისუფალნი ემზადებიან ერთობლივ კონსტიტუციაზე ხელმოსაწერად. ორი ქვეყნის კავშირის სახელმწიფო მდივანი პავლე ბოროდინი ნოემბერში რეფერენდუმზე გაიტანს ამ საკითხს და დარწმუნებულია, რომ რუსი და ბელორუსი ხალხი წინადადებას მხარს დაუჭერს...



* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ქალაქში 5 წლის გოგონა სარეცხ მანქანაში ჩაიხრჩო. პოლიცია გაოგნებულია, ვერაფრით აუხსნია, როგორ შეძვრა მანქანაში გოგონა და შიგნიდან როგორ ჩაკეტა სარქველი. ტრაგედიის ერთადერთი თვითმხილველი არის გოგონას 14 წლის ძმა...





ბილ ქლინთონი

ჩემი ცხოვრება

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ბილ ქლინთონის წიგნმა — „ჩემი ცხოვრება“, რომელიც უკვე გახდა ბესტსელერი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, როგორც იქნა, ჩვენამდეც მოაღწია.

ქვემოთ გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ წიგნიდან, რომლის ავტორიც არის ერთ-ერთი იმ ყველაზე არაორდინარულ ადამიანთა შორის, თანამედროვე მსოფლიოს რეალიები რომ განსაზღვრეს.

იხ. მე-6 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„არგუმენტი ი ფაქტი“. (იბეჭდება შემოკლებით).

იააპ დე ჰოოპ სჰეფერი: „უბრალოდ, არ გვეყოფა ჯარისკაცები იმისთვის, რომ ყველგან განვალაგოთ ბაზები!“

ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სჰეფერმა მოსკოვში ჩამოსვლის წინ მისცა ექსკლუზიური ინტერვიუ „არგუმენტი ი ფაქტის“ კორესპონდენტს გიორგი ზოტოვს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

— მსურს, პირველმა დაგისვათ კითხვა, რომელსაც მოსკოვში კიდევ ალბათ მრავალჯერ გაიგებთ: გაწევრიანდებიან თუ არა ნატოში საქართველო და უკრაინა?

— ასე გიპასუხებდით: ნატოს კარი ყველასთვის ღიაა. მაგრამ ახლა გამიჭირდება იმის თქმა, თუ კონკრეტულად როდის მოხდება ნატოში საქართველოს და უკრაინის გაწევრიანება. ერთმნიშვნელოვნად შემიძლია აღვნიშნო, რომ ეს ქვეყნები ჯერჯერობით არ არიან მზად ნატოსთვის. რა თქმა უნდა, განვაგრძობთ ჩვენს პარტნიორობას, კვლავ გადავდგამთ ნაბიჯებს ერთმანეთის შესახვედრად, მაგრამ ეს ისე მალე არ მოხდება, როგორც საქართველოს და უკრაინას სურთ. ჩვენმა მეგობრებმა ჯერ უნდა გადაწყვიტონ, თუ რომელ გზას აირჩევენ სამომავლოდ, და ამიტომ, მარტო სურვილი ნატოში გაწევრიანებისთვის საკმარისი არ არის.

— თქვენთვის თუ არის ცნობილი, რომ ნატოს რუსეთში დღემდე აქვს მტრის იმიჯი?

— რა თქმა უნდა, ვიცი! მაგრამ ჩვენ ბევრს ვმუშაობთ რუსეთში ნატოს იმიჯის განმტკიცებისთვის, კარგი იქნება, თუ მოსკოვიც გადმოდგამს შემხვედრ ნაბიჯებს. რა თქმა უნდა, 50-წლიან დაპირისპირებას, ერთი ხელის დაკვრით ვერ დავივიწყებთ. მით უმეტეს, რომ ვიცი: დიახ, ნატო რუსეთში დღემდე არ უყვართ. მაგრამ ჩემს გულისტკივილს იწვევს კიდევ ერთი რამ: მრავალ ადამიანს დღემდე ვერ გაუგია, რომ ჩვენი მეტოქეობა წარსულს ჩაბარდა, ახლა აღარ არსებობს არც „ცივი ომი“ და არც საბჭოთა კავშირი. რეალობა კი ასეთია: ნატო რუსეთის მეგობარია.

— ასეთ შემთხვევაში, ნატოს გაფართოება აღმოსავლეთისკენ ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მას სურს რუსეთს თავისი ახალი მეგობრები შემოარტყას გარს?

— მე მესმის, რომ ახალი ქვეყნების შესვლა ნატოში რუსეთს დიდად არ მოსწონს, მაგრამ ჩვენ კარი ღია გვაქვს დიალოგისთვის. მიმაჩნია, რომ რუსეთთან ძალზე კარგი ურთიერთობა გვაქვს. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერს არ ვეთანხმებით, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მეგობრებს შორისაც შეიძლება მოხდეს კამათი. აბა, რომელი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი მიიჩნევს ნატოს რუსეთის მტრად? ჩვენ არ ვემუქრებით ერთმანეთს რაკეტებით, არ გვაქვს ერთმანეთის ტერიტორიებზე შეჭრის გეგმა. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს! არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ XXI საუკუნის ნატო დიდად განსხვავდება იმ ორგანიზაციისგან, რომელიც 50 წლის წინათ არსებობდა.

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 148. პარასკევი, 24 ივნისი, 2005 წელი.

◉ კანონმდებლები

„ცოფების ყრა“ პარლამენტში

პოლემიკა თბილისის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ბოკერიასეულ ვარიანტზე გაიმართა, თუმცა ოპოზიციამ კანონპროექტზე მეტად მისი ავტორის, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკას დაუთმო დრო.

მერი არჩევითია, – ამტკიცებდა საპარლამენტო უმრავლესობა.

თბილისის მოსახლეობას მერის არჩევის უფლებას ართმევენ – ასე ფიქრობს ოპოზიცია.

გიგა ბოკერიას კანონპროექტის თანახმად, მერი საკრებულომ უნდა აირჩიოს, ოპოზიცია კი მერის – პირდაპირი გზით, საკრებულოს წევრთა პროპორციული წესით არჩევას და ორდონიან თვითმმართველობას მოითხოვდა. სწორედ ეს პრინციპები აისახა მამუკა კაციტაძის ალტერნატიულ კანონპროექტში, რომელიც პარლამენტმა ჩააგდო. ბოკერიას კანონპროექტის თანახმად, საკრებულოს წევრები შერეული წესით – მაჟორიტარულ-პროპორციულით აირჩევა. 25 ადამიანი მაჟორიტარული სისტემით აირჩევა, ხოლო 12 – პროპორციულით. ეს, გიგა ბოკერიას თქმით, გარკვეული კომპენსაცია იქნება იმ პარტიებისთვის, რომლებიც 4-პროცენტიან ბარიერს კი

გადალახავენ, მაგრამ მაჟორიტარებს ვერ გაიყვანენ. ეს „კომპენსაცია“ ოპოზიციას დიდად არ მოსწონს, რადგან, დარწმუნებულია, რომ საკრებულო ერთპარტიულად დაკომპლექტდება. თავის გამოსვლაში ბოკერიამ ურცხვი ტყუილი უწოდა ოპონენტთა „სულელურ“ მტკიცებას, თითქოს ხელისუფლებას არ სურს, მერი არჩევითი იყოს და მოსახლეობას არადემოკრატიულ მოდელს სთავაზობს. მან 2002 წელიც გაიხსენა, როცა „შევარდნაძის მიერ ნაყიდმა“ მემარჯვენეებმა და მრეწველებმა „პოლიტიკური უზნეობა“ გამოიჩინეს და ასეთივე შინაარსის კანონპროექტი ჩააგდეს.

მწვავე სიტყვებით გაჯერებული გამოსვლის დასრულებისთანავე ოპოზიციამ ბოკერიას კრიტიკულ „დახასიათებას“ მიჰყო ხელი. პირველ რიგში, უსაყვედურეს, ასეთი გაუწონასწორებელი ლაპარაკი არ გმართებსო. გამყრელიძემ ამ „ცოფების ყრაში“ სუსტი პოზიციის გადაფარვის მცდელობა დაინახა. ბოკერიამ კი აღიარა, ემოციური ადამიანი ვარ და უზნეობას რომ ვხედავ, ზოგჯერ ვერ ვახერხებ თავის შეკავებასო, მე პიროვნულ შეურაცხყოფას თავს ვარიდებ, მაგრამ მოვლენებზე პოლიტიკურ შეფასებას ვიძლევი, რაც პატიოსანი კაცის მოვალეობა არისო...

უარყოფითი ემოციების ფრქვევა რამდენიმე საათს გაგრძელდა.

– იმაში, რაც დღეს ამ დარბაზში ხდება, მეც მიმიძღვის წილი და დიდია ჩემი პასუხისმგებლობა. ხშირად ვფიქრობ – ეს გვინდოდა, ამისთვის ვიბრძოდით, როცა რევოლუციაში მივიღეთ მონაწილეობა? „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა დაპირებები დაივიწყეს, გასდით და იმიტომ. დღეს ჩვენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ – გადავიქცეთ ვირგვინად დემოკრატიის კუბოზე და ამით სიამოვნება მივანიჭოთ ავტორიტარული რეჟიმის აქ მყოფ წარმომადგენლებს, თუ ისევ ვიბრძოლოთ დემოკრატიისთვის? – ეს დილემა კობა დავითაშვილს ბოკერიას გამოსვლამ გადააჭრევინა:

– ვყოყმანობდი, ხომ არ ღირს, პოლიტიკურ ბრძოლას თავი დავანებო-მეთქი, მაგრამ როცა დღეს შევხედე გიგა ბოკერიას ძარღვგაწყვეტილ შუბლს, მივიღე გადაწყვეტილება, რომ ბრძოლა ბოლომდე უნდა გაგრძელდეს.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს არც ზვიად ძიძიგურმა დააკლო „შემკობა“.

– ბატონმა ბოკერიამ ბრძანა, პატიოსანი კაცის მოვალეობაა, პოლიტიკურად შეაფასოს ამა თუ იმ პარტიის, პიროვნების გავლილი გზა. მე ჩემს თავს პატიოსან კაცად მივიჩნევ და ვფიქრობ, ბატონ ბოკერიას მთელი ბიოგრაფია არის ურცხვობა, ცინიზმი და უსინდისობა.

როცა ვიცე-სპიკერმა ძიძიგურს კორექტულობისკენ მოუწოდა, მან ისევ ბოკერიას სიტყვები მოიშველია – „პოლიტიკურ შეფასებას“ ვაძლევ და არ ვაპირებ, ჭკუა დავარიგო ბატონ გიგას, ეს უკვე დაგვიანებულიაო.

უმრავლესობის წევრმა ნიკა გვარამიამ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ საკითხის მოსმენა სამართლებრივიდან პოლიტიკურ ჭრილში გადავიდა. ოპოზიციას კანონპროექტის საწინააღმდეგო არც ერთი არგუმენტი არ დაუსახელებია, მხოლოდ შელავათებს ითხოვს, ეს კი არ მიეცემათო, – წყალი გადაწურა.

თამაშის წესებს ჩვენ ვამკვიდრებთ, – უმრავლესობის ეს ტონი დავით ბერძენიშვილმა „ერთჯერადი დეპუტატობის“ ცნობიერებას მიაწერა. სააკაშვილი გვყავს და ვერავინ მოგვერევა – ესეც ამ ცნობიერების გამოვლინებაა, ბერძენიშვილის თქმით.

– გაერთიანდით და შემდეგ გვებრძოლეთ. მაგრამ თქვენ ვერ გაერთიანდებით, რადგან ყველას პირველობა გსურთ, სკამებს ვერ თმობთ, – „დაამუნათა“ ოპოზიციონერები ბესო ჯუღელმა.

ლანძღვის კორიანტელის შემდეგ კენჭისყრის დროც დადგა. ჯერ კაციტაძის ალტერნატიულ კანონპროექტს უყარეს კენჭი. მისი ჩავარდნის შემდეგ დავით გამყრელიძემ უმრავლესობა დარბაზიდან გალალა – ათი წუთით შეისვენეთ, ოპოზიციის წარმომადგენლებმა უნდა მოვითათბიროთო.

– ჩვენ ვემიჯნებით ერთპარტიულ დიქტატს, – ასეთი იყო ოპოზიციონერთა მოთათბირების შედეგი. დავით გამყრელიძემ („ახალი მემარჯვენეები“), კობა დავითაშვილმა („კონსერვატორები“), დავით ბერძენიშვილმა („რესპუბლიკური პარტია“), ზურაბ ტყემალაძემ („მრეწველები“) და თემურ დოლიშვილმა („ლეიბორისტული პარტია“) უარი განაცხადეს საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობაზე, თუკი უმრავლესობა კანონპროექტს გაიტანდა.

მომხრე – 129;

მოწინააღმდეგე – 22.

ასეთი შედეგით გავიდა კანონპროექტი.

როგორც ჩანს, თბილისს საკრებულოს ერთპარტიული არჩევნები ელის.

რუსუდან გახარია.

◉ აკრძალული ზონა

„ობშიაკი“ მართლაც არსებობს. მას 200-წლოვანი ისტორია აქვს“

(პირველი გვერდიდან)

– ბატონო დავით, როგორ შეაფასებდით სასჯელაღსრულების სისტემაში სადღესიოდ არსებულ მდგომარეობას?

– ის, რომ საპყრობილეები გადატვირთულია, იუსტიციის სამინისტროს ბრალი სულაც არაა, მოსამართლის ბრძანებაზეა დაყრდნობილი. ჩვენ, უბრალოდ, დარაჯის ფუნქციას ვასრულებთ. რაც შეეხება სისუფთავეს, ეს პატიმრის ნებას უკავშირდება.

– დღეს აქტიურად ლაპარაკობენ საპყრობილეებში გამეფებულ მოსაკრებლებზე...

– „ობშიაკი“ არის ის თანხა, რომელსაც კრებენ არასახელმწიფო სამსახურებთან დაკავშირებული პირები. ეს პენიტენციურ სისტემას არ უკავშირდება. მე არ მინახავს, სად იკრიბება „ობშიაკი“. უბრალოდ, როგორც თქვენ, მეც ისევე ვიცი, რომ რაღაც თანხა ხმარდება პატიმრების გარკვეულ ნაწილს, მაგრამ ეს ჩემი თვალით არ მინახავს.

– ცხადია, არც არავინ განახებთ, მაგრამ ეს ხომ ასეა?

– რამდენადაც ჩემთვის სანდო წყაროებიდან არის ცნობილი, ე.წ.„ობშიაკი“ მართლაც არსებობს, რომელსაც 200-წლოვანი ისტორია აქვს.

– „ობშიაკის“ გარდა თანხები იკრიბება სხვა პროცესების დასარეგულირებლადაც, ვთქვათ, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადასაყვანადაც...

– მას შემდეგ, რაც „რესპალნიცაში“ ახალი ხელმძღვანელობა დაინიშნა, მსგავსი შემთხვევები აღარ გვქონია. სამი კვირაა, ამ დაწესებულებას ონკოლოგი გურამ მენთეშაშვილი ხელმძღვანელობს.

– სამი კვირა ასეთი ფაქტების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად მცირე დროა?

– თანხების მოკრება ოდესღაც იქ მართლა ხდებოდა, მაგრამ დღეს ამაზე აღარავინ საუბრობს.

– ამბობენ, თანხას იხდიან ის პატიმრებიც, რომლებსაც კეთილმოწყობილ საკანში ყოფნა სურთო...

– მე შემიძლია გესაუბროთ იმ საპატიმრო დაწესებულებებზე, რომლებსაც ჩემი ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს დანიშნული პირები ხელმძღვანელობენ.

– თქვენ ორი თვეა ამ თანამდებობაზე მუშაობთ, შეიძლება ზოგ ობიექტზე ძველი კადრები არიან, მაგრამ თქვენ, როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილე, არ ხართ მათზე პასუხისმგებელი?

– როგორ არა, პასუხისმგებელი ვარ, თანდათანობით ყველგან ვცვლით არსებულ მდგომარეობას.

– რადგან აღიარეთ, რომ ყველა დაწესებულებაზე ხართ პასუხისმგებელი, მაშინ გამეცით პასუხი, – რა ჯდება კარგ საკანში გადაყვანა?

– როგორც ჩემთვის ცნობილია, № 1 საპყრობილეში მხოლოდ ერთი საკანი არსებობს, სადაც შედარებით კარგი პირობებია. ის მეხუთე სართულზე მდებარეობს № 5-1. ადრე იყო № 4-9.

– მაგრამ პირველ სართულზეც რომ არის მსგავსი საკანი?

– შეიძლება არის, მაგრამ თქვენ რომ გაერკვეთ, თუ რას ნიშნავს პრივილეგიური საკნები, გეტყვით: თუ პიროვნებას აქვს კარგი მატერიალური შესაძლებლობა და საკანში არსებული მდგომარეობა არ მოსწონს, ის თვითონ არემონტებს მას.

– ეს კანონით არ იკრძალება?

– არა. თუ ვინმეს უნდა, რომ თავისი საკანი უკეთესად გამოიყურებოდეს, ამას საკუთარი სახსრებით აკეთებს, ეს კოსმეტიკური რემონტი 50-100 ლარი უჯდებათ.

– შიგა მოსაკრებლები, თუნდაც იგივე „ობშჩიაკი“, გარეთ არ გამოდის?

– არ ვიცი, მაგაში არ ვარ ჩახედული. ქურდები ანგარიშს არ მაბარებენ.

– მაშინ, რაშიც ჩახედული ხართ, იმაზე ვისაუბროთ. რა ეშველებათ ამ პატიმრებს, ერთმანეთს ზედ რომ ასხედან, მორიგეობით სძინავთ, აკლიათ საკვები, მედიკამენტები...

– ერთდროულად ოთხ თანამედროვე სტანდარტების ციხეს ვაშენებთ და ზაფხულის ბოლოს № 1 საპყრობილის პატიმრები ასეთ მძიმე პირობებში აღარ იქნებიან.

– მაგრამ როგორც ვიცი, № 1 საპყრობილიდან პატიმრებს ქუთაისსა და რუსთავში გადაიყვანენ...

– სამაგიეროდ, განიტვირთება. არასრულწლოვანებს ქალთა კოლონიის ტერიტორიაზე ახალაშენებულ საპყრობილეში გადაიყვანენ, საკასაციო პატიმრებს კი ავჭალაში გაამწესებენ. თბილისში ამ წლის ბოლოსთვის დასრულდება ახალი საპყრობილის მშენებლობა.

– დღეს № 1 საპყრობილე გადატვირთულია 1500 კაცით, ამ ზაფხულს 400 ადამიანის გადაყვანა დიდი ვერაფერი ბედენაა, თქვენ თუ გჯერათ, რომ წლის ბოლოს თბილისში ახალი ციხე მზად იქნება, რომლისთვისაც... ჯერ ადგილიც არ არის გამონახული? თანხებზე აღარ ვსაუბრობ...

– კი, ამ წლის ბოლოს ეს გაკეთდება, ოთხი თვის წინათ კი არავინ იცოდა, რომ ოთხი ახალი ციხის მშენებლობა დასრულდებოდა...

– ახლახან № 7 საპყრობილეში ინციდენტი მოხდა, რის გამოც ციხის უფროსის მოადგილეს დავით ვარდოსანიძეს სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს, რა მოხდა რეალურად?

– სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ონიანი რამდენიმე პირთან ერთად შევიდა № 7 საპყრობილეში და პატიმართან საუბრისას ფარული კამერა გამოიყენა. მას სთხოვეს შეეწყვიტა გადაღება. ამაზე ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მასთან შელაპარაკება მოუვიდათ. ყველაფერი ფიზიკური შეურაცხყოფით დასრულდა. იქ ენახე ტანზე მაისურშემოგლეჯილი კონტროლიორი, რომლის მობილური ტელეფონიც დაბლა ეგდო, ონიანმა განაცხადა, ამ პიროვნებამ თვითონ შემოიხია ტანსაცმელი და მობილურიც დაახეთქაო. რაც შეეხება ვარდოსანიძეს, მან გიორგი ონიანი რამდენიმე პირთან ერთად დააკავა და გადაღების საშუალება არ მისცა. მას ბრალად ედება ორი და მეტი პირისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა.

– ჰქონდა თუ არა ვარდოსანიძეს უფლება ფარული კამერით არ შეეშვა ონიანი საპყრობილის ტერიტორიაზე და დაეკავებინა იგი?

– ეს საკამათო თემაა, ამას გამოძიება დაადგენს...

– იუსტიციის სამინისტროს ზედამხედველობის 21-კაციანი საბჭო უკმაყოფილოა თქვენი უწყების მუშაობით. ამბობენ, რომ მათ აზრს აქ არავინ ითვალისწინებს. სწორედ ამიტომ საბჭოს მუშაობის აუცილებლობას ისინი ვერ ხედავენ და დაშლის ალბათობაზეც საუბრობენ.

– ეს შეკითხვა მე არ მეკუთვნის.

– არასამთავრობოების ნაწილი ამბობს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე პასუხი უნდა აგოს არა მარტო კოპაძემ, არამედ კემულარიამაც. ამიტომ იუსტიციის მინისტრის გადადგომასაც ითხოვენ, იქნებ ამაზე მაინც გვიპასუხოთ?

– ეს არასამთავრობოების მორიგი ახირებაა, გაბრაზდნენ, რომ კოპაძის საკითხი ისე არ გადაწყდა, როგორც მათ სურდათ, ახლა იერიში იუსტიციის მინისტრზე და მოადგილეებზეც კი მიიტანეს. ასეთი აკვიატებები არაფრისმომტანია.

ესაუბრა
ლელა ხვადაგიანი.

◉ ინფორმაცია

მიხეილ სააკაშვილი სპეცრაზმის საჩვენებელ წვრთნებზე

საპელმწიფო დაცვის სპეციალური დანიშნულების რაზმს გუშინ დაარსებიდან 11 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით ვაშლიჯვარის მიდამოებში სპეცრაზმის საჩვენებელ წვრთნებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო.

პრეზიდენტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საკმაოდ პატარა ქვეყანაა, მას ძალზე კვალიფიციური სპეციალური დანიშნულების რაზმები და შეიარაღებული ძალები ჰყავს.

პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული ძალის გამოყენება საქართველოს არასდროს დასჭირდება, თუმცა მას მიაჩნია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ყოველთვის და ყველაფრისთვის მზად უნდა იყვნენ.

გუშინვე, საქართველოს პრეზიდენტმა კომენტარი გააკეთა იმ გამოძიებასთან დაკავშირებით, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტისას მომხდარ ინციდენტს ეხება. 10 მაისს თავისუფლების მოედანზე ჯორჯ ბუშის სიტყვით გამოსვლისას, ადგილი ჰქონდა ყუმბარის აფეთქების მცდელობას. პრეზიდენტის თქმით, გამოძიებას აქვს გარკვეული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ ვინ და რატომ ცდილობდა ყუმბარის აფეთქებას, თუმცა ზედმეტი დაკონკრეტებისგან პრეზიდენტი ამჯერად თავს იკავებს.

კახეთში სპორტდარბაზების გახსნას საქართველოს პრეზიდენტი დაესწრო

საგარეჯოს რაიონის სამ სოფელში გუშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სპორტდარბაზები გახსნა. ამიერიდან ყანდაურას, პატარძეულის და ნინოწმინდას საშუალო სკოლების მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ კეთილმოწყობილ სპორტ-დარბაზებში ივარჯიშონ.

სპორტდარბაზების რესტავრაცია ბრიტანულმა ნავთობმომპოვებელმა კომპანია „ბი-პი“-მ რაიონის გამგეობის და მაჟორიტარი დეპუტატის ხელშეწყობით ჩაატარა.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, იგი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველოში არ დარჩეს არც ერთი სკოლა, სადაც კეთილმოწყობილი დარბაზი არ იქნება. „ მოსწავლეებმა თავისუფალი დრო მიზანმიმართულად უნდა გაატარონ“, – განაცხადა სააკაშვილმა.

გუშინვე პრეზიდენტი სიღნაღის რაიონს ეწვია.

ნინოწმინდის ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობა საპატრიარქოს გადაეცემა

– სამცხე-ჯავახეთში, ქალაქ ნინოწმინდაში მდებარე ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობა საქართველოს საპატრიარქოს გადაეცემა.

ეკონომიკური განვითარების მინისტრის ლექსო ალექსიშვილის განცხადებით, მუსიკალური სკოლის შენობაში მზრუნველობასმოკლებული ბავშვები განთავსდებიან, რომელთაც პატრონაჯს საქართველოს საპატრიარქო გაუწევს.

საქართველოს საპატრიარქო აღნიშნული შენობით უზურფრუქტის წესით ისარგებლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ამ შენობის გაყიდვის უფლება არ ექნება.

1,5 მილიონი ლარი მიწისძვრით დაზარალებულებს

– 1991 წელს მიწისძვრით დაზარალებულებს 2005 წლის ბოლოსთვის საბინაო პრობლემები აღარ ექნებათ.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ონის, ამბროლაურის, საჩხერისა და ჭიათურის 281 ოჯახისთვის საბინაო პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 500 000 ლარს გამოყოფს.

სახელმწიფო კანცელარიაში კრიზისული სიტუაციების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ჯამბულ ბაკურაძის განცხადებით, უკვე შედგენილია პროგრამა, რისი საშუალებითაც დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა მოხდება.

„მიმდინარე წლის ბოლომდე არ დარჩება არც ერთი ოჯახი ბინის გარეშე“- განაცხდა ჯამბულ ბაკურაძემ.

აფხაზთა გენშტაბის უფროსი გვაიმედებს, კოდორის ხეობას არ დავიპყრობთ!

აფხაზეთის უღიარებელი რესპუბლიკის ხელისუფლება კოდორის ხეობაში მოქმედი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფ „მონადირის“ დაშლის შემდეგ, ხეობის დაპყრობას არ აპირებს.

ამის შესახებ განცხადება აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ და ამავე უწყების გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ანატოლი ზაიცევმა 22 ივნისს განაცხადა.

„აფხაზეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელისუფლებას აფხაზეთის თავდაცვის უწყებისათვის კოდორის ხეობაზე სამხედრო ჩარევის გზით კონტროლის დაწესების შესახებ დავალება არ მიუცია და არც ამგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიუღია,“ – აცხადებს ზაიცევი.

ინტერპრესნიუსი.

◉ ინფორმაცია

ფინანსთა მინისტრმა ახალი წესი დაამტკიცა

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა აქციზური მარკების აღრიცხვის რეალიზაციისა და კონტროლის წესი დაამტკიცა.

„საგადასახადო კოდექსის“ მესამე მუხლის საფუძველზე მომზადდა „საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესის შესახებ“ დებულება, რომელიც აქციზური მარკების რეალიზაციის, მათი დაბრუნების წესებსა და აქციზური მარკების აღრიცხვა-კონტროლის მექანიზმს ითვალისწინებს.

დებულების მიხედვით, მეწარმე სუბიექტები, რომლებიც აქციზურ საქონელს აწარმოებენ, ან ახორციელებენ მის იმპორტს, ვალდებულნი არიან აქციზის გადამხდელთა ინსპექციაში აქციზური მარკების გამოყენების შესახებ ანგარიში წარადგინონ. ანგარიშის წარდგენის ვადად საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვი განისაზღვრა.

დებულების მიხედვით, შესაძლებელია გამოუყენებელი აქციზური მარკების დაბრუნება, რის შემდეგ, მეწარმეებს მარკების მისაღებად გადახდილი თანხები ან უკან დაუბრუნდებათ, ან სხვა გადასახადებში გაექვითებათ.

ინტერპრესნიუსი.

1 500 ოჯახი უშუქოდ დარჩა

მცხეთა-მთიანეთში კვლავ რთული ვითარებაა. წყალდიდობამ სერიოზულად დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები. შეფერხებულია მხარის ელექტროენერგიით მომარაგება.

როგორც „მედიანიუსს“ მხარის რწმუნებულის მოადგილემ შადიმან შამანაძემ განუცხადა, კვლავ მძიმე მდგომარეობაა ფშავ-ხევსურეთში, სადაც სამი მაღალი ძაბვის გადამცემი ბოძია წაქცეული.

შამანაძის თქმით უკვე აღდგა ყაზბეგის ელექტრომომარაგება, თუმცა რამდენიმე სოფელს დენი კვლავ არ მიეწოდება. ელექტროენერგია აღუდგა დუშეთსაც, გარდა რაიონის რამდენიმე სოფლისა. დუშეთის გარკვეული უბნები დავალიანების გამო უნდა გათიშულიყო, მაგრამ მხარის ადმინისტრაციამ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას ეს უბნები არ გამოართვევინა.

დუშეთის რაიონის გამგებლის გოდერძი ბერბერაშვილის თქმით კი რაიონის ზოგიერთი სოფელი დავალიანების გამო ორი კვირაა გამორთულია.

მედიანიუსი.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

იააპ დე ჰოოპ სხეფერი: „უბრალოდ, არ გვეყოფა ჯარისკაცები იმისთვის, რომ ყველგან განვალაგოთ ბაზები!“

„არგუმენტი ი ფაქტი“.
(იბეჭდება შემოკლებით).

(პირველი გვერდიდან)

– რუსეთში, უბრალოდ, ბევრს უჭირს ამის დაჯერება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხედავენ, რომ ჩვენმა ნატოელმა მეგობრებმა რუსეთის საზღვრებთან – ლიტვაში გახსნეს ბაზა.

– ოთხი ავიაგამანადგურებელი – მომიტევეთ, მაგრამ განა ეს ბაზაა? სასაცილოც კია. ისინი უბრალოდ პატრულობენ ნატოს საჰაერო სივრცეს, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, და არანაირ სპეციალურ დავალებებს არ ასრულებენ. სხვათა შორის, ამ აეროდრომზე ინსპექციის განხორციელება შეუძლიათ რუსებს და თქვენი სპეციალისტები თუ მოისურვებენ, არავინ შეუშლით ხელს მის დათვალიერებაში.

– გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ როგორც კი რუსეთის ჯარები დატოვებენ საქართველოს, მათ ადგილს სასწრაფოდ დაიკავებენ ნატოელი სამხედრო მოსამსახურეები. როგორ კომენტარს გაუკეთებდით ამას?

– ასეთივე წარმატებით შეიძლება იმის თქმაც, რომ რუსი სამხედროების ადგილს მოლდავეთშიც დავიკავებთ, მაგრამ ამისთვის ჩვენ არანაირი საბაბი არა გვაქვს, და თანაც, ნატო ყველგან თუ განალაგებს ჯარებს, უბრალოდ, ამისთვის ჯარისკაცები არ გვეყოფა. აბსოლუტურად გულწრფელად გეუბნებით: ჩვენ არ გვაქვს ასეთი გეგმები, ზრახვები და სურვილი, და იმედი მაქვს, რომ ჩემს სიტყვებს დაიჯერებენ მოსკოვში. თქვენს გაზეთს, თუ არ ვცდები, „არგუმენტი ი ფაქტი“ ჰქვია, ასეა არა? ჰოდა, მოგახსენებთ ფაქტებს: ამ მომენტისთვის საქართველოში ნატოს არანაირი ბაზა არ არსებობს.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ ნატოს კარი ყველასთვის ღიაა. შეიძლება ვიფიქრობთ, რომ იგი რუსეთისთვისაც ღიაა?

– კიდევ ერთი პოპულარული კითხვა. მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ამ კითხვას დაუსვამთ პრეზიდენტ პუტინს და რუს ხალხს.

– თქვენი აზრი მაინც როგორია ამის თაობაზე?

– ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ რუსეთს არ სურს ნატოში გაწევრიანება.

– ნატოს ბლოკი შეიქმნა მაშინ, როცა მსოფლიო ორ ნაწილად იყო დაყოფილი. თქვენი აზრით, საჭიროა ალიანსი ახლა, როცა, როგორც თქვენ თვითონ შენიშნეთ, აღარ არსებობს ბირთვული ომის და ერთმანეთის ტერიტორიებზე შეჭრის საფრთხე?

– უპრიანი იქნება, თუ ასეთ კითხვას დაუსვამდით კოსოვოს, აფრიკის კონტინენტის და ავღანეთის მცხოვრებლებს. იქ, ადამიანებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ თანამედროვე მსოფლიოს სჭირდება ნატო. ჩვენ არასდროს ვყოფილვართ მხოლოდ სამხედრო ორგანიზაცია, ჩვენ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ვართ.

– რას ელით მოსკოვში თქვენი ვიზიტისგან?

– ნაყოფიერ დიალოგს რუსეთთან. სასაუბრო თემა ბევრი გვაქვს, და ვფიქრობ, გავაკეთებთ იმას, რაც, უკვე კარგა ხანია უნდა გაგვეკეთებინა. რუსეთი დიდი ქვეყანაა, მას აქვს გარკვეული გავლენა მსოფლიოში და გააჩნია თავისი ინტერესები. მაგრამ გავლენა და ინტერესები ნატოსაც ხომ აქვს. მაშ, რატომ არ უნდა შევუთავსოთ ისინი ერთმანეთს?

◉ დაბრუნება

ინტერპრესმა ნიუსი მიიმატა

(პირველი გვერდიდან)

– ქალბატონო ბაია, ინტერპრესის დახურვის თემამ წლეულს რამდენჯერმე წამოიწია. რატომ?

– 2005 წლის 1 თებერვალს ინტერპრესის სამეთვალყურეო საბჭოსგან მივიღეთ წერილობითი შეტყობინება, რომ მოხდებოდა სააგენტოს კონსერვაცია. შესაბამისად, ჩვენ დავაპირეთ მუშაობის შეჩერება, მაგრამ გვითხრეს, რომ გადაწყვეტილება შეიცვალა და საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელეთო. ამის შემდეგ ოთხი თვის განმავლობაში სააგენტოს დახურვაზე ან მისი მუშაობის დროებით შეჩერებაზე საუბარი აღარ ყოფილა. 1 ივნისს კი მიიღეს გადაწყვეტილება ინტერპრესის საერთოდ დახურვის შესახებ. გვითხრეს, რომ ეს იყო უკვე ლიკვიდაცია და მიღებული გადაწყვეტილება აღარაფრით აღარ შეიცვლებოდა. ამის შემდეგ დავრჩით ჩვენი საყვარელი საქმის გარეშე. შემოქმედებითი გუნდის გარკვეულ ნაწილს სააგენტოს დამოუკიდებლად დაფუძნების იდეა გაუჩნდა, თუმცა ამისთვის მხოლოდ სურვილი საკმარისი არ იყო. სწორედ მაშინ, ჩვენდა საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც გვენდნენ, დააფასეს ჩვენი შრომა, პროფესიონალიზმი და ერთობლივად დავაფუძნეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი ამბები“, ასე ამოქმედდა ინტერპრესნიუსი.

– ვინ არიან ეს ადამიანები?

– მათ საზოგადოება იცნობს, როგორც საგამომცემლო სახლ „კვირის პალიტრის“ გამომცემლებს, სწორედ ისინი დაგვეხმარნენ ფინანსური თუ ტექნიკური საკითხების მოგვარებაში, კადრების შენარჩუნებაში. ისე, სააგენტოს „კვირის პალიტრასთან“ კავშირი არა აქვს. ინტერპრესნიუსი დამოუკიდებელი სააგენტოა, უბრალოდ, მის დამფუძნებელთა რიგებში არიან გიორგი და ირაკლი თევდორაშვილები, რომლებიც „კვირის პალიტრის“ დამფუძნებლებადაც გვევლინებიან და პარტნიორებადაც...

– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– მთლიანად შენარჩუნებული არიან ჩვენი კოლექტივის წევრები, რეგიონული და მოსკოვის სპეციალური კორესპონდენტები. ინფორმაციები გვექნება ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე. გავაშუქებთ ყველა მიმდინარე მოვლენას. ამასთან, ვამზადებთ ქართული პრესის დაიჯესტს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. უახლოეს მომავალში ჩვენს შესაძლებლობებს ანალიტიკურ თემებზე მუშაობაში მოვსინჯავთ, გვექნება სპეციალური ანალიტიკური გამოშვება. მსურველი მიიღებს ძალიან კარგი ხარისხის ფოტომასალებს.

* * *

გვწამს, რომ ინტერპრესნიუსი ქართულ მედიასივრცეში ისევე თამამად იტყვის საკუთარ სათქმელს, როგორც მისი წინამორბედი ამბობდა. წარმატებას ვუსურვებთ მთელს შემოქმედებით გუნდს.

ლელა ხვადაგიანი.

⊙ დავა

დიქტატორული ნაბიჯები სატყუარა კანფეტებით

გვესაუბრება კონსერვატიული პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი

საქართველოს პარლამენტი რიგგარეშე სხდომაზე უმრავლესობის მიერ შემუშავებულ „თბილისის შესახებ" კანონპროექტს განიხილავს.

საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია ამ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში სააკაშვილის რეჟიმს დაუმორჩილებლობის გამოცხადებით ემუქრება. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ მმართველი პარტია ქვეყანაში დიქტატურას ამყარებს, რამაც შესაძლოა სამოქალაქო ომის პროვოცირება მოახდინოს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის მიერ მომზადებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელიც გიგა ბოკერიას მიერ შემუშავებულ „თბილისის შესახებ" კანონპროექტში შევა, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია გააერთიანა და ხელისუფლების წინააღმდეგ დარაზმა.

თვითმმართველობის და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტმა „თბილისის შესახებ" კანონპროექტის ჯერჯერობით დაუწერელი ვარიანტი განიხილა. მიხეილ მაჭავარიანის მიერ პარლამენტისათვის შეთავაზებული კანონპროექტის მიხედვით, თბილისის საკრებულოს არჩევნები „დაჩეხილი პროპორციული სიებით" განხორციელდება. თბილისი, უბნების მიხედვით, ათ საარჩევნო ოლქად დაიყოფა. საარჩევნო ოლქები მრავალმანდატიანი იქნება და მანდატების რაოდენობა ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით განისაზღვრება. შესაძლოა, ერთი მანდატი 22 ათას ამომრჩეველზე იყოს გათვალისწინებული.

თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტია თბილისის საარჩევნო ოლქებში წარადგენს იმდენ კანდიდატს, რამდენმანდატიანიც იქნება შესაბამისი საარჩევნო ოლქი. ამომრჩეველმა, არჩევანის გაკეთების შემთხვევაში, ხმა პოლიტიკურ პარტიას უნდა მისცეს და არა კანდიდატს. ხმათა მაქსიმალური რაოდენობის მოგროვების შემთხვევაში, პოლიტიკური პარტია ოლქის ყველა მანდატის მფლობელი გახდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსი" კონსერვატიული პარტიის ლიდერს კობა დავითაშვილს ესაუბრა.

– აღნიშნული კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის გამო, ოპოზიცია სააკაშვილის ხელისუფლებას დიქტატურის დამკვიდრებაში ადანაშაულებს. კონკრეტულად, რა პრინციპებია მიუღებელი ოპოზიციისთვის „თბილისის შესახებ" კანონპროექტში?

– რევოლუციით ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლება, პირველ რიგში, დემოკრატიის დამკვიდრებასა და თვითმმართველობის განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ რევოლუციის შემდეგ აბსოლუტურად სხვა გზა აირჩია. პრეზიდენტს არა მხოლოდ არჩეული მერისა ეშინია, მას დღეს არჩეული საკრებულოსი შეეშინდა და ცდილობს იმგვარი სისტემა შემოიტანოს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის უმცირესობა აურჩევს საკრებულოს უმრავლესობას. საქართველოს პრეზიდენტი უარს ამბობს არჩევით მერზე მაშინ, როცა მსხვილი ქალაქის მერები კანონით უნდა ავირჩიოთ.

ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უწოდებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი საკრებულოს არჩევის პრინციპს მეორე მოსმენის საკითხს, როდესაც „თბილისის შესახებ" კანონპროექტში ერთი უმთავრესი პრინციპი სწორედ საკრებულოს არჩევის წესია. როგორც ჩანს, უმრავლესობა პოლიტიკური ტრიუკის გათამაშებას აპირებს.

მიხეილ მაჭავარიანმა საკრებულოს არჩევის საკუთარი ვარიანტი მხოლოდ იმიტომ შემოიტანა, რომ მის ფონზე ბოკერიას კანონპროექტი შედარებით დემოკრატიული გამოჩენილიყო.

შეგახსენებთ, რომ გიგა ბოკერიას მიერ შეთავაზებული ვარიანტის მიხედვით, თბილისის მერის არჩევნები პირდაპირი წესით არ უნდა განხორციელდეს – მერი საკრებულოს შემადგენლობიდან უნდა აირჩეს. თუ ხელისუფლება „თბილისის შესახებ" კანონპროექტს წარმოდგენილი ვარიანტით მიიღებს, თბილისში ერთპარტიული მმართველობა დამყარდება, რაც ოპოზიციური პარტიებისათვის ყოვლად მიუღებელია. ჩვენ მხოლოდ იმიტომ არ ვეწინააღმდეგებით აღნიშნულ ვარიანტს, რომ თითქოს გვეშინია სააკაშვილის პარტიის გამარჯვების, ჩვენთვის მიუღებელია ნებისმიერი პარტიის ერთპიროვნული მმართველობა.

– რას დაუპირისპირებს ოპოზიცია მმართველი პარტიის ამ ჩანაფიქრს?

– ამ პირობებში ოპოზიციის არჩევნებში მონაწილეობას აზრი ეკარგება. ამის შემდეგ ოპოზიციური პარტიები ორი არჩევანის წინაშე დგებიან – ან თავი უნდა დაანებონ პოლიტიკურ მოღვაწეობას, ან პოლიტიკური ბრძოლა არასაარჩევნო გზით გააგრძელონ.

მე ვიცნობ ამ ხელისუფლებას, ამიტომაც ვაცხადებ, რომ როგორც კი მიტინგს ან საპროტესტო აქციას მოუწყობ, ძალისმიერი მეთოდით გაგისწორდება, რადგან იგი ძალადობისკენაა მომართული და გამოიყენებს არა მხოლოდ ხელკეტებს, არამედ ტყვიასაც არ მოერიდება.

როცა ძალადობაზე ორიენტირებული ხელისუფლება აღარ გვიტოვებს სხვა პოლიტიკური ბრძოლის გზას, ადრე თუ გვიან ყველაფერი სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანს. ჩვენ ერთხელ უკვე გავიარეთ ეს გზა. ჩემთვის გაუგებარია, რატომ სურთ ამის გამეორება.

ოპოზიციური პარტიები არ აპირებენ ხელისუფლების აღნიშნული ჩანაფიქრი რეაგირების გარეშე დატოვონ. დაგეგმილია კონსულტაციები, რომელშიც მონაწილეობას „რესპუბლიკელები", „ახალი მემარჯვენეები", „ლეიბორისტები", „ტრადიციონალისტები" და ის ოპოზიციური პარტიები მიიღებენ, რომელთაც ამის სურვილი გაუჩნდებათ. მე სერიოზულად მოვუწოდებ ოპოზიციურ პარტიებს, „თბილისის შესახებ" კანონპროექტის მიღების შემთხვევაში დაუმორჩილებლობა გამოუცხადონ სააკაშვილის რეჟიმს. ეს კანონი ოპოზიციურ პარტიებს პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლის გაგრძელების საშუალებას არ უტოვებს, თუმცა ოპოზიციურ პარტიებს არც ბრძოლის შეწყვეტა სურთ.

ხელისუფლება დიქტატურის დამკვიდრებას ქვეყანაში ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს. დიქტატურისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ქვეყანაში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები იყო. მიმაჩნია, რომ ოპოზიციამ ხელისუფლებას დიქტატურის დამყარების საშუალება არ უნდა მისცეს და მის დამკვიდრებას ნებისმიერ ეტაპზე უნდა შეეწინააღმდეგოს.

„თბილისის შესახებ" კანონპროექტით ხელისუფლება ოპოზიციურ პარტიებს „სატყუარა კანფეტებს" უგდებს და საერთაშორისო ორგანიზაციების თვალის ასახვევად სურს საკრებულოში რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელი ოპოზიციური კანდიდატი შეიყვანოს, რათა შემდგომში, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაარწმუნოს, რომ საკრებულოში მრავალპარტიულობაა, თუმცა, რასაკვირველია, გადაწყვეტილების მიღებისას, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს მათ გადაწყვეტილებებზე არანაირი გავლენის მოხდენა არ შეეძლებათ.

მარიკა ბოჭორიძე,
ინტერპრესნიუსი.

⊙ პოლიტიკური მიმოხრის ენა

მრისხანება ღიმილშიც ბუდობს

სპეციალისტთა მტკიცებით, მთელს მსოფლიოში ძირითადი საკომუნიკაციო ჟესტები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. ბედნიერი ადამიანები ყოველთვის იღიმებიან, სევდიანები – იბღვირებიან, გამწარებულები – „იკბინებიან" და ა. შ. აქ თითქოს საჭიროც აღარ არის ვერბალური საშუალებები – სიტყვები. ყოველი მათგანის გამოხატვა თავისუფლად შეიძლება არავერბალური ხერხებით – მიმიკებით, ჟესტებით, პოზებით. ასეთ დროს მუშაობს თავიც, თვალიც, პირიც, ხელიც, თითიც...

არავისთვის უცხო არაა თითის დაქნევა, თითის ქვემოთ დაშვება, თითის ზემოთ აღმართვა, თითის თითზე გადაჭდობა, ჯიბიდან თითის ამოყოფა, თითის შუბლზე მიჭყლეტა, თითის თვალში წაკვრა. ალბათ ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის ლექსიკონშია სიტყვა მითითებაც, რომელიც უპირველესად გაიგივებულია შეცდომასთან, გაბრაზებასთან, აგრესიასთან.

ყური დამიგდე!

თვალების ბრიალი, კბილების ღრჭიალი, წარბის აპრეხა თუ თითის შემართვა, – ის არავერბალური საშუალებებია, როდესაც ერთი პოლიტიკოსი მეორეს, ან იგივე პოლიტიკოსი ხალხის მასას აგრძნობინებს: – მომისმინეთ! ყური დამიგდეთ! იცით, რას გეტყვით? იცით, რას გიზამთ?..

თითის შემართვა ერთდროულად უყვართ სახელმწიფოს პირველ პირებსაც **(ფიდელ კასტროსაც, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ** და ჯორჯ ბუშსაც), პირველ ტერორისტებსაც (ბენ ლადენსაც და შამილ ბასაევსაც), მსოფლიოს გარდამქმნელებსაც (ჯორჯ სოროსსაც და ალექსანდრ სოლჟენიცინსაც), მილიონერ ბიზნესმენებსაც და ღატაკ გლეხებსაც, რამეთუ ეს ჟესტი სჭირდება უცილობლად ყველას. სხვათა შორის, თითის შემართვას ზოგჯერ თან ახლავს ღიმილიც, თუმცა ეს ღიმილი უფრო მრისხანების გამამძაფრებელია, ვიდრე აგრესიის შემარბილებელი!



ბონდო გულიაშვილი.

⊙ რეპლიკა

ვინ დაასხეპს კუდებს საკუთარ შვილებს?

ჩვენივე ბავშვობიდან რომ მოვდივართ, ეს ჩემამდე დიდი ხნით ადრე ბრძანა ეკზიუპერიმ. არც იმის პირველაღმომჩენის სახელის დამკვიდრებას ვეპოტინები, რაზეც ქვემოთ მსურს გაუწყოთ. პროლოგში კი ჩვენი ანცური ბავშვობის წლები მინდა მოგაგონოთ მხოლოდ.

ჩვენივე სახელების უკვდავსაყოფად, სად აღარ ამოვტვიფრავდით ხოლმე საკუთარ ინიციალებს: მერხებზე, შენობებზე, გზებსა და გზაჯვარედინებზე, ტრანსპორტზე, კულტურის უძველეს, უნიკალურ ძეგლებზეც (!). სად აღარ გვეჩხირებოდა თვალებში, რომ „X+Y=შეყვარებულებს", ძმებს, დებს, მეგობრებს, კომუნისტ-კომკავშირელ ამხანაგებსაც კი. ვინც წერის კულტურას მცირედ მაინც ფლობდა, ამ ინიციალებს ბრძნულ ნააზრევსაც წაუფუძნებდა: „დე აქაც იყოს ჩემი სახელი, თუ არ იქნება თქვენთვის საწყენი". ასე და ამგვარად, ყველაფერი ვჯღაბნეთ და ვჯღაბნეთ, უფრო მეტიც, იგი ცხოვრების წესად ვაქციეთ.

რამდენმა ხანმა და ჟამმა ჩაიარა პარლამენტის არჩევნების დღიდან, გახსენებაც აღარ მსურს, მაგრამ იმდროიდან აქამომდე დროის ფრიალ-ტრიალმა, წვიმამ და თოვლმა, წყალდიდობამ და გრიგალმაც ვერ მოშალა და ვერც მოშლის იმ „შედევრებს", ათასობით ჭკუათმყოფელმა რომ „უსახსოვრა" ამომრჩეველს. ვინ დაგიდევს წყალში გადაყრილ ათიათასობით ლარს საკუთარ პორტრეტებზე, პლაკატებზე, მოწოდებებზე, შეგონებებზე, ცრუ დაპირებებზე... იმაზე, რომ X ქვეყნის გადამრჩენია! Y ღირსეული შვილია! Z – მესიაა!.. ასე და ამგვარად, სად აღარ ნახავდით და ნახავთ მსგავს ულაზათო, მახინჯ წარწერებს.

ასე-ამგვარად, ააჭრელ-დააჭრელეს სრულიად საქართველო. იმერეთის თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქში დღესაც ამ ღირსშესანიშნაობათა ნამდვილი ბუმია, სამეგრელოს ვესტუმრე და იქაც იგივე „საქართველო ენახე", გურიაშიც მსგავსი სურათები ვიხილე, რაჭასა და ლეჩხუმშიც, ქართლმა ხომ ამ საქმეში ყველას „გადაუჯოკრა", სხვებს თუ არა, ჩემი უფროსი კოლეგა გურამ ვაშაკიძე მაინც დამიდასტურებს.

ჰოდა, თქვენი არ ვიცი და მე და ჩემნაირები დღესაც დოყლაპიებივით მივჩერებივართ ჩამოხეულ, გათხვრილ, ჩაბინძურებულ-გავერანებულ, თვალებდათხრილ პორტრეტებსა და წარწერებს ამ ხალხისას და აღარ გვჯერა, რომ ისინი ჩვენ და ჩვენს ქვეყანას გადაარჩენენ, მშიერს დააპურებენ, მწყურვალს წყალს დაალევინებენ.

„არ გაემტყუნებათ" ხელმოცარულ კანდიდატებს, ისინი რაიონებს დამარცხების დღიდან სათოფეზე აღარ გაკარებიან და თავიანთი ნაცოდვილარიც ახლა ფეხებზე ჰკიდიათ, მაგრამ... პარლამენტის დღევანდელო წევრებო, ხალხის რჩეულებო, როცა საკუთარი თვალებით ხედავთ ამ სიმახინჯეებს, ნეტავ, ერთხელ მაინც თუ გაიფიქრეთ მათი აღგვა მიწისგან პირისა სხვათა ხელით მაინც?

ეგებ, ქვეყნის პრეზიდენტმა სპეციალური ბრძანებულება აახლოს აღმასრულებელ ჩინოვნიკებს, რათა გაათავისუფლონ ხალხი ამ ცრუ დაპირებებისაგან და მაღლიდან გადმომზირალი ვაიპატრიოტთა პორტრეტებისგან, თორემ მანამდე არაფერი გეტკინოთ, სანამ ის, ვისაც ევალება, ამ თემაზე იმსჯელებს და თვით „დაასხეპს კუდებს საკუთარ შვილებს!"

სოზარ კუპატაძე,
„სრ" საკ. კორ.

⊙ ინფორმაცია

ქუთაისის საკრებულოს წევრს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

გუშინ ქუთაისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა ქუთაისის საკრებულოს წევრს თამაზ ტყეშელაშვილს, რომელიც სამართალდამცველებმა გასულ კვირას ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

ეჭვმიტანილის ადვოკატების განცხადებით, სასამართლომ ადგილობრივი ხელისუფლების დაკვეთა შეასრულა.

გავრცელებული ინფორმაციით, ვიდრე საკრებულოს დეპუტატს დააპატიმრებდნენ, მას საკრებულოსთვის ქუთაისის მთავრობის საწინააღმდეგო დოკუმენტი უნდა წარედგინა.

აღნიშნულს აბსურდულს უწოდებენ ქუთაისის მერიაში და კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ.

თამაზ ტყეშელაშვილი ქუთაისის №2 საპყრობილეში გადაიყვანეს.

გორში მომხდარი ინციდენტის დროს სამი ადამიანი დაიჭრა

გორში მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირებისას სამი ადამიანი დაიჭრა. შეტაკება გორში ე. წ. კომბინატის დასახლებაში მოხდა. ინციდენტის დროს ერთ-ერთი პოლიციელი დავით მჭედლიძეც დაიჭრა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ – ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი ახალგაზრდებმა გახსნეს. საცხოვრებელი კორპუსის წინ სროლა დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ინციდენტთან დაკავშირებით, საპატრულო პოლიციელებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

გავრცელებული ინფორმაციით, დანაშაულში ეჭვმიტანილები არიან გორის მცხოვრებლები, კრიმინალურ სამყაროში „შეიდთეიანად" ცნობილი ზვიად ადუაშვილი და გოგიტა კასრაძე. ამჟამად, მათ დასაკავებლად მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

ინციდენტის გამოწვევის მიზეზები ამ დროისათვის უცნობია. მიმდინარეობს გამოძიება.

ყველაფერში გლდანის ნაგავსაყრელია დამნაშავე!

სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა დავით მესხიშვილმა გლდანის ნაგავსაყრელზე ღორების ფერმა აღმოაჩინა.

როგორც მესხიშვილმა განაცხადა, სავარაუდოა, რომ ნაგავსაყრელზე გამოკვებილი ღორები იკვლებოდა და ხორცი დედაქალაქის სხვადასხვა ბაზარზე გადიოდა სარეალიზაციოდ. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელი გეგმავს ნაგავსაყრელის პოლიგონის მფლობელთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. მესხიშვილმა დეზერტირების ბაზარზე შეამოწმა ხორცის სარეალიზაციო პუნქტები და ერთ-ერთ გარაჟში სანიტარიული ნორმების უხეში დარღვევით მოქმედი ხორცის სარეალიზაციო ობიექტი დალუქა.

როგორც ინსპექციაში აცხადებენ, ისინი გეგმავენ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

გუშინ ნაგავსაყრელზე დიდი შეხლა-შემოხლა იყო. „დააპატიმრეს" ათობით ღორი...

ინტერპრესნიუსი.

ნაძირალები – „შავი", „პანტერა", „საპონა"...

16 წლის თეიმურაზ მამისაშვილი, მეტსახელად „შავი", რომელიც თბილისის საოლქო სასამართლომ ამას წინათ ქურდობის ბრალდებით გაასამართლა და პირობითი სასჯელი შეუფარდა, რამდენიმე დღის შემდეგ ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი ყაჩაღობისთვის დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, საგარეჯოელი 16 წლის მამისაშვილი ყაჩაღთა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრია. მასთან ერთად დაკავებულია თბილისელი, 19 წლის რუსლან ამირიანი, მეტსახელად „პანტერა" და 21 წლის გიორგი ცანავა, მეტსახელად „საპონა".

გამოძიების მონაცემებით, დაკავებულებმა მეტროსადგურ „ვაგზლის მოედნის" მიმდებარე ტერიტორიაზე, 22 წლის ნუგზარ გოგრიაშვილს დანის მუქარით გასტაცეს მობილური ტელეფონი, ვიზა-ბარათი და ფული.

ამ საქმეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიცია იძიებს.

„ХО-ЭОВ-ЭЕО".

ურთიერთობები ღრმავდება

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს კიმ ტრაავიკსა და საქართველოში ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შტეინარ გილს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ნორვეგია-საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, თურქეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებთან რეგიონული თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს.

ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ქართულ მხარეს თავდაცვისა და სასამართლო სისტემის განვითარებისა და ახალგაზრდა დიპლომატთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად დახმარების პროგრამები შესთავაზა და აღნიშნა, რომ ნორვეგია მზად არის საქართველოს კონკრეტული მხარდაჭერა გაუწიოს.

მედია-ნიუსი.

⊙ დაცემა

პედაგოგი გარყვნილებაში ამხილეს

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის" გახდა ცნობილი, ქუთაისის მე-16 სკოლის ხატვის მასწავლებელმა, 47 წლის გივი ლიპარტელიანმა მეოთხე კლასის მოსწავლე გააუპატიურა.

ლიპარტელიანი უკვე დაკავებულია. მან ასევე აღიარა, რომ რამდენიმე ხნის წინათ სქესობრივი კავშირი იძულებით დაამყარა მეშვიდე და მერვე კლასის ორ მოსწავლესთან.

სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ხატვის კაბინეტის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ნახმარი პრეზერვატივები ამოიღეს. ქუთაისის სასკოლო ოლქის ხელმძღვანელობა ქუთაისის სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც ითხოვს.

⊙ უკომენტაროდ!

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანგებო განცხადება

ქ. ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში ადგილი ჰქონდა უმცროსკლასელი მოსწავლის გაუპატიურებას. ამ დანაშაულში ბრალი ედება ამავე სკოლის მასწავლებელს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისის შს მთავარ სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს მოკვლევა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოხატავს თანაგრძნობას დაზარალებულის ოჯახისადმი და ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ბავშვს და მის ოჯახს აღმოუჩენს შესაბამის თერაპიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

ეს სამწუხარო ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, თუ რა ყურადღება უნდა გამოიჩინონ სკოლებმა მასწავლებელთა შერჩევისას და როგორი მნიშვნელობა აქვს სკოლებში მოსწავლეების დაცვას ძალადობისგან.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

⊙ მსოფლიო ბანკი

სასამართლო რეფორმა ეკონომიკურს ჯერაც ვერ დაეწია

მსოფლიო ბანკის საქართველოს ოფისში ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებმა მოიყარეს თავი. საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელმა ინგა პაიჭაძემ გაგვაფრთხილა, რომ მოხდებოდა საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის, პოლონეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის ჟურნალისტთა ერთსაათიანი სატელევიზიო ჩართვა პოლონეთთან, საიდანაც მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ეკონომიკის სასამართლო სისტემაზე.

მართლაც, ტელეეკრანი აციმციმდა და ექვსი ქვეყნის ჟურნალისტებმა შეკითხვები დაუსვეს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის მართვის დეპარტამენტის დირექტორს ჩერილ ბრეისს და – ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის წამყვან ეკონომისტს ჯეიმს ანდერსონს.

როგორც მათ განაცხადეს, სასამართლო სისტემა საკმაოდ ჩამორჩება გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის განვითარებისკენ მიმართულ რეფორმებს. სამწუხაროდ, სასამართლოს რეფორმირების მხრივ გაცილებით ნაკლები პროგრესი შეიმჩნევა, ვიდრე პოლიტიკისა თუ ინსტიტუციური რეფორმის ნებისმიერ სხვა სფეროში.

ამ ქვეყნების კომპანიების ხელმძღვანელთა და იურისტთა მხოლოდ ერთი მეოთხედი მიიჩნევს სასამართლოებს პატიოსნად და სამართლიანად. გამოკითხულთა 40 პროცენტზე ნაკლებს მიაჩნია, რომ სასამართლოებს შეუძლიათ საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულება. ბევრ ქვეყანაში გამოკითხულთა უმეტესობამ განაცხადა, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების მიღება სულ უფრო მეტად ჭიანურდება. ფაქტია, რომ სასამართლოს შესახებ მოქალაქეთა აზრი 1990-იანი წლების შემდეგ საგრძნობლად გაუარესდა.

იურისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გარდამავალი ქვეყნების უმეტესობაში არაუზრუნველყოფილი ვალის უკან მიღებას 2004 წელს 200 დღე დასჭირდა, ხოლო სერბიაში, მონტენეგროში, სლოვენიასა და პოლონეთში ასეთი ვალის დაბრუნება მხოლოდ სამ წელიწადში მოხერხდა.

„სხვადასხვა ქვეყანაში მეტად განსხვავებული სიტუაციაა იმ მხრივ, თუ რამდენად მიმართავენ კომპანიები სასამართლოებს, რის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს, თუ რა სახის რეფორმები იქნება უფრო ეფექტური. ბუნებრივია, რომ რაც უფრო ინტენსიურად ხორციელდება ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები, მით უფრო დიდია მოთხოვნილება იურიდიულ მომსახურებაზე. თუმცა ძალიან დიდი მოთხოვნილება ზედმეტად ტვირთავს სასამართლოებს, რაც ანელებს მათ მუშაობას და კიდევ უფრო ნეგატიურ შედეგებამდე მივყავართ" – განმარტავს ჯეიმს ანდერსონი.

ამა თუ იმ ქვეყანაში, – ამბობს ის, მართლმსაჯულების განხორციელების სტრატეგია ამ ქვეყნის რეალობისა და საჭიროების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბელორუსია და უზბეკეთი, სადაც კაპიტალიზმი მხოლოდ ჩასახვის სტადიაშია, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გაჩნდეს იმის მოთხოვნა, რომ საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული რეფორმების გატარების პერიოდში წარმოშობილი დავები ობიექტურად გადაწყდეს.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში საბაზრო ეკონომიკის სფეროში შედარებით მეტი რეფორმებია განხორციელებული, მაგრამ სასამართლო სისტემა მაინც სუსტია. ამ ქვეყნების პოლიტიკის შემმუშავებლებმა და მოსამართლეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ანგარიშვალდებულების გაზრდასა და ინვესტიციების მეშვეობით ხელი შეუწყონ სასამართლოების შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას.

საქართველოში, მაგალითად, საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ გამოყოფილი 13,4-მილიონიანი კრედიტი სასამართლოების შენობების გარემონტებას მოხმარდა.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა აზრით, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ლალი ქინქლაძე

⊙ ახალი ტექნოლოგიები

«იმუკორ-47»-ის რეიტინგი იზრდება

ერთი ადამიანიც რომ განიკურნოს, განა ცოტაა?

ნამდვილი აღმოჩენაა, აბა რა არის – ქართული ენდემური მცენარიდან დამზადებული ბუნებრივი, ეკოლოგიურად სუფთა სამკურნალო პრეპარატით „იმუკორ-47"-ით დღეს წარმატებით მკურნალობენ C ჰეპატიტით დაავადებულთ. რამდენიმეთვიანი მკურნალობის შემდეგ ათასობით ადამიანში აქტიური ვირუსი არააქტიურ ფორმაში გადაიყვანეს. პრაქტიკულად შეჩერდა ღვიძლის უჯრედების დაშლა, საგრძნობლად გაუმჯობესდა მისი ფუნქცია. მკურნალობის შემდეგ ყველა პაციენტს ღვიძლი ნორმალურ მდგომარეობაში აქვს.

C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების სამკურნალოდ ძირითადად ინტერფერონი გამოიყენება. ჩვეულებრივად, მკურნალობის ერთთვიანი კურსი 800 დოლარი ჯდება, მაშინ როცა „იმუკორ-47"-ით მკურნალობა 8-ჯერ იაფია და ის 200 ლარს არ აღემატება. თანაც, იგი თურმე გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ინტერფერონი და მისი ანალოგები.

ახლახან რუსულ ინტერნეტში საიტზე „gepatit lehenie" რეიტინგის მიხედვით „იმუკორ-47" მესამე ადგილზე აღმოჩნდა. ის ახლა რეგისტრაციის პროცესშია და არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში მისი რეიტინგი კიდევ უფრო გაიზარდოს.

როგორც თსუ ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგე ნუგზარ ალექსიძე განმარტავს, პრეპარატს აქვს ერთი ნაკლი, მისი შენახვის ვადა მოკლეა.

ამ ეტაპზე ის მხოლოდ ხსნარის სახით მიეწოდება ავადმყოფს. მისი ლიოფილიზებული სახით მომზადების ახალი ტექნოლოგიის შესაქმნელად საჭიროა 25 ათასი ამერიკული დოლარი. ამით პრეპარატის შენახვის ვადა სულ მცირე ერთ წლამდე. შეიძლება გაიზარდოს, რაც სპეციალისტებს საშუალებას მისცემს ფართოდ გაშალონ კლინიკური სამუშაოები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც.

ამ წამალმა ერთი ადამიანიც რომ განკურნოს, განა ცოტაა? მით უმეტეს, რომ ავადმყოფთა გამოჯანმრთელების ფაქტები სულ უფრო იზრდება.

იქნებ გამოჩნდეს პიროვნება, ვინც ამ მეტად კეთილშობილურ ახალ ტექნოლოგიას დააფინანსებს? ის სახელსაც მოიხვეჭს და შემოსავლებსაც გაიზრდის.

რაც მთავარია, იქნებ დღემდე განუკურნებელი C ჰეპატიტით დაავადებულნი სიკვდილს გადაურჩნენ.

ლალი ქინქლაძე

№ 148, პარასკევი, 24 ივნისი, 2005 წელი.

ვფიქრობ, კარგი წიგნი მწერალს საქართველოში შემოსავალს მალე მოიტანს

გვესაუბრება გურამ ოდიშარია



დაიბადა სოხუმში, 1951 წელს. სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, სხვადასხვა დროს, მუშაობდა ჟურნალისტად: სოხუმის რადიოში, გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“, „მანსში“... რვა წლის განმავლობაში ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ჟურნალ „რიწას“ რედაქტორობდა.

9 პოეტური და 6 პროზაული წიგნის ავტორია, აგრეთვე – რომანისა „შავი ზღვის ოკეანე“.

გურამ ოდიშარიას წიგნს „სოხუმში დაბრუნება“ მიენიჭა რამდენიმე პრემია, მათ შორის 1996 წელს – სახელმწიფო პრემია.

მწერალს სხვადასხვა წიგნისთვის მიენიჭა გამომცემლობა „ლომისის“, გიორგი შარვაშიძისა და მწერალთა გაერთიანების პრემიები.

1. რას ფიქრობთ XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?
4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
6. რაზე მუშაობთ ამჟამად?

● მეტად საინტერესო ტენდენციები შეიმჩნევა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. მე პირადად ახალგაზრდობაში ექსპერიმენტებს მივმართავდი, რომ სათქმელი ახლებურად გადმომეცა. ცხრა პოეტური კრებული აფხაზეთის ომამდე დაისტამბა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ვერ ვახერხებდი ლექსების გამოქვეყნებას, რადგან ცენზურას ისინი ავანგარდულად და პოსტმოდერნისტულად მიაჩნდა.

დღეს უკვე პროზაში ვმუშაობ. მიხარია, რომ ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე ახალი სახელები გამოჩნდა, რომლებიც თავისუფლად ფლობენ სიტყვას. ვფიქრობ, მრავალფეროვნებით ძალზე საინტერესოა ულტრათანამედროვე ლიტერატურა.

● სულ მეშინოდა, რომ წიგნს მკითხველი დაეკარგებოდა ან შეუმცირდებოდა. ბოლო დროს, საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საბერძნეთსა და ტაილანდში ვიმოგზაურე, ჩემდა სასიხარულოდ, აღმოვაჩინე, რომ უცხოეთში მხატვრულ ლიტერატურას მკითხველი მრავლად ჰყავდა. უეჭველია, რომ საქართველოშიც – წიგნის ქვეყანაში კარგ მწერალს მკითხველი არ გამოელევა.

წიგნის გადაქცევა ბიზნესის საგნად თვითმიზნად არ უნდა იქცეს, მაგრამ, ვფიქრობ, კარგი წიგნი საქართველოში მწერლისთვის შემოსავლებს მალე მოიტანს. ვიმედოვნებ, დაბალი ხარისხის ლიტერატურას მკითხველი შეუმცირდება და ჭეშმარიტი ლიტერატურა დაფასდება.

● პრობლემა ის არის, რომ კარგად გამართული სახელმწიფოებრივი მართვის სისტემა არ არის, აგრეთვე ირღვევა კანონის უზენაესობაც. ჯერჯერობით საქართველოში გარდაქმნების პროცესი კვლავ გრძელდება.

● მე ამ ლიტერატურაზე აღვიზარდე. მართალია, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ენაზე ლიტერატურა იქმნება, მაგრამ ჩემთვის – მწერლისთვის და მკითხველისთვისაც ეს პროცესი პლანეტარული, ერთიანი, მშობლიური და ჩემია.

სამაგიდო წიგნების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამჟამად ვკითხულობ პავიჩს, სენ ჟონ პერსის პოეზიას, ალბერ კამიუს, სტაინბეკს, ჰემინგუეის და რამდენიმე ახალგაზრდა ინგლისელი მწერლის წიგნს.

● მწერალი ქართულ ენას როგორც ცოცხალ ორგანიზმს, ისე უნდა უფრთხილდებოდეს. მშობელივით უნდა უყვარდეს და მას ყოველდღიურად სწავლობდეს.

● ვმუშაობ მინირომანზე „კენედის კატა“. დავამთავრე პუბლიცისტური წიგნი „ეპისტოლარული SMS-ები უკეთეს კაცობრიობას“. ვფიქრობ, ამ ზაფხულს რამდენიმე მოთხრობა დავწერო.

ჩაიწერა
თამარ შაიშმელაშვილმა

გურამ ოდიშარია

მიხეილ თემუროვიჩი...

ნაწყვეტი ახალი რომანიდან

საბჭოთა წლების დასასრულის სსრკ-ში, საბჭოთა იდილიის კომუნისტური კაპიტალიზმის აღმოცენების ხანაში, ჰორიზონტზე გამოჩნდა და სწრაფი განვითარება დაიწყო ორად გახლეჩილმა, კოსმოსისა და კომფორტისაკენ გასწრაფულმა ახალმა თაობამ, ანუ იგივე, თაობამ – მეოცნებეებისა და პრაგმატიკოსების, იგივე – ლირიკოსებმა და კომფორტის ხალხმა...



ასეთ დროს სულ სხვა იყო, სულ სხვაგვარად ჟღერდა ერთი კაცის სახელი და გვარი – „მიხეილ თემუროვიჩ ბლაჟბა“.

„ვიჩი“ „ვიჩად“, მაგრამ ყველა, ვისგანაც გამიგონია „მიხეილ თემუროვიჩი“, წარმოთქმისას რაღაცნაირ მელოდიურობას აფენდა ამ ორ სიტყვაში და რატომღაც სახე უნათდებოდა.

მთელი ქვეყანა მისი მეგობარი იყო. სრულიად უცნობზეც ასე იტყოდა – მეგობარია ჩემიო.

ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აფხაზეთის საოლქო კომიტეტს პირველკაცობდა, მერე სულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მუშაობდა, გენეტიკოსი გახლდათ (არა, მის ნეკროლოგს როდი ვწერ).

თავის ერთ მეგობართან ერთად ალფრედ ნობელზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ნობელი მათი სისხლით ნათესავი ყოფილიყო (ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ის მოხიბლული იყო ნობელით, უფრორე, მისი პრემიით).

იაპონელ მილიონერთან, მასავით მოუსვენარ კაცთან – ტაიდაი კასიოსთან მეტად საოცარ ხელშეკრულებებს აწერდა ხელს (ამაზეც – ქვემოთ).

არისტოტელეს ეძებდა... (მოდით, ამაზეც სხვა თავში ვილაპარაკოთ).

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

XX საუკუნის ისედაც აჩქარებულ რიტმს თავისი აჩქარებული ნაბიჯებითა და აჩქარებული ცხოვრებით უსწრებდა.

სხვათა შორის, პირადად იცნობდა გაგარინსაც და ამსტრონგსაც, ორივესთან ღვინო ყანწით ჰქონდა დალეული, თანაც „ვახტანგურად“.

ისე, დღეს, როდესაც სამუშაოს საძიებლად მთელს პლანეტაზე მოხეტიალე ჩემი თანამემამულეებისათვის ამერიკის ვიზა ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე მთელი ამერიკული პოეზია, ჩემი ახალგაზრდობის წლები მახსენდება – მეგობრებთან ერთად ლამის აკრძალული ამერიკელი პოეტების ლექსებს რომ დავეძებდი.

და ისიც შორეულ სიგნალებს გვიგზავნიდა – ამერიკა! ჩემს თაობას უგზავნიდა სიგნალებს – თავისი ვიეტნამით, თავისი ხიროსიმით და ნაგასაკით, რომლებიც 1945 წლის ატომური დაბომბვის შემდეგ უფრო ამერიკისა გახდნენ, ვიდრე იაპონიის; ასევე – კარიბის ზღვის კრიზისით, მუსიკით, ჰამბურგერით, კენედით...

და ვპოულობდით ჩვენ ჩვენს ამერიკას სოხუმის პორტში სულ რამდენიმე საათით ღუზაჩაშვებული უცხოეთის გემების მეზღვაურებთან ნაყიდი ჯინსებით, სალეჭი რეზინით, ანსამბლ „ჩიკაგოს“ ჩანაწერებით, ელვის პრესლით, ვარსკვლავიან-ზოლებიანი დროშით, წვერებიანი ჰემინგუეის მოკრივეებითა და მონადირეებით, ვისკით, „კოკა-კოლით“, „ამერიკის ხმით“...

და ველოდით ჩვენ ამერიკას ჯიბრზე კომუნისტური პროპაგანდისა.

ამერიკის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი კომუნისტურ აფხაზეთში კონცერნი „პეპსი კოლა“ იყო. კონცერნი გულრიფშის რაიონში აშენდა. ამერიკელი ზღვაოსნების, მართალია, იშვიათ, მაგრამ მაინც ხომ მასპინძელ სოხუმს უნდოდა, კონცერნის პროდუქცია სოხუმის ეგიდითა და სახელით გამოშვებულიყო. მაშინ გულრიფშელები გაგულისდნენ სოხუმელებზე: ეს უსინდისო უსამართლობააო (უსამართლობა კი არა, უსინდისო უსამართლობაო).

და თქვა მაშინ მიხეილ თემუროვიჩმა ასე:

– „პეპსი კოლაც“ გულრიფშელებისაა, ისევე, როგორც იქ აშენებული საგიჟე. თუ „პეპსი“ ჩვენია, სოხუმელების, მაშინ საგიჟეც სოხუმის სახელით უნდა გაფორმდესო.

ამაზე სოხუმელები გაყუჩდნენ.

და შემდეგ დაამატა:

– სხვათა შორის, „პეპსის“ ამერიკის გემო აქვს.

ასე შემოდიოდა ამერიკის გემო აფხაზეთში.

თავად, მიხეილ თემუროვიჩი, რამდენჯერმე იყო ამერიკაში ნამყოფი.

ერთხელ, იქიდან ახლად დაბრუნებულმა, ნაღვლიანად გვითხრა:

– ამერიკა, ბიჭებო, კარგა მაგრად, კარგად განვითარებული საბჭოთა კავშირია.

მერე უფრო ნაღვლიანად დაამატა:

– ნუ ელოდებით ამერიკას... ამერიკა განა ოკეანის მიღმაა, ამერიკა ყოველთვის იქაა, სადაც ხართ.



ფოტოგრაფიულად მახსოვს ის მომენტი: სუფრასთან ვისხედით ჩვენ – სტუდენტები და ის, ზუსტად მამაჩემის ასაკის კაცი. მას ხელში იზაბელას ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა. იზაბელა მის მშობლიურ სოფელში იყო დაკრეფილი და დაწურული, ერთ პატარა აფხაზურ სოფელში – გუფში.

გუფში კი დაიბადა, მაგრამ მიხეილ თემუროვიჩი სოხუმელი გახლდათ, თხემიდან ტერფამდე სოხუმელი. იმ ქალაქში აღსრულდა, როგორც თავად ამბობდა, უდიდესი მისტერია, ანუ (როგორც დაამატებდა) – მისი სულის სოხუმიზაცია.

და სწორედ მასზე, მის სოხუმიზირებულ სულზე მიყვებოდნენ უკანასკნელ წლებში ათასგვარ ამბებს სოხუმელი აფხაზები, ქართველები, სომხები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები, ებრაელები, ესტონელები, გერმანელები... განვაგრძო?..

მიყვებოდნენ: სოხუმში, თბილისში, მოსკოვში, სოჭში, სანკტ-პეტერბურგში, ნალჩიკში, ათენში... განვაგრძო?..

ერთმა იმათგანმა ასეთი რამ მითხრა: ყოველ ადამიანს თავისი უშუალო ურთიერთობა აქვს ღმერთთან, ყოველი ადამიანი ბიბლიაში თავის ბიბლიას კითხულობს. და რა ცუდია, რომ შენ ძალიან კარგად არ იცნობდი მიხეილ თემუროვიჩს. ძალიან კარგად რომ გცნობოდა, მაშინ ხომ მისი ბიბლიაც გეცოდინებოდა.

და მე დავიწყე მისი ბიბლიის ძიება.

და მალე მივხვდი, რომ მის ბიბლიას ვერ მივაკვლევდი, თუ მისი ყურანი არ მეცოდინებოდა, არ მეცოდინებოდა მისი ბუდიზმი, მისი საგალობლები კრიშნაზე, უცხოპლანეტელთა მიერ ჩვენთვის, დედამიწელებისათვის გამოგზავნილი ტექსტის მისეული ვარიანტი...



მეორემ ასე მითხრა: რაღაც-რაღაცეებს კი წერ, მაგრამ რატომ სიტყვას არ გამოიმეტებ მიხეილ თემუროვიჩზე, შენ რა, არა ხარ სოხუმელი? და, საერთოდ, რა ხდება, ვერ გავიგე, ჩვენ ისეთ კარგ რამეებს ვთავაზობთ მსოფლიოს, როგორიცაა: საცივი, აჯიკა, ხაჭაპური, ელარჯი, ჭაჭის არაყი, თეთრი თუ შავი ღვინოები... და მსოფლიომ არაფერი იცის ამაზე, მსოფლიომ არაფერი იცის არც მიხეილ თემუროვიჩზე, არც კუკურ-ჩაიზე, არც ვიანორ ფანჯოვიჩზე, არც „ამრაზე“, არც „ბრეხალოვკაზე“... ჩვენზე არაფერი იციან, რა ხდება, საერთოდ, ვერ გავიგე, შენ რა, სოხუმელი არა ხარ?.. არ გიკვირს ეს?.. შენ მაინც ხომ იცი, ვინ იყო მიხეილ თემუროვიჩი... ის იყო...

და მერე ის ჩაფიქრდა, ჩაფიქრდა და გაყუჩდა.

ვინ იყო მიხეილ თემუროვიჩი? ათეულობით კაცს გაუხსენებია ჩემთან საუბრისას მიხეილ თემუროვიჩი. მგონი, ასზე მეტს.

როდესაც, ასე, ალბათ, ას პირველმა გამომძებნა და მასზე მესაუბრა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მიხეილ თემუროვიჩი, დროთა განმავლობაში, სოხუმის ფოლკლორის მთავარი გმირი გამხდარიყო, სოხუმქალაქის მითების მთავარი პერსონაჟი. ვხუჭავ თვალებს და ახლაც ვხედავ კიდეც მას – ქალაქის ერთ-ერთ ყავახანაში, ან ერთ-ერთ რესტორანში, ან ერთ-ერთ კაფეში, მეგობრების წრეში მჯდარს... მის ზურგს უკან კი, ფონად, თეთრი გემებით დახუნძლული სოხუმის პორტია... ზაფხულია, მზიანი დღე, თითქოს უნდა ცხელოდეს, მაგრამ აქ გრილა – შავი ზღვიდან ნიავი უბერავს.

და მე გადავწყვიტე, წიგნი დამეწერა მიხეილ თემუროვიჩზე, აი, ეს წიგნი, რომელიც ახლა თქვენს წინაშეა – „პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის კატა“. თუმცა, ნუ გეგონებათ, რომ ეს წიგნი მართლა კენედიზე და მის კატაზეა, არა, ეს წიგნი მიხეილ ბლაჟბაზე, მიხეილ თემუროვიჩზეა, თუმცა...

მამ ასე, დავიწყე კიდეც წერა, თქვენ, იმედი მაქვს, კითხვა.

გაგიგონიათ, ალბათ, ზღაპარივით ამბავია, მაგრამ ნამდვილი: ერთი ხალხი, უცხო ქვეყანაში გადახვეწილი ხალხი, მშობლიურ დამწერლობას ასე ინახავდა – ამ ხალხის რომელიმე ერთ ოჯახს ევალებოდა მჭადი მხოლოდ ანბანის პირველი ასო – ა-ნის ფორმით გამოეცხო; მეორე ოჯახს ბ-ანის ფორმის მჭადის ცხობა დაავალეს, სხვებს კიდევ გ-ანის, დ-ონის, ვ-ინის და ასე შემდეგ, ანბანის ბოლო ასომდე. ის ხალხი უცხოეთში ასე ინარჩუნებდა მშობლიურ ანბანს, მშობლიურ ენას. იმ ანბანით იკვებებოდა, იმ ანბანის მჭადით იზრდებოდნენ მათი ბავშვები, რომლებისთვისაც სამყარო მშობლიური ენიდან იწყებოდა. ისინი იმ ანბანით ასაფლავებდნენ გარდაცვლილებს და ქორწილს უხდიდნენ ახალგაზრდებს. ჭირში თუ ლხინში ყველა ოჯახს თავ-თავისი, ანბანის ბგერების ფორმის გამოცხობილი მჭადები მიჰქონდა და წმინდა ღვინოსთან ერთად იმ ხალხის დამწერლობა თავს ასე იყრიდა სუფრაზე...

დამწერლობა სახელწოდებით (თუ ანბანი, თუ შრიფტი) – მიხეილ თემუროვიჩი მიმოფანტულია სოხუმელებში. ზოგმა მხოლოდ ერთი ასო იცის ამ დამწერლობისა, ზოგმა ორი ან სამი. ერთად კი უკვე – არავინ.

და ეს წიგნი სწორედ რომ მცდელობაა მისი გახსენებისა, ძიებისა, აღდგენისა.

ასე რომ, ვზივარ და წერად ვარ ქცეული. ვწერ ისე, როგორც მახსოვს და ვწერ იმაზე, რაზეც მესაუბრებიან სხვები, ანუ ისე ვწერ, როგორც ახსოვთ სხვებსაც – ის, მისი თავგადასავლები, მისი მეგობრები, მისი ქალაქი. საერთოდ, ჩვენთვის, ადამიანებისთვის, ხომ ყველაფერი ისე ხდება, როგორც გვახსოვს და არა ისე, როგორც იყო.

და დარწმუნებული ვარ, სწორედაც ისე იყო ყველაფერი – როგორც გვახსოვს ჩვენ, ყველას.

ამიტომაც, უმორჩილესად გთხოვთ, წაიკითხოთ მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც ამ წიგნშია მოხმობილი და არა ის, რომლებიც აქ არ წერია.

ხომ არსებობს კითხვის ასეთი სახე – როცა კითხულობ იმას, რაც წიგნში არ წერია. არ წერია, მაგრამ იგულისხმება. ხან ავტორი გულისხმობს, ხანაც – მკითხველი. ხანაც ორივე ერთად, შეთქმულებივით.

ამ წიგნში კი არაფერი იგულისხმება ისეთი, რაც არ წერია. ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ, ზედმეტ საფიქრალს ნუ გავუჩენთ ერთმანეთს.

არ ვიცი, რა გამომივა: წიგნი-ქალბატონი თუ წიგნი-სადღეგრძელო თუ წიგნი-ლოცვა, წიგნი-ხომალდი თუ მხოლოდ წიგნი-მოგონება... თუ... ვნახოთ.

მთავარია, არ დაგვეკარგოს გარდასულ დღეთა სინათლე.

ⓞ ერიჰა!

დასაჯეს... ერთგულებისთვის?!

ადამიანის ბედი, მისი სოციალური დაცვა ნებისმიერი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავია. მით უფრო აუცილებელია ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე პროფესიონალის მოვლა-გაფრთხილება. ამ ანბანურ ჭეშმარიტებას თვით დღევანდელი ხელისუფლებაც წარამარა შეგვახსენებს, მაგრამ... სიტყვა სხვაა, საქმე სხვა. ათასობით ადამიანი უმიზეზოდ კარგავს სამსახურს. ზოგიერთს გაუფრთხილებლადაც კი ათავისუფლებენ...

გიორგი ფიჩხაიამ პირველი მადლობა მაშინ დაიმსახურა, სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯარში რომ გაიწვიეს. საბადრაგო სამსახურის რიგითმა, განსაკუთრებული სიფხიზლე გამოიჩინა და საშიში დამნაშავე ჰაერში გასროლით გააფრთხილა, ვერსად გაიპარები, მშვენიერად გხედავო!

ეს ის დრო იყო, როცა პატიმრები ჯგუფ-ჯგუფად გარბოდნენ ციხიდან. 20 წლის გიორგი ფიჩხაიას დროულმა განგაშმა პენიტენციალური სისტემა კიდევ ერთი სირცხვილისგან იხსნა. შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა რიგითი ფიჩხაია სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა... ჯარგამოვლილი ყმაწვილი მინისტრის მოადგილის, გენერალ ღემურ მიქაძის რეკომენდაციით პოლიციაში მიიღეს; მსახურობდა დაცვის პოლიციაში, ახასიათებდნენ როგორც გამჭრიახ, ენერგიულ და მიზანსწრაფულ პიროვნებას. ბოლო წლებში მეტროპოლიტენის პოლიციის წარჩინებული მუშაკი გახდა.

მეტროპოლიტენის პოლიციის რეორგანიზაციისას (ახლა მას დაცვის სამსახური ეწოდება), თანამშრომელთა „ჩვეულებრივი“ შერჩევა-კონკურსი გაიმართა. გიორგი ფიჩხაიამ კონკურსი წარმატებით გაიარა და სიაშიც მოხვდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ... სამსახურის ახალი უფროსი ზაზა პეტრიაშვილი მას „შორეული ამბორივით“ აცნობებს: საკონკურსო პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო ვერ მიგიღებთო.

დოკუმენტს ხელს „აწერს“ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, მეტროპოლიტენის უშიშროების სამსახურის უფროსი თამაზ თეთრაძე, თვით ზაზა პეტრიაშვილი და კიდევ კომისიის რამდენიმე წევრი. გიორგი ფიჩხაიამ კარგად იცოდა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის თამაზ თეთრაძის აზრი მის შესახებ და, გაოცდა, რატომ გამწირეს და სამსახურიდან დამითხოვესო. უარის კონკრეტული მიზეზის დასადგენად ღირსებაშელახული ახალგაზრდა კაცი ზაზა პეტრიაშვილს ეწვია, მაგრამ მან გასაუბრებაზეც არ მიიღო. სამაგიეროდ, თამაზ თეთრაძემ კაცურად „გაუმხილა“, ეს ჩემი ხელმოწერა არ არის და... მე შენ სიამოვნებით მიგიღებდი დაცვის სამსახურშიო.

– ალბათ, აქტიურობისთვის, დანაშაულთან შეურიგებლობისთვის, პრინციპულობისთვის, ძველი ხელმძღვანელობის ერთგულებისთვის მსჯის ზაზა პეტრიაშვილიო,– ამბობს გაოგნებული ახალგაზრდა კაცი და გლდანი-ნაძალადევის პროკურატურას ოფიციალური განცხადებით მიმართავს იმის გასარკვევად, თუ ვინ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და ვინ მოაწერა ხელი დოკუმენტს კომისიის თავმჯდომარის თამაზ თეთრაძის ნაცვლად!

მართლაცდა, გაოცდები კაცი, სამართალდამცველები ასეთი ყალბი ფურცლებით კოლეგებს მაინც არ უნდა ელაპარაკებოდნენ.

28 წლის გიორგი ფიჩხაიას უკან დასახევი გზა არ დაუტოვეს. ამიტომაც იბრძვის ის სიმართლის დასადგენად.

სპარტაკ ქოჩულია

ⓞ ინფორმაცია

ფალსიფიცირებული წამლები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტომ ივნისში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და გაურკვეველი წარმომავლობის პრეპარატების მიმოქცევის ფაქტები გამოავლინა.

როგორც გუშინ წამლის სააგენტოში გამართულ პრესკონფერენციაზე ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა და ამავე უწყების ხელმძღვანელმა თინათინ ტურძელაძემ განაცხადეს, ამ ერთი თვის განმავლობაში გამოვლენილია 365 დასახელების 19 500 შეფუთვა სამკურნალო საშუალება. 117 დასახელების 5000-მდე კოლოფი სპეციალურ კონტროლსდაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერება.

ექსპერტული დასკვნით, უკვე დადასტურებულია, რომ 15 პრეპარატი ფალსიფიცირებული იყო. კერძოდ, ამოღებულია პრედუქტალი, ბისეპტოლი, რეტაბოლილი, სუპრასტინი, ტრიქოპოლი, ვიაგრა, კლარიტინი, ფესტალი, კეტანოვი და ა.შ... დანარჩენის ლაბორატორიული კვლევა ამჟამადაც მიმდინარეობს.

ამ დროისთვის დალუქულია 87 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ფალსიფიცირებული, გაურკვეველი წარმომავლობის ორი დასახელების 30 ათასი კოლოფი პრეპარატი. ამავდროულად ამოღებულია წამლების პირველადი შესაფუთი ფოლგები და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე სტამბური წესით დაბეჭდილი მეორადი შეფუთვები.

ჭიპაშვილის განმარტებით, განადგურებულია რამდენიმე მცირე ზომის საწარმოც, სადაც ამ დასახელების წამლების ფალსიფიცირება მიმდინარეობდა. ვინაიდან რომ ამ მედიკამენტებზე მოთხოვნილება მაღალია, ფალსიფიკატორები სწორედ ამ დასახელების წამლებით ინტერესდებოდნენ.

მიმდინარეობს კვლევა.

აშშ პრეზიდენტის ძმა თბილისში



ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ძმა ნილ ბუში გუშინ თბილისში კერძო ვიზიტით ჩამოვიდა. პრეზიდენტის ძმის მასპინძელი ბიზნესმენთა ფედერაციაა. მან თბილისის საერთაშორისო აეროპორტი უკომენტაროდ დატოვა. ნილ ბუშს აეროპორტში ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი დახვდა.

როგორც ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ ჟურნალისტებს აეროპორტში განუცხადა, ნილ ბუში შეხვედრებს ქართული ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან გამართავს. ისაკაძემ არ გამორიცხა, რომ შესაძლოა ერთობლივი კონკრეტული ბიზნეს-პროექტებიც შედგეს.

გარდა ამისა, გიორგი ისაკაძის ინფორმაციით, ნილ ბუში საქართველოს განათლების რეფორმით ინტერესდება და შეხვედრას განათლების მინისტრთან კახა ლომაიასთანაც გამართავს.

ნილ ბუში საქართველოს დღეს დილით დატოვებს.

ვაკანსია „ნაციონალებში“

ქუთაისელი „ნაციონალების“ ლიდერი, პარლამენტარი გია უკლება პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან გადააყენეს, თუმცა პარტიის ქუთაისის ოფისში ინფორმაციას არ ადასტურებენ.

როგორც იუწყებიან, „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივ ოფისში ორგანიზაციის საანგარიშო კონფერენცია გაიმართება, სადაც პარტიის თავმჯდომარედ სავარაუდოდ, პარლამენტარ გოჩა თევდორაძეს აირჩევენ.

მედია-ნიუსი.

ⓞ ხავსსჩაჭიდებული კაცის ფიქრები

ეგდოს თქვენს სეიფში, დაგამძიმებთ თუ რა!

გამოვა რამე? – ვითომ ხუმრობანარევი იმედით ვეკითხებოდი ბატონ პროკურორს და „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“, ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს და რუსულ კომპანია „ნიპეკს“. ვუჩიოდი მიმდინარე წლის 1 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში. „საჩივარს“, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა მოჰყოლოდა, – ან „ჰო“ ან „არა“, მაგრამ გამართლდა ჩემი მეგობრების პროგნოზი,– ტყუილუბრალოდ ებღაუჭები ხავსსო!

ვითომ „ხუმრობა-საჩივარში“ საუბარი იყო, როგორ გააერთიანეს ჩვენი ანაბრები „გაერთიანებული ქართული ბანკის“ შულერებმა და უუფლებო „აქციონერებად“ აქციეს ასიათასობით ოჯახი. იქვე რუსულ კომპანია „ნიპეკის“ აფიორაზეც იყო საუბარი, იმ „ნიპეკისაზე“, რომლის ერთ-ერთ მფლობელად ბატონ ბენდუქიძეს მიიჩნევდნენ მოარული ჭორის ავტორები, მაგრამ „ჭორს“ ხომ არ ავყვებოდით? და ამიტომ არ დაგვისახელებია იმ წერილში ამ ფრიად საპატიო კაცის ვინაობა! არადა, „ნიპეკთან“ მე ჩემი, ერთი სასაცილო „ანგარიში“ მქონდა:

წლების წინათ, სრულიად შემთხვევით გავიგე: იმ დროისათვის უკვე „დაკარგული“ „ნიპეკი“ დივიდენდებს გასცემსო! არიქა-მეთქი, და მივაშურე მითითებულ ბანკს. გამომიწერეს „ჩეკები“, სამ თუ ოთხ სარკმელთან მოვაწერინე ხელი „ვისაც ჯერ არს“ და სალაროსთან დავდექი რიგში. ჩემი გლაუკომიანი თვალის პატრონმა ძლივს გავარჩიე ციფრი „3800“ და სიხარულისგან გადავირიე კინაღამ, წარმოვიდგინე, როგორ გადავიხდიდი ვალებს, როგორ ჩავაცმევ-დავახურავდი ცოლ-შვილს და...

სალაროში მომლიმარმა ქალბატონმა სულ ტკიცინა დოლარები ჩამითვალა. გამოვედი ბანკიდან და ეკლესიაში ვაპირებდი შესვლას, რათა სანთელი დამენთო „ნიპეკის“ სიკეთის მახვეწარს. გზაში, მაინც გამკრა გულზე, – რამე ხომ არ შეეშალა მოლარეს-მეთქი, და შევბრუნდი.

ატყდა ბანკში ერთი უბედურება. დამაკავეს, გამჩხრიკეს, გამლანძღეს და, როცა ცუდი ვერაფერი „აღმოაჩინეს“, „მომიგდეს“ ჩემი 3800 რუსული რუბლი, ამომართვეს ჭიტლაყი და ქუჩაში გამომაგდეს. დასწყევლოს ღმერთმა ბეჩავი კაცის გაჩენის დღე! სწორედ მაშინ უფრო სერიოზულად უნდა მიმემართა პროკურორისთვის და ამეწრიალებინა ქვეყანა, მაგრამ... „სიონში“ შევედი და იმ 3800 მანეთად მხოლოდ ხუთიოდე სანთელი შევიძინე და ღმერთს პატიება ვთხოვე ჩემი ბეჩაობისთვის!

ნუ გეშინია, ყველაფერი დივიდენდებად დაგიბრუნდება...

მერე „ნიპეკი“ ისევ დაიკარგა დიდი ხნით, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ცოცხალი ყოფილა! – ამას წინათ წერილი მივიღე „ნიპეკისაგან“:– „გაცნობებთ, რომ წარმოებს „ნიპეკის“ აქციების შესყიდვა და დივიდენდების შესახებ ინფორმაციის გაცემა!. ერთი აქციის შესასყიდი ფასია 5 ლარი... 1998 წელს რუსეთში განხორციელებული ფულის დენომინაციის შედეგად „ნიპეკის“ ერთი აქციის ნომინალური ღირებულება გახდა ერთი რუსული რუბლი. აქვე გაცნობებთ, რომ სექტემბრიდან აქციების შესყიდვის ფასი დაიწევს. რუსული კანონმდებლობის მიხედვით არარეზიდენტებისათვის (არა რუსეთის მოქალაქეებისათვის) დივიდენდი იბეგრება 30-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადით...“

ესე იგი, რახან ჩემი წილი დივიდენდი იბეგრება კიდევაც, ეტყობა დივიდენდი ხელშესახები თანხა იქნებაო, იფიქრებს ბედნიერი აქციონერი! მეც დავრეკე მითითებულ ტელეფონის ნომრებზე და მოვიკითხე ჩემი ხუთი აქციის ბედი.

– „თქვენ, 1992 წლიდან დღევანდლამდე დივიდენდის სახით მიიღებთ 25 თეთრს!“

ვაი, ჩვენს უპატრონო პატრონს, უბედურს! რამ მომაბრუნა იმ დღეს ბანკში? 3800 ამერიკული დოლარი, მილიონს უდრიდა ჩემთვის!..

ნიპეკელი შულერების მისამართით (ღმერთო შეგცოდე!) „ლამაზ-ლამაზი“ სიტყვები გავიველე გულში!

თუმცა „ნიპეკის“ უნამუსობისა რა მიკვირს? კიდევ უფრო უნამუსოდ არ გაგვძარცვა „გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა“? სახელმწიფოს კი ფეხებზე ჰკიდია თავისი მოქალაქეების უფლებების დაცვა!

გაფრთხილებთ, რაც უნდა ოფიციალური წერილი მოგივიდეთ „ნიპეკისაგან“, ჩემსავით კიდევ ერთხელ არ შეგაცდინონ შულერებმა. ნუ გაყიდით თქვენს აქციებს! ეგდოს თქვენს სეიფებში, დაგამძიმებთ თუ რა?

იმედიც კაპიტალიაო, ამბობენ!

ზაურ ფიფია

სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“ აცხადებს კონკურსს აეროპორტის ტერიტორიის საინჟინრო ფართებზე საუკეთესო წინადადებების გამოსავლენად:

შენიშვნა: საიჯარო გადასახადში არ შედის კავშირგაბმულობით, ელექტროენერგიით, წყლით სარგებლობის ღირებულება.

იჯარით გადაცემის კონკურსში მონაწილეობის პირობები:

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი მიმართულების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საიჯარო ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

2. იჯარის პერიოდი – მიმდინარე წლის ბოლომდე, შემდგომი გაგრძელების უფლებით.

3. საკონკურსო პერიოდი – საკონკურსო პირობების გამოქვეყნებიდან ერთი თვე.

4. წინადადებები მიიღება დალუქულ კონვერტებში, აეროპორტის კანცელარიაში გაგარებული შემოსული ნომრით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საწარმო ვალდებულია წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

* ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს.
* საწარმოს პირველი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.
* ლიცენზია ან სერტიფიკატი შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე, თუ საქმიანობას სახეობა ექვემდებარება სერტიფიცირებას ან ლიცენზირებას.
* ინფორმაცია მომსახურების გაწევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.
* ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაცის საქმე.
* ფიზიკური პირისთვის დამატებით:

– ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

– ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ნასამართლების შესახებ.

ინფორმაცია

ერთობლივ სხდომაზე განიხილავენ

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტები და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია უახლოეს მომავალში კოდორის ხეობაში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობასთან დაკავშირებით ერთობლივ სხდომას გამართავენ. აღნიშნული გადაწყვეტილება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მას შემდეგ მიიღეს, რაც კოდორის ხეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ განცხადება მესტიის მაჟორიტარმა დეპუტატმა როსტომ ჯაფარიძემ გააკეთა. მისი თქმით, ხეობაში უმძიმესი სოციალური ფონია: ბაგალეონ „მონადირის“ გაუქმებამ მოსახლეობა, ფაქტობრივად, დაუცველი დატოვა.

ჯაფარიძის აღნიშნულ განცხადებებს „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე გამოეხმაურა. მისი ინიციატივით ერთობლივ სხდომას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც უნდა დაესწროს.

პარლამენტარ როსტომ ჯაფარიძის განცხადებით, აუცილებელია სხდომაზე აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელის ირაკლი ალასანიას მოწვევა.

სახელფასო თანხა გაიტაცეს

ინციდენტი გუშინ მცხეთის საგყეო მეურნეობაში დაახლოებით 11.30 საათზე მოხდა. გატაცებულია 7000 ლარამდე.

გაურკვეველი ინფორმაციით, ბოროტმოქმედები ავტომანქანა „ვაზ 2106“-ით მოძრაობდნენ. გატაცებიდან რამდენიმე წუთში მათ აღნიშნული ავტომანქანა მცხეთის მახლობლად მიატოვეს.

ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრე ჯერჯერობით ცნობილი არ არის. აღნიშნულ ფაქტს მცხეთის პოლიციაში ადასტურებენ, თუმცა კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ. შემთხვევის ადგილზე ოპერატიული ჯგუფი მუშაობს.

„ინტერპრესნიუსი“.

2005 წლის 22 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ შპს „საქართველოს რკინიგზის“ კომერციული დირექტორის 2005 წლის 19 მაისის № კდ- 406 ბრძანებით დამტკიცებულ სამგზავრო ტარიფის №1 ცხრილში შეტანილი იქნა შესწორება. გთავაზობთ №1 ცხრილის კორექტირებულ ვარიანტს.



ცხრილი № 1

ამოქმედებულია შპს "საქართველოს რკინიგზის" კომერციული დირექტორის №კდ-406 ბრძანებით დამტკიცებული სამგზავრო ტარიფის საბაზო ტარიფი (დამატებით) ამოქმედდა 2005 წლის 21 ივნისიდან 21 სექტემბრამდე

საბაზო მანძილი, კმ	მანძილი, კმ	საბაზო				საბაზრო			
		I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი	I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
5	1-50	11.50	8.80	2.10	1.40	8.70	6.00	1.10	0.70
6	51-60	11.50	8.80	2.20	1.40	8.80	6.10	1.20	0.70
7	61-70	12.50	8.80	2.40	1.50	7.80	5.20	1.20	0.80
8	71-80	12.50	8.80	2.40	1.50	7.80	5.40	1.20	0.80
9	81-90	13.80	8.80	2.60	1.60	7.40	5.50	1.30	0.80
10	91-100	13.80	8.80	2.80	1.70	7.80	5.80	1.30	0.90
11	101-110	13.80	8.80	2.70	1.80	7.70	5.70	1.40	0.90
12	111-120	13.80	8.80	2.80	1.80	7.80	5.80	1.50	1.00
13	121-130	14.50	10.00	3.00	1.80	8.00	5.90	1.50	1.00
14	131-140	14.50	10.00	3.00	2.00	8.20	6.00	1.50	1.00
15	141-150	14.50	10.00	3.10	2.10	8.40	6.10	1.60	1.10
16	151-160	14.50	10.50	3.20	2.10	8.50	6.20	1.60	1.10
17	161-170	15.50	10.50	3.30	2.20	8.70	6.30	1.70	1.10
18	171-180	15.50	11.00	3.30	2.20	8.80	6.40	1.70	1.10
19	181-190	16.50	11.00	3.40	2.30	9.10	6.50	1.70	1.20
20	191-200	16.50	11.50	3.50	2.30	9.20	6.70	1.80	1.20
21	201-210	16.50	11.50	3.60	2.40	9.40	6.80	1.80	1.20
22	211-220	17.50	11.50	3.60	2.40	9.60	6.80	1.80	1.30
23	221-230	17.50	12.00	3.70	2.50	9.70	7.00	1.90	1.30
24	231-240	17.50	12.00	3.80	2.50	9.80	7.10	1.90	1.30
25	241-250	18.50	12.50	3.90	2.50	10.10	7.20	2.00	1.30
26	251-260	18.50	12.50	4.00	2.60	10.20	7.30	2.00	1.30
27	261-270	18.50	13.00	4.00	2.60	10.40	7.40	2.00	1.30
28	271-280	19.50	13.00	4.10	2.60	10.60	7.50	2.10	1.30
29	281-290	19.50	13.50	4.20	2.60	10.70	7.60	2.10	1.30
30	291-300	19.50	13.50	4.20	2.70	10.80	7.70	2.10	1.40
31	301-310	20.50	13.50	4.30	2.70	11.10	7.80	2.20	1.40
32	311-320	20.50	14.00	4.40	2.80	11.20	8.00	2.20	1.40
33	321-330	20.50	14.00	4.40	2.80	11.40	8.10	2.30	1.40
34	331-340	21.50	14.50	4.50	2.90	11.60	8.20	2.30	1.50
35	341-350	21.50	14.50	4.60	2.90	11.70	8.30	2.30	1.50
36	351-360	21.50	15.00	4.70	3.00	11.90	8.40	2.40	1.50
37	361-370	22.50	15.00	4.70	3.10	12.10	8.50	2.40	1.60
38	371-380	22.50	15.00	4.80	3.20	12.20	8.60	2.40	1.60
39	381-390	22.50	15.50	4.90	3.20	12.40	8.70	2.50	1.70
40	391-400	23.50	15.50	5.00	3.40	12.60	8.80	2.50	1.70

* საბაზო ტარიფს ემატება მოსაკრებელი 0,50 ლარი.

** საბაზო ტარიფში I და II კლასისთვის გათვალისწინებულია თეთრეულის საფასური.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა „ბალტიისპირეთის ოკუპაციაზე“ ალაპარაკდა

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გააკრიტიკა რუსეთში დემოკრატიის მდგომარეობა და მოუწოდა მოსკოვს, გადაწყვიტოს „ოკუპირებული ბალტიის სახელმწიფოებიდან დეპორტირებულ პირთა და მათი შთამომავლებისთვის“ კომპენსაციების გადახდის საკითხი.

რუსეთის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ რეზოლუციაში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ასევე მოუწოდა რუსეთის ხელმძღვანელობას, განახორციელოს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების კორექტირება და გააკრიტიკა პრეზიდენტ პუტინის მიერ რუსეთში შექმნილი ხელისუფლების საპრეზიდენტო ვერტიკალი, მათ შორის ისიც, რომ ვლადიმერ პუტინმა გააუქმა რეგიონებში გუბერნატორების პირდაპირი არჩევნები.

„დემოკრატიის სათანადოდ ფუნქციონირებისთვის ხელისუფლება არა მარტო უნდა განმტკიცდეს ვერტიკალურად, არამედ უნდა მოხდეს მისი დანაწილება ჰორიზონტალურადაც“, – ხაზგასმულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში.

ამავე დროს, ასამბლეა მიესალმა „აშკარა პროგრესს რუსეთში სამართლისა და დემოკრატიის უზენაესობის განმტკიცების საქმეში“.

„ფაქტია, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა, – განაცხადა სესიაზე გამოსვლისას მოხსენების ერთ-ერთმა ავტორმა, ბრიგანელმა პარლამენტარმა დევიდ ატკინსონმა. – რუსეთში არ ხორციელდება სამართლიანი არჩევნები, მისი ტელე-რადიომაუწყებლობა პოლიტიკურად არაობიექტურია, არ არის თავისუფალი სახელმწიფო კონტროლისგან. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის სასამართლო სისტემაზეც, რომელიც გარკვეული რეფორმების მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულა კორუფციისა და პოლიტიკური ზემოქმედებისგან“.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის მეთაურმა კონსტანტინ კოსაჩოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იმ შესწორებებში, რომლებიც რეზოლუციაში შეიტანეს ბალტიის ქვეყნების წინადადებით, არის რუსეთისთვის მიუღებელი დებულებები.

კოსაჩოვმა ასევე აღნიშნა, რომ მისი აზრით, რუსეთს შეუძლია შეამციროს შენატანები ევროპის საბჭოს ბიუჯეტში, რადგან ამ მომენტში ეს ფული ხმარდება რუსეთის წინააღმდეგ განწყობილი პოლიტიკოსების საქმიანობის დაფინანსებასაც. და მაინც, დასძინა კოსაჩოვმა, რეზოლუციაში ჩამოყალიბებული ზოგიერთი კრებული შენიშვნა სამართლიანია.

აფეთქებები ბაღდადში

სულ ცოტა 15 კაცი დაიღუპა და 50-მდე დაიჭრა ერაყის დედაქალაქში განხორციელებული სამი ტერორისტული აქტის შედეგად.

კერძოდ, სამი პოლიციელი ემსხვერპლა ავტომობილის აფეთქებას, რომელიც მათ სპაგრულო ავტომანქანას შეაჯახა ტერორისტმა-კამიკაძემ ბაღდადის ქარადის სავაჭრო რაიონში.

იმავე უბანში მოხდა კიდევ ორი მძლავრი აფეთქება. პოლიციელთა მონაცემებით, ერთიმეორის მიყოლებით ამოქმედდა ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც ავტომობილებში იყო დადებული.

ერთ-ერთი ტერორისტული აქტი განხორციელდა შიიტური მეჩეთის უშუალო სიახლოვეს.

ამავე დროს, „ერაყში ყაიდა ალ-ჯიჰადის“ დაჯგუფების ექსტრემისტებმა იკისრეს პასუხისმგებლობა ოთხშაბათს განხორციელებული ხუთი ტერორისტული აქტისთვის, რომლებსაც 25 კაცი ემსხვერპლა.

ერთ-ერთი ისლამისტური ინტერნეტ-საიტით გავრცელებულ ვიდეოგანცხადებაზე აღბეჭდილია კაღრები, რომლებზეც დაფიქსირებულია აფეთქებების მომენტები. სამი დანაღმული ავტომობილი აფეთქდა ბაღდადში, კიდევ ორი – ერაყის დედაქალაქის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქებში მოსულსა და ბაბაქუბში. ამ აფეთქებების შედეგად დაიჭრა 50-მდე ადამიანი.

დედოფლის ოჯახის შენახვა ბრიტანელებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ

ბრიტანეთის მონარქია ქვეყანას წელიწადში უჯდება 36,7 მილიონი გირვანქა სტერლინგი (53,7 მილიონი დოლარი), რაც ბრიტანეთის ყოველ მცხოვრებზე გაანგარიშებით 60 პენსს შეადგენს.

ამ ციფრების გამოქვეყნების შემდეგ ბუკინგემის სასახლემ დაუყოვნებლივ გამოაცხადა, რომ ეს ყველაზე მცირე თანხაა, რომელიც კი გამოუყვიათ დედოფლის ოჯახის შენახვისთვის 2001 წლის შემდეგ, და იგი 2,3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

მაინც, რაზე ხარჯავენ გაღასახადების გადამხდელთა ფულს ბრიტანეთის ყველაზე მდიდარი ქალის ოჯახის წევრები?

ჯერ ერთი, უმეშროების უზრუნველყოფისთვის, მაგრამ ეს თანხები წლიურ ანგარიშში შეგანილი არ არის. და მეორეც – მოგზაურობისთვის.

მაგალითად, გასულ წელს უელსის უფლისწული ჩარლზი იმყოფებოდა ფიჯიში, ავსტრალიასა და შრილანკაში. მას ემსახურებოდა სპეციალური თვითმფრინავი, რომლის „ბალეთიც“ 300 ათასი გირვანქა სტერლინგი დაჯდა. ჩარლზის მოგზაურობას სპეციალური მაგარებლით ჩრდილოეთ შოტლანდიიდან სამხრეთ ინგლისამდე 45 ათასი გირვანქა სტერლინგი დასჭირდა.

ამასთან, სხვა უფლისწულები – იორკის და ედინბურგის – ახლა უკვე სარგებლობენ ჩვეულებრივი ავიარეისებით და მათ მხოლოდ რამდენიმე თანამშრომე ახლავთ.

ეკონომიის მიუხედავად, ასეთი ხარჯები მაინც არ მოსწონს პარლამენტის ზოგიერთ წევრს. მაგალითად, ლეიბორისტმა იან დევიდსონმა გამოთქვა წინადადება, რომ უინძორებს საერთოდ ჩამოართვან საკუთარი მაგარებელი, რომლითაც მოგზაურობა არაერთი ასეული ათასი გირვანქა სტერლინგი ჯდება. მისი აზრით, უკეთესი იქნება, თუ დედოფლის ოჯახის წევრები ისარგებლებენ ჩვეულებრივი მაგარებლით, რის წყალობითაც ისინი უფრო დაუახლოვდებიან ხალხს, გარდა ამისა, დასახავენ ქვეყნის სარკინიგზო ტრანსპორტზე სასიკეთო ცვლილებების განხორციელების გარანტიას.

ამერიკელები ჩრდილოეთ კორეას 50 ათას ტონა საკვებს მიაწვდიან

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ასეთი ნაბიჯი არ უკავშირდება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებას.

უკვე მეღიმედ მესამე წელია, ვაშინგტონი უფასოდ აწვდის ჩრდილოეთ კორეას სურსათს გაეროს პროგრამის ფარგლებში.

გაეროს დახმარების იმედადაა ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობის თითქმის მესამედი, თვით ორგანიზაცია კი აცხადებს, რომ ქვეყანაში შიმშილობის თავიდან აცილებისთვის საჭირო იქნება სულ ცოტა ნახევარი მილიონი ტონა სურსათი.

„პრეზიდენტ ბუშს არ მიაჩნია, რომ სასურსათო დახმარება უნდა გამოვიყენოთ დიპლომატიური ზემოქმედებისთვის“, – აღნიშნეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში.

შარშან შეერთებულმა შტატებმა ფხეინიას უსასყიდლოდ გადასცა 50 ათასი ტონა სურსათი, 2003 წელს კი – 100 ათასი ტონა. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ვაშინგტონის ფხენიანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკების მაგიდასთან.

ერაყმა, შესაძლოა, „ტერორის ექსპორტი“ განახორციელოს

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო მოხსენებაში, რომელსაც მალე გამოაქვეყნებს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, აღნიშნულია, რომ ერაყი არის ახალი თაობის ისლამისტი-ექსტრემისტების ნამდვილი „სამჭედლო“, რომლებმაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან სხვა ქვეყნებსაც.

ამ თვალსაზრისით ერაყი პოტენციურად უფრო სამაშიაა, ვიდრე ავღანეთი, ქვეყანა, რომელმაც „გამოზარდა“ უსამა ბენ ლადენი, აღნიშნულია მოხსენებაში. ერაყელი მოთარეშეები და უცხოელი დაქირავებულები ამუშავებენ ქალაქში პარტიზანული ბრძოლის ახალ ტაქტიკას, რომელიც ითვალისწინებს დანაღმული ავტომობილების აფეთქებას, კარგად ორგანიზებულ თავდასხმებს სამხედრო სამიზნეებსა და პოლიციის უბნებზე.

ოთხშაბათს და ხუთშაბათს განვითარებული მოვლენები ადასტურებს ასეთ მოსაზრებას. ამ ორი დღის განმავლობაში ბაღდადსა და ერაყის სხვა ქალაქებში მომხდარი აფეთქებების შედეგად დაიღუპა და დაიჭრა მრავალი ადამიანი.

გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისლამისტთა რადიკალურმა დაჯგუფებებმა ევროკავშირის ქვეყნებში გააააქტიურეს მუშაობა ტერორისტი-კამიკაძეების დაქირავება-გადაბირებისთვის, რომლებსაც ერაყში საბრძოლველად იყენებენ.

ბოლო მონაცემების თანახმად, ერაყში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ტერორისტული აქტების რიცხვი, რომლებიც განახორციელეს ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მუსლიმანმა მოქალაქეებმა.

ევროპის სპეციამსახურების მონაცემებით, საღღეისოდ ევროკავშირში მოქმედებს 21 ტერორისტული ქსელი, რომლებსაც კონტაქტი აქვთ 60 უფრო მსხვილ რადიკალურ დაჯგუფებებთან არაბულ ქვეყნებსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

1998 წლის დასაწყისში მე ჯერ ვერ წარმომედგინა, თუ ეს წელი ჩემი პრეზიდენტობის ყველაზე უცნაური წელი, ჩემი დამცირებისა და სირცხვილისა, სამშობლოში პოლიტიკური დაპირისპირებისა და უცხოეთში ტრიუმფის წელი გახდებოდა, რომელმაც ყველა სიძნელის მიუხედავად, დამაჯერებლად გვიჩვენა ამერიკელი ხალხის საღი აზრი და ღრმა წესიერება.

თოთხმეტ იანვარს თეთრი სახლის აღმოსავლეთ დარბაზში მე და ელ გორმა გამოვაცხადეთ, რომ მხარს ვუჭერდით „ბილს პაციენტთა უფლებების შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფდა საბაზო სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, რაც ამერიკელებს მანამდე ხშირად აკლდათ ხოლმე... იმავე დღეს ჰილარი მეხუთედ დაიკითხა კენ სტარის მიერ. ამჯერად მას იმის შესახებ ეკითხებოდნენ, თუ როგორ მოხვდა გამოძიებათა ფედერალური ბიუროს საიდუმლო მასალები რესპუბლიკელთა შესახებ თეთრ სახლში, რის შესახებაც მან აბსოლუტურად არაფერი იცოდა.

სამი დღით ადრე მე ჯონსის საქმესთან დაკავშირებით ჩვენებები მივეცი. მე ჩემს ადვოკატებთან ერთად შევისწავლე ყველა შესაძლო კითხვა და პასუხი და მიმაჩნდა, რომ კარგად ვიყავი მომზადებული, თუმცა იმ დღეს თავს მთლად კარგად ვერ ვგრძნობდი, და ბუნებრივია, იურისტთან შეხვედრა სულ არ მახარებდა.

მას შემდეგ, რაც მე ფიცი დავდე, რუტერფორდის ინსტიტუტის ადვოკატებმა სთხოვეს მოსამართლეს მიეღო „სექსუალურ ურთიერთობათა“ განსაზღვრება, რომლებიც მათ საგანგებოდ გამოჩხრიკეს ერთ-ერთ იურიდიულ დოკუმენტში. არსებითად მასში ლაპარაკი იყო სექსუალური კმაყოფილების ან აგზნების განცდის მიზნით ჩვენების მიმცემი პირის მიერ უფრო ინტიმურ კონტაქტზე, ვიდრე კოცნაა. საკითხის ამგვარი დაყენებისას მხედველობაში მხოლოდ ჩემი მოქმედებები და ფსიქოლოგიური მდგომარეობა მიიღებოდა და სულ არ ეწეოდა ანგარიში სხვა პირის მოქმედებას. ადვოკატის თქმით, ეს იმისთვის იყო საჭირო, რათა ჩემთვის კადნიერი კითხვები აერიდებინათ.

სხდომა რამდენიმე საათს გაგრძელდა, მაგრამ პოლა ჯონსს მათგან მხოლოდ ათი თუ თხუთმეტი წუთი დაეთმო. დანარჩენ დროს ისეთ თემებს ვიხილავდით, რომლებსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა ჯონსთან. მე მრავალი კითხვა დამისვეს მონიკა ლევინსკის შესახებ.


მონიკა ლევინსკისთან ერთად.

... ის, რასაც მე მონიკა ლევინსკისთან ვაკეთებდი, ამორალური და სულელური იყო. მე ძალიან მრცხვენოდა ამის და არ მინდოდა, რომ ეს გახმაურებულიყო. ჩვენებების მიცემისას მე ვცდილობდი ჩემი სულელური ეგოიზმისგან დამეცვა ჩემი ოჯახი და საკუთარი თავი. მიმაჩნდა, რომ „სექსუალურ ურთიერთობათა“ არეულ-დარეული განსაზღვრება ამის გაკეთების საშუალებას მომცემდა.

მე ვაგრძელებდი ჩემი სამუშაოს შესრულებას და ყველას ვუმალავდი იმას, რაც ხდებოდა: ჰილარის და ჩელსის, საკუთარ ადმინისტრაციას და კაბინეტს, მეგობრებს კონგრესში, პრესის წარმომადგენლებს და ამერიკელ ხალხს. საკუთარ საქციელზე რომ აღარაფერი ვთქვა, ყველაზე მეტად ამქვეყნად იმას ვნანობ, რომ ყველა ეს ადამიანი შეცდომაში შევიყვანე. რაღას არ მაბრალებდნენ, 1991 წლიდან მოყოლებული, თუმცა სინამდვილეში მე უაღრესად პატიოსანი ვიყავი ჩემს საჯარო ცხოვრებაშიც და ფინანსურ საქმეებშიც, რაც მიმდინარე გამოძიებამაც დაადასტურა. მაგრამ ამჯერად ჩემი პირადი სისუსტეები მე ყველას დავუმალე.

თავს საშინლად უხერხულად ვგრძნობდი და მინდოდა ცოლისთვისაც დამემალა ის, რაც ხდებოდა და შვილისთვისაც. არ მინდოდა კენ სტარს ჩემი პირადი ცხოვრების კრიმინალიზაციაში დავხმარებოდი, არ მინდოდა, რომ ამერიკელ ხალხს გაეგო, როგორ ვუღალატე მე მას. ყველაფერი ნამდვილი კოშმარი იყო. მე გაორება დამემართა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით...

NBC-ს პროგრამაში „დღეს“ ჩემი გამოსვლის დღეს ჰილარიმ განაცხადა, რომ არ სჯერა ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებებისა და რომ საქმე ეხება „ფართომასშტაბიან შეთქმულებას“, რომლის ორგანიზატორები 1992 წლიდან მოყოლებული, ცდილობენ ჩვენს განადგურებას. სტარი აღშფოთებული განცხადებით გამოვიდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ჰილარი ეჭვქვეშ აყენებდა მისი მოქმედების მოტივებს. თუმცა ჩემი ცოლი სავსებით მართალი იყო იმაში, რაც ჩვენზე თავდასხმების მიზეზებს ეხებოდა, მე გაუსაძლის სირცხვილს ვგრძნობდი ჩემი საქციელის გამო, როცა ვხედავდი, თუ როგორ ცდილობდა ის ჩემს დაცვას.

შაბათს, 15 აგვისტოს, საშინელი უძილო ღამის შემდეგ, როდესაც დიდი ჟიურის გამოსვლამდე სულ ცოტა დრო რჩებოდა, მე ჰილარი გავაღვიძე და ვუამბე მთელი სიმართლე იმის შესახებ, რაც ჩემსა და მონიკა ლევინსკის შორის მოხდა. ჰილარი თითქოს დარტყმისგან მოიკუნტაო. ისღა დამრჩენოდა პატიება მეთხოვნა და ამეხსნა, რომ მაშინ ძალა არ მყოფნიდა, ამის შესახებ ვინმესთვის მეამბნა, მისთვისაც კი. ვუთხარი, რომ მე ის მიყვარს, რომ არ მინდოდა ტკივილი მიმეყენებინა მისთვის და ჩელსისთვის, რომ მრცხვენია საკუთარი საქციელის, მაგრამ იძულებული ვიყავი, საიდუმლოდ შემენახა ყველაფერი, რადგან არ შემეძლო დამემცირებინა საკუთარი ოჯახი და შემესუსტებინა ჩემი, როგორც პრეზიდენტის პოზიციები. სიცრუისა და შეურაცხყოფების იმ ნიაღვრის შემდეგ, რომელიც ჩემი პრეზიდენტობის დაწყებიდან დაგვატყდა თავს, არ მინდოდა იანვარში ჩემ მიერ მოწმის სახით მიცემული ჩვენებებით გამოწვეული ისტერიის ზეგავლენით უკან დამეხია და პრეზიდენტის პოსტი დამეკარგა. ბოლომდე თავადაც არ მესმოდა, როგორ შემეძლო ასე ამორალურად და სულელურად მოვქცეულიყავი. ამის გასაცნობიერებლად მთელი თვეები დამჭირდა, რომელთა მანძილზე მე ჩვენი ურთიერთობების აღდგენას ვცდილობდი.

ვიმეორებ, მე ამ სიტყვის სრული გაგებით, პიროვნების გაორება დამემართა. არადა, ჩელსისთანაც უნდა მელაპარაკა. გარკვეული აზრით, ეს კიდევ უფრო ძნელი იყო. ადრე თუ გვიან ყველა ბავშვი იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ მისი მშობლები იდეალურები არ არიან, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ჩვეულებრივის ჩარჩოებს სცილდებოდა. მე თავს ყოველთვის კარგ მამად ვთვლიდი. საშუალო სკოლაში სწავლის ბოლო წლები და უნივერსიტეტის პირველი წელი ჩელსის ისედაც ჩამწარებული ჰქონდა მის მშობლებზე განუწყვეტელი თავდასხმების გამო. მე მარტო ჩვენი ქორწინების დარღვევა კი არ მაშინებდა, არამედ ქალიშვილის სიყვარულისა და პატივისცემის დაკარგვაც.

ორშაბათს, მას შემდეგ, რაც მომზადებას საკმაოდ დიდი დრო დავუთმე, ე. წ. გეოგრაფიული რუკების ოთახში ჩავედი, სადაც ოთხი საათის განმავლობაში კითხვებზე უნდა მეპასუხნა. დიდი ჟიური, რომელიც სასამართლოს შენობაში რჩებოდა, სპეციალურად გამოყოფილი საკაბელო ტელეარხით ადევნებდა თვალს დაკითხვას, სტარი და მისი გამომძიებლები კი, თავს არ იზოგავდნენ, ოღონდ კი ვიდეოჩანაწერი შინაური პორნოს მსგავს რამედ გადაექციათ. მათი კითხვები ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ დავემცირებინე, რომ ჩემდამი ზიზღი გამოეწვიათ, რათა აეძულებინათ კონგრესი და ამერიკელი ხალხი ჩემი გადადგომა მოეთხოვათ, მერე კი ბრალდება წაეყენებინათ ჩემთვის და სასამართლოში გადავეცი. სემუელ ჯონსონის მოსწრებული გამონათქვამის თანახმად, ისე არაფერი ააქტიურებს ტვინის მუშაობას, როგორც პირადი კრახის მოლოდინი. ჩემს შემთხვევაში კი საქმე ეხებოდა უფრო მეტს, ვიდრე ერთი ადამიანის ბედია.

წინასწარი შენიშვნების შემდეგ მოკლე განცხადების გაკეთების უფლება ვითხოვე. მე ვაღიარე, რომ „რამდენჯერმე 1996 წელს და ერთხელ 1997 წელს“, ჩავიდინე არაეთიკური საქციელი, რაც შეიცავდა უკადრის ინტიმურ კონტაქტებს მონიკა ლევინსკისთან, რომ მსგავსი საქციელი, თუმცა კი ამორალურია, ჩემს წარმოდგენაში არ ექვემდებარება „სექსუალური ურთიერთობის“ განსაზღვრებას, რომელიც მოსამართლე რაიტმა ადვოკატ ჯონსის თხოვნით მიიღო, რომ მე ვგრძნობ სრულ პასუხისმგებლობას ჩემს საქციელზე და მზად ვარ გულღიად ვუპასუხო კითხვებზე, მაგრამ უარს ვამბობ მომხდარის წვრილმანების განხილვაზე.

ვაღიარე, რომ მართლაც შეცდომაში შევიყვანე ყველა, ვინც ამ ამბის შესახებ მეკითხებოდა მას შემდეგ, რაც ის ამოტივტივდა. მე კვლავ და კვლავ ვიმეორებდი, რომ არასდროს არავისთვის მითხოვია იცრუეთ მეთქი. საბოლოო ჯამში ოთხწლიანი გამოძიება, რომელზეც 40 მილიონი დოლარი დაიხარჯა, დავიდა მცნებამდე — „სექსუალური ურთიერთობანი“.

მეორე დღეს ჩვენ შვებულებით გავემგზავრეთ კუნძულ მარტას-ვინიარდზე. ადრე მე დღეებს ვითვლიდი ხოლმე იმ მომენტამდე, თუ როდის შევძლებდით მთელი ოჯახით სადმე წასვლას. ამჯერად, თუმცა კი დასვენება გვჭირდებოდა, მე დღე და ღამე მუშაობას ვამჯობინებდი. ვერტმფრენისკენ რომ მივემართებოდით, — ჩელსი ჩვენს შორის მოაბიჯებდა, ბადი კი ჩემ გვერდით მოცუნცულებდა — ფოტოგრაფებმა გადაიღეს სურათები, რომლებზეც ჩანს ის ტკივილი, ჩემს ახლობლებს რომ მივაყენე. როგორც კი ფოტოგრაფები თვალს მიეფარნენ, ცოლსა და ქალიშვილს ხმაც აღარ გაუციათ ჩემთვის.

პირველი ორი დღე მე მხოლოდ იმით ვიყავი დაკავებული, რომ პატიებას ვითხოვდი და „ალ-ყაიდასთვის“ მისაყენებელ დარტყმებს ვგეგმავდი. ღამე ჰილარი საძინებელში მიდიოდა, მე კი ტახტზე ვწვებოდი.

ჩემი დაბადების დღეს მარტას-ვინიარდში სენდი ბერგერის აპარატის თანამშრომელი გენერალი სენდი ბერგერი ჩამოფრინდა, რათა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს და შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის მიერ დარტყმების მისაყენებლად რეკომენდებული ობიექტი გაეცნო ჩემთვის. ეს იყო „ალ-ყაიდას“ საწვრთნელი ბანაკები ავღანეთში და ორი სამიზნე სუდანში: ბენ ლადენის კუთვნილი ტყავის ქარხანა და ქიმიური ქარხანა, რომელიც დცს-ს მონაცემების თანახმად, ნერვულ-დამადამბლავებელი VX აირის საწარმოებლად საჭირო კომპონენტების შესანახად ან საწარმოებლად გამოიყენებოდა. ტყავის ქარხანა სამიზნეთა სიიდან ამოვიღე, ვინაიდან ის სამხედრო დანიშნულებისა არ იყო, მე კი სამოქალაქო მოსახლეობაში დანაკარგის შემცირება მინდოდა. ბანაკებზე დარტყმები მაშინ უნდა განხორციელებულიყო, როდესაც დაზვერვის მონაცემებით, ბენ ლადენი იქ თავისი ტერორისტული ქსელის ხელმძღვანელებთან შეხვედრას გეგმავდა. ღამის სამ საათზე სენდი ბერგერს ოპერაციის დაწყების საბოლოო ბრძანება მივეცი, ხოლო არაბეთის ზღვის ჩრდილო ნაწილში მყოფმა აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების ნაღმოსნებმა ავღანეთის სამიზნეების მიმართულებით ფრთოსანი რაკეტები გაუშვეს.

ამერიკელ ხალხს მოუხდა ერთდროულად გაეცნობიერებინა ცნობები სარაკეტო დარტყმებისა და დიდი ჟიურის წინაშე ჩემი ჩვენებების შესახებ. ჟურნალმა Newsweek-მა დაწერა, რომ საზოგადოების რეაქცია ჩემს ჩვენებებსა და სატელევიზიო მიმართვაზე „მშვიდი და აწონილ-დაწონილი იყო“. ჩემი, როგორც პრეზიდენტის მუშაობის მოწონების რეიტინგმა 62 პროცენტი შეადგინა, ამერიკელთა 73 პროცენტმა მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას სარაკეტო დარტყმების შესახებ. ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ პირად ცხოვრებაში მე უპატიოსნოდ ვიქცეოდი, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკის სფეროში კი სანდო ვარ. და, პირიქით, Newsweek-ის თქმით, „ექსპერტთა პირველი რეაქცია თითქმის ისტერიული იყო“. მათ მნიშვნელოვანი დარტყმები მომაყენეს. დიახ, ვეთანხმები იმას, რომ გაროზგვას ვიმსახურებდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მე გავიროზგე კიდეც — „შინ, ოჯახში, იქ, სადაც უნდა გავროზგილიყავი.

იმის იმედიღა უნდა მქონოდა, რომ პრესის ზეწოლა ვერ აიძულებდა დემოკრატებს ჩემი გადადგომა მოეთხოვათ და მე შევძლებდი გამომესყიდა დანაშაული ჩემი ოჯახის, ჩემი აპარატის, კაბინეტისა და იმ ადამიანების წინაშე, რომლებსაც სწამდათ ჩემი მთელი ეს ხანი, როცა განუწყვეტელი თავდასხმების საგანი ვიყავი.

ჩემი კაბინეტის წევრთა პატიოსანი და ძალზე განსხვავებული მოსაზრებები ძალიან დამეხმარა გამეგო, რაზე ლაპარაკობდნენ მაშინ მთელ ამერიკაში. ახლოვდებოდა იმპიჩმენტთან დაკავშირებული მოსმენების დრო, უამრავი წერილი მომდიოდა როგორც მეგობრებისგან, ისე უცნობი ადამიანებისგან. ზოგი თბილი სიტყვებით მიჭერდა მხარს და მამხნევებდა, სხვები საკუთარ შეცდომებზე მწერდნენ და მიყვებოდნენ, როგორ გამოასწორეს ისინი, ზოგი აღშფოთებას გამოთქვამდა სტარის საქციელის გამო. ისეთებიც იყვნენ, რომლებიც სასტიკად მკიცხავდნენ და მწერდნენ, რომ მე ისინი გავაწბილე. ბევრი ერთდროულად გამოხატავდა ყველა ამ ემოციას. წერილების კითხვა დამეხმარა საკუთარი განცდები მომეთოკა და შემეხსენებინა საკუთარი თავისთვის, რომ თუ შენდობის მიღება მინდა, თვითონაც უნდა შემეძლოს შენდობა.

რამდენიმე დღის შემდეგ მე და ჰილარიმ თეთრ სახლში ყოველწლიურ საუზმეზე ამერიკის რელიგიური ლიდერები მივიღეთ. საზოგადოდ, ჩვენ მათთან იმ საზოგადოებრივ პრობლემებზე ვმსჯელობდით ხოლმე, ამჯერად კი ვთხოვე მათ ელოცათ ჩემთვის, რადგანაც მძიმე გამოცდა მელოდა.

სამი პასტორი — ფილ უსმაგანი, ჩვენი მეთოდისტური ეკლესიის „ფაუნდრის“ მღვდელი, ჩემი მეგობარი ტონი კამპოლო და გორდონ მაკდონალდი, ჩემ მიერ წაკითხული რამდენიმე რელიგიური წიგნის ავტორი, — დამთანხმდა თვეში ერთხელ მაინც დავემოძღვრე. საერთოდ, ისინი ყველანი ერთად მოდიოდნენ ხოლმე თეთრ სახლში, ზოგჯერ კი ცალ-ცალკე. ჩვენ ერთად ვლოცულობდით, ვკითხულობდით წმიდა წერილს და ისეთ რამეებზე ვმსჯელობდით, რომელთა შესახებ ადრე არავისთან მილაპარაკია. კვლავაც ნიადაგ ჩამოდიოდა თეთრ სახლში ჩიკაგოდან

კლინტონების ოჯახი.

ღირსი ბილ ჰაიბელსი და გამუდმებით მისვამდა კითხვებს, რათა ჩემს „სულიერ სიჯანსაღეში“ დარწმუნებულიყო. მე და ჰილარიმ ოჯახური ურთიერთობების სპეციალისტ ფსიქოლოგთან დავიწყეთ კონსულტირება. მთელი წელი დავდიოდით მასთან კვირაში ერთხელ. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვლაპარაკობდი აშკარად ჩემს გრძნობებსა და განცხადებაზე. გამოვთქვამდი საკუთარ აზრს სიცოცხლეზე, სიყვარულზე და ადამიანურ ურთიერთობათა ბუნებაზე. ყველაფერმა როდი გამახარა იქიდან, რაც ჩემს შესახებ თუ ჩემი წარსულის შესახებ გავიგე და ძალზე მტკივნეული იყო იმის აღიარება, რომ ჩემი ბავშვობისა და შემდგომი ცხოვრების ზოგიერთი მოვლენის გამო ჩემთვის ხელმიუწვდომელი გახდა ბევრი ისეთი რამ, რაც სხვა ადამიანებს სრულიად ბუნებრივად ენიჭებოდათ.

მე ისიც გავაცნობიერე, რომ დაღლილობის, მრისხანებისა და მარტოობის შეგრძნების გამო უფრო ვღიზიანდებოდი, რის შედეგადაც შემეძლო ეგოისტურად მოვქცეულიყავი და ჩამედინა გამოუსწორებელი შეცდომები, რომელთა გამოც მერე შემრცხვებოდა კიდეც. სწორედ ის, რაც ახლა ხდებოდა, ბოლო რგოლად იქცა შეცდომების ჯაჭვში, რომლებსაც მე იმიტომ ვუშვებდი, რომ ერთგვარად ორი „პარალელური“ ცხოვრებით ვცხოვრობდი და ვცდილობდი ერთმანეთისგან გამეცალკევებინა ჩემს სულში მოთუხთუხე რისხვა და საჯარო ცხოვრებით გამოწვეული სასოწარკვეთილება, მე კი მიყვარდა სავსებით წარმატებული ეს ჩემი საჯარო ცხოვრება. მთავრობის მუშაობაში შესვენებების დროს მე ერთდროულად ორი მიმართულებით ვიბრძოდი: კონგრესთან ჩვენი ქვეყნის მომავლის საკითხებზე ვკამათობდი და იმავე დროს ვცდილობდი ჩემი მაცდუნებელი „დემონები“ მომეთოკა. საჯარო ბრძოლაში გავიმარჯვე, საკუთარ თავთან ბრძოლაში კი მარცხი განვიცადე, რის შედეგადაც მარტო ჩემს ოჯახს და ჩემს ადმინისტრაციას კი არ მივაყენე ზიანი, არამედ მთელ ამერიკელ ხალხსაც. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად მიჭირდა და როგორ სტრესს განვიცდიდი მაშინ, — მე სულის სიძლიერე უნდა გამომეჩინა და ამ მდგომარეობიდან ღირსეული გამოსავალი მეპოვა.

გამართლებას ვერ ვუძებნიდი იმას, რაც ჩავიდინე, მაგრამ იმის მცდელობა, რომ გამეგო, რატომ მოხდა ეს, იმის საშუალებას მაინც მაძლევდა, რომ ბოლოს და ბოლოს ჩემი ორი „პარალელური“ ცხოვრება გამეერთიანებინა.

კონსულტანტთან ხანგრძლივი საუბრების პროცესში და შემდგომი მსჯელობების დროს მე და ჰილარიმ შევძელით უკეთესად გაგვეცნო ერთმანეთი და სამუშაოს და იდეების ერთგულების გარდა, რომლებსაც ჩვენ დიდი ხანი იყო ვიზიარებდით, აგრეთვე ჩვენი ქალიშვილის სიყვარულის გარდა, ერთმანეთში ახალი წახნაგები აღმოგვეჩინა. ყოველთვის ძალიან მიყვარდა ჰილარი, მაგრამ ყოველთვის ვერ ვახერხებდი ამის გამოხატვას. მე მადლობელი ვიყავი ჰილარისი იმისთვის, რომ ფსიქოლოგთან სიარულზე დამთანხმდა. ჩვენ კვლავაც საუკეთესო მეგობრებად ვრჩებოდით და იმედი მქონდა, რომ ოჯახის შენარჩუნებას შევძლებდით.

ამ დროს მე ჯერ ისევ ტახტზე მეძინა, ჩვენი საძინებლის მეზობელ სასტუმრო ოთახში. ასე გრძელდებოდა ორ თვეს, ან შეიძლება მეტ ხანს. მე ბევრს ვკითხულობდი, ვფიქრობდი და ვმუშაობდი, ტახტიც საკმაოდ მოხერხებული იყო, მაგრამ იმედი მქონდა, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლე არ მომიწევდა ცალკე ძილი.

... იმპიჩმენტთან დაკავშირებული ამბების შემდეგ ადამიანები ხშირად მეკითხებოდნენ, როგორ არ გავგიჟდი, ეს ყველაფერი რომ გამოვიარე და როგორ შევინარჩუნე მუშაობის უნარი. მე ამას ვერ მივაღწევდი თეთრი სახლისა და ჩემი კაბინეტის თანამშრომლების გარეშე. იმათი ჩათვლით, ვინც აღშფოთებული იყო ჩემი საქციელით.

მეგობრებისა და უცნობი ადამიანების სიყვარული და მხარდაჭერა ძალიან დამეხმარა. ისინი, ვინც მე წერილებს მწერდა ან უბრალოდ შეხვედრებზე კეთილ სიტყვებს მეუბნებოდა, ვერც კი ხვდებიან, რაოდენ ბევრი გააკეთეს ჩემთვის. მაგრამ ყველაზე მთავარი, რამაც გადამარჩინა, ახლობლების, კერძოდ, ჰილარის ძმებისა და ჩემი ძმის მხარდაჭერა იყო. როჯერი ხუმრობდა, როგორც იქნა იმას ვეღირსე, რომ პრობლემები შენც გაგიჩნდაო. ჰიუ ყოველ კვირას ჩამოდიოდა თვითმფრინავით მაიამიდან, ვთამაშობდით „ერუდიტს“, ვლაპარაკობდით სპორტზე, ის ყველანაირად ცდილობდა გავემხიარულებინე. ტონი ჩვენს საოჯახო ბანქოს თამაშში მონაწილეობის მისაღებად ჩამოდიოდა ხოლმე. ძველებურადვე შესანიშნავად მექცეოდნენ ჩემი სიდედრი და დიკ კელი.

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენს ქალიშვილს ძველებურად ვუყვარდი, ჩელსი ძველებურადვე მისურვებდა გამარჯვებებს. მე ყოველთვის მიყვარდა მისი სიცილი და მთელი ამ აბსურდის მიუხედავად, ჩვენ ისევ ვისწავლეთ სიცილი: სიახლოვის დაბრუნებაში ფსიქოლოგთან ყოველდღიური კონსულტაციები და მემარჯვენეთა შეთქმულებასთან ბრძოლისთვის საერთო შემართება დაგვეხმარა. ლამის მადლობელი ვიყავი ჩემი მწვალებლებისა. გამოდის, რომ სწორედ მათი წყალობით, ჰილარი კვლავაც კარგად განეწყო ჩემს მიმართ. მე ტახტზეც კი აღარ მძინავს...

პრობლემა

სასუქი — სოფლის მოსაღონიერებლად და არა მავანთა გასასუქებლად

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების აზოტიანი სასუქებით გამოკვების ოპტიმალური ვადები დამდგარია. განსაკუთრებით ინტენსიური მოთხოვნილებაა დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურისათვის.

ამ რეგიონში ჭირვეული გაზაფხულის და ხშირი წვიმების გამო თესვის ვადებმა გადაიწია. ზევრგან სიმინდის ნათესები უკვე 3-5 ფოთლის ფაზაში და კარგ მდგომარეობაშია. მაგრამ 15 ივნისიდან მათ უკვე აზოტიანი სასუქით გამოკვება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მცენარის განვითარება შეჩერდება, რაც მოსავლიანობაზე სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს.

ერთი შეხედვით არავითარი პრობლემა არ უნდა იყოს. აზოტიანი სასუქი, გამოკვებისათვის საჭირო ამონიუმის გვარჯილა ადგილობრივი წარმოებისაა (რუსთავში) და მისი ფერმერებამდე მიტანა დიდი სირთულე არ უნდა იყოს.

მაგრამ ქვეყანაში მოუწესრიგებელია სადისტრიბუციო ქსელი, სააქციო საზოგადოება „აზოტიდან“ სასუქების გატანა ხდება კერძო მოვაჭრეების მიერ, რომელთაც იგი გააქვთ რაიონებში და იქ იყიდება ძალზე ძვირად. ერთი 50 კგ-იანი ტომარა სულ მცირე 18-19 ლარს და არის პერიოდები, იგი 20-22 ლარსაც აღწევს, მაშინ როდესაც ქარხანაში ერთი ტომრის ღირებულება შეადგენს 13,50 ლარს, ხოლო ვაგონით ჩატანილი დასავლეთ საქართველოს ყველაზე შორს მანძილზე – 14,75 ლარს. 5,25-დან 7,25 ლარამდე თითოეულ ტომარაზე ემატება მოვაჭრეების მიერ, რაც ძალზე ძვირია და ფერმერები, გლეხები მას ვერ იძენენ. ათასობით ჰექტარი ფართობი რჩება სასუქის გარეშე. შედეგი სავალალოა – ძალზე მცირე მოსავალი, რომელიც მის მოვლამოყვანაზე გაწეულ ხარჯებსაც კი ვერ ანაზღაურებს.

ქვეყანაში არსებული საკმაოდ გამართული „საქსოფლქიმიის“ სისტემა თავისი საწყობებით, რკინიგზის ჩიხებით, ავტოტრანსპორტით, პრივატიზებული იქნა ნულოვანი აუქციონის წესით და იგი დღეისათვის მთლიანად მოშლილი და დანგრეულია.

კერძო მოვაჭრეების მიერ სასუქების შეძენა რუსთავის „აზოტში“ და მისი რაიონებში რეალიზაცია არათანმიმდევრულ და სტიქიურ ხასიათს ატარებს, რომლის იმედითაც ფერმერები და გლეხები ვერ იქნებიან.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი გზა აზოტიანი სასუქით მომარაგების სადისტრიბუციო ქსელის შექმნაა. ყველაზე უფრო მისაღები ფორმაა, თვითონ რუსთავის სს „აზოტმა“ რეგიონების მიხედვით შექმნას სარეალიზაციო ბაზები და მოახდინოს იქ სასუქების შეზიდვა და რეალიზაცია მისი გამოყენების პერიოდების შესაბამისად. თვითღირებულებისა და თავისი მოგების გათვალისწინებით განსაზღვროს სასუქის გასაყიდი ფასი ფერმერების შესაძლებლობების გათვალისწინებითაც.

არ გამოვრიცხავ, სასუქებით მოვაჭრე წარმატებულმა ავტორიტეტულმა კერძო ფირმამ მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი და ქვეყნის რეგიონების სასუქებით მომარაგება სტიქიურობიდან მიზანმიმართულ მოწესრიგებულ ფორმაში გადაიყვანოს. ამ საქმეში მათ ხელი სს „აზოტმა“ და სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა შეუწყონ.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ორივე მიმართულებით ახორციელებს მოლაპარაკებებს და შესაბამის საქმიანობას და ვფიქრობთ იგი დადებით შედეგს გამოიღებს. არ გამოვრიცხავთ რაიონული ხელმძღვანელების როლსაც ამ საქმეში. მათ შეუძლიათ რაიონში მომუშავე კერძო სტრუქტურებს შეუწყონ ხელი და დააინტერესონ სასუქების შემოტანასა და შეძლებისდაგვარად მისაღებ ფასებში რეალიზაციაში. ეს რაიონის სოფლის მეურნეობის აღმავლობის და მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი დიდი პირობა იქნება.

ირინა ცომაია,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურის უფროსი.

იბეჭდება ავტორის ხარჯით.

სს „საქართველოს საზღვაო ბანკი“ აცხადებს აუქციონს

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება ფერმისათვის განკუთვნილი დაუმთავრებელი შენობები, მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. კახაბერი. კერძოდ:

№	დასახელება	ფასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
1	საინკუბატორო შენობა (50 კვ. მ.)	5.940
2	სასაწყობო შენობა	5.171
3	ფრინველის სადგომი შენობები (511 კვ. მ.)	33.176
4	ფრინველების სადგომები	4.961
5	არმატურის ღობე (1800 კვ. მ.)	4.320
6	გარე ღობე მავთულბადის (552 კვ. მ)	1.150
7	ხის ღობე 1122 მეტრი	13.464
8	3-ფაზიანი ელექტროხაზი (270 მეტრი)	2.106
9	70 ცალი ნაძვის ხის ნარგავი	700
	ს უ ლ	70.988

აუქციონი ჩატარდება 2005 წლის 27 ივლისს, 12 საათზე სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ოფისში. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №60.
დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ (888 222) 7-73-38.

განცხადება

სააქციო საზოგადოება „ოკამის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სს-ის აქციონერებს სს-ის რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 12 ივლისს, დღის 15 საათზე კასპის რაიონის სოფ. ოკამში.

დღის წესრიგი:
1. საწესდებო კაპიტალის გაზრდა;
2. სხვადასხვა.

დირექცია.

განცხადება

სააქციო საზოგადოება „სასტუმრო ივერია“ 2005 წლის 5 აგვისტოს, 3 საათზე იწვევს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას.

დღის წესრიგი:
1. საზოგადოების ქონების გასხვისება;
2. „სილქ როუდ გრუპ ს.ა.ს“ მიერ აქციების შესყიდვის შესახებ;
3. სხვადასხვა.
მისამართი: ქ. თბილისი, ქიაჩელის, 2.

დირექცია.

კომპიუტერული ცენტრი „მეთეხი“ გთავაზობთ

წიგნების, გაზეთების, ჟურნალების, ავტორეფერატების, ბუკლეტების, პლაკატების, ცხრილების, ეტიკეტების, სავიზიტო ბარათების ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე დაკაბადონებას; ინფორმაციის ჩაწერას ლაზერულ (CD) დისკებზე, გრაფიკული გამოსახულებების, სურათების დამუშავებას.

ტელ: 48-52-05, 899 97-29-33 Email: metekhi_333@posta.ge

ვაიმე, ენავ!

მეტი ყურადღება გვმართებს

კრიმინალი, ნიშა, პატრონაჟი...

რასაკვირველია, მსგავსი შენიშვნები სხვა დროსაც და სხვებსაც გამოუთქვამთ; მე, უბრალოდ, თავი მოვუყარე რამდენიმე შეცდომას, რომლებიც უცხო სიტყვათა ხმარებისას მოსდით ხოლმე ტელეეკრანზე თუ პრესის ფურცლებზე (რადიოს, ჩემდა დასანანად, ვეღარ ვუსმენ). მოსდით იმიტომ, რომ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ ჩახედვა არ უნდათ, ან იშვიათად იხედებიან.

ახლა ყოველგვარ მოგზაურობას „ვოიაჟად“ მოიხსენიებენ. ფრანგული სიტყვა „ვოიაჟი“ მართლაც ნიშნავს „მოგზაურობას“, მაგრამ როგორც ლექსიკონი გვირჩევს, ირონიული ელფერი უნდა ახლდეს. მაგალითად, ერთი ჩვენი პარლამენტარი ქალბატონის ვოიაჟები სტრასბურგში – იქ ისე ხშირად „ჩარბის“, თითქოს სტრასბურგი ავჭალა იყოს... არადა, არავინ იცის, რა სახსრებით „ვოიაჟობს“, ან ისეთს რას მიკეთებს... ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ აფხაზი თუ ოსი სეპარატისტების არცთუ იშვიათ ვოიაჟებზე მოსკოვში და ასე შემდეგ.

რამდენჯერ თქმულა და დაწერილა, რომ „კამპანია“ სხვაა და „კომპანია“ სხვა, მაგრამ მათი აღრევა გრძელდება, ისევე, როგორც „მასიურისა“ და „მასობრივისა“. თანაც, გრძელდება ხელისუფალთა მაღალ ეშელონებშიც, სადაც, საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღების ფოკუსში მყოფნი, მეტყველებას გამორჩეული პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ... ტელეჟურნალისტი რომ „მასიურს“ იტყვის იქ, სადაც „მასობრივია“ სათქმელი, იმას ეთერში რა უნდა (ნეტავ, ტელეჟურნალისტებს უარესი არ მოსდიოდეთ და ამას კიდევ გავუძლებდითო, იფიქრებს აქ მკითხველი და მართალიც იქნება...)!

„ის თბილისის კოლორიტი გახლდათ“ – ასე გვიხასიათებენ ცნობილ მსახიობს ტელეეკრანიდან. მეორე, საგაზეთო რუბრიკაც შემხვედრია – „კოლორიტები“. სწორია იტალიური სიტყვის ასე მოხმობა ადამიანის, ცოცხალი პირის შემთხვევაში? სხვა არის „კოლორიტული პიროვნება“, მაგრამ ადამიანი-კოლორიტი? მეეჭვება...

ასეთივე სიტუაცია შეიქმნა „კრიმინალის“ გარშემო. „სამინისტროში კრიმინალებმა მოიკალათეს“... არ შეიძლება „კრიმინალი“ ვუწოდოთ დამნაშავეს, როგორც ამას ამჟამად მასობრივად შვრებიან – იმიტომ, რომ ლათინურიდან მოსული ეს სიტყვა ნიშნავს სისხლის სამართლის დანაშაულს და კაცს არ უნდა მივუსადაგოთ (სხვა საქმეა „კრიმინალური ელემენტი“ ან, მრავლობითში, „კრიმინალური ელემენტები“)!

სიტყვებსა და გამოთქმებსაც სჩვევიათ მოდურობა. ახლა ერთობ მოდური გახდა „კომპრომატი“, „ნიშა“ და „ფორმატი“ (ეგებ სხვებიც).

„კომპრომატი“ და მრავლობითში, „კომპრომატები“ რუსულიდან „ვიჩუქეთ“ (Компрометирующий материал – აქედან რუსული აბრევიატურა компромат და მრავლობითში компроматы). იშვიათად გაიგონებთ ქართულად სწორად და „გაშლილად“ წარმოთქმულ „მაკომპრომეტირებელ მასალასა“ თუ „მაკომპრომეტირებელ მასალებს“. არ ვიცი, ეგებ დიდი ცოდვა არც იყოს ქარგონად „კომპრომატის“ დატოვება (ხომ შევიგუეთ რუსული „ბოევიკი“ და „ბოევიკები“), მაგრამ გავბედავდი, თუ კომიკურად არ გაისმის, ქართული აბრევიატურის შემოთავაზებასაც – მაკომასა (მრავლობითში, მაკომასები; აქვე სათქმელად, ფეხმოკიდებული „სპეცნაზისა“) და „სპეცნაზელების“ მაგიერ ეგებ „სპეცდანი“ – სპეციალური დანიშნულების და „სპეცდანელები“ მოგვეხმო...).

ფრანგულიდან ნასესხები „ნიში“ (და არა „ნიშა“!) კედელში შეღრმავებულ სათავსს ნიშნავს. მოდური იმით გახდა, რომ ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად, „ქუთაისში მაღალი თანამდებობიდან განთავისუფლებულს ნიშა თბილისში დახვდა“. ოღონდ, ვიმეორებ, „ნიშა“ კი არა, „ნიში“. ნიშა რუსულად ითქმის, ქართულში კი „Ниша“, თუ არ ვცდები, ხარის სახელი უნდა იყოს (ეგებ ძროხისაც...).

„ფორმატს“ რაც შეეხება, მისი უსწოროდ ხმარებაც გახშირდა: „პრეზიდენტები შემდეგი შეხვედრის ფორმატზე შეთანხმდნენ“, ან „იმსჯელეს მომავალი სამიტის ადგილსა და ფორმატზე“. ამ დროს, ლექსიკონის მიხედვით, გერმანული „ფორმატი“ ყოფილა წიგნის, ფურცლის, ბარათის ზომა, ან სტრიქონის სიგრძე, ან ანაწყობის სიგრძე და სიმაღლე. მკითხველმა განსაჯოს, შეეფერება თუ არა „ფორმატი“ ამ ორ მაგალითში გამოთქმულ აზრს. ცხადია, ორივეგან „ფორმა“ უნდა იყოს (შევნიშნავ, რომ „ფორმატის“ მცდარი ხმარება რუსეთულ ტელეარხებსაც წასცდებათ ხოლმე).

პირდაპირ ყბადასაღები გახდა „ცივილურის“ თქმა იქ, სადაც „ცივილიზებულია“ საჭირო (კვლავ „საყოველთაო“ მასშტაბებით – მინისტრებიან-დეპუტატებიან-ჟურნალისტებიანა). „ცივილური“ განმარტებით არის არასამხედრო, სამოქალაქო და უფრო ტანისამოსთან უნდა იყოს „შეწყვილებული“: „ჩვენი თავდაცვის მინისტრი, ჩვეულებრივ, ცივილური ტანსაცმლით დადის“. ასე რომ, სახელმწიფოებს შორის ცივილურ ურთიერთობებზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ ცივილიზებულზე!

ბევრ ჟურნალისტს „ოფიციოზი“ ჰგონია მთავრობის, ხელისუფლების იდენტური, შემცვლელი ცნება და ასეთი გაგებით იყენებს კიდევაც. არადა, ლექსიკონი მკაფიოდ განგვიმარტავს, რომ ოფიციოზი არის ოფიციოზური ბეჭდვითი ორგანო, რომელიც მთავრობისად არ ითვლება, მაგრამ მის თვალსაზრისს გამოხატავს; ხოლო თუ გერმანული „ოფიციოზურიც“ დაგვაინტერესებს, ვნახავთ, რომ ის ნიშნავს ფორმალურად მთავრობისაგან დამოუკიდებელ, მაგრამ სინამდვილეში მისი თვალსაზრისის გამომხატველს. ასე რომ, იმ „ბევრმა ჟურნალისტმა“ უნდა დათმოს საკუთარ ლექსიკაში ოფიციოზი, როგორც მთავრობა ან ხელისუფლება.

ცოტა „ჩახლართულად“ არის საქმე „ტყუპის“ – პარონიმების „პატრონაჟისა“ და „პატრონატის“ შემთხვევაში. აქაც, კამპანია-კომპანიისა არ იყოს, განსხვავება ერთ ასოშია, მაგრამ ეს საკმარისია მათი არსებითი შინაარსობრივი განსხვავებისათვის. ეშლებათ კი ის, რომ სადაც „პატრონატია“ სათქმელი, იქ „პატრონაჟს“ ამბობენ. ჩემდა გასაკვირად, ასეთი შეცდომა მოუვიდა ცნობილ ენათმეცნიერსა და ტერმინოლოგს, უცხო ენების მცოდნეს – ერთხელ აკადემიის საერთო კრებაზე(!), მეორედ – ტელეეკრანიდან; და კიდევ: ერთხანს ეკრანზე „ატრიალებდნენ“ ტელეგანცხადებას – ესა და ეს ფესტივალი პირველი ლედის პატრონაჟით გაიმართებაო.

საქმე ის არის, რომ როგორც ენათმეცნიერის გამოსვლაში, ისე ტელეგანცხადებაში მფარველობის მომენტი იგულისხმებოდა და ამიტომ უნდა ეხმარათ „პატრონატი“! „პატრონაჟი“ კი სულ სხვა „ოპერიდანაა“ – ნიშნავს ავადმყოფებისა და ბავშვების ორგანიზებულ სამედიცინო მომსახურებას შინ, ოჯახის პირობებში!

... უცნობ მკითხველს ნუ შეექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ წერილის ავტორს უცხო ენების ცოდნა თავზე გადასდის... უბრალოდ, ლექსიკონების მჯერა, პატივისმცემელი ვარ და იქ ხშირად ვიხედები (რასაც სხვებსაც ვურჩევ, პირველ რიგში ეგზომ მომრავლებულ და ზედმეტად თავდაჯერებულ ახალგაზრდა ტელეჟურნალისტებს). გარდა ამისა, ჟურნალისტიკაში მოკრძალებულმა, მაგრამ მრავალწლიანმა საქმიანობამ თვალი და ყური „გამიფაქიზა“, სწორმეტყველებისათვის „ჩასაფრებული“ გამხადა და რაღაც დაკვირვებები დამიგროვა. იმედი გვაქვს, დაინტერესებული მკითხველი ერთგვარ სარგებლობას ნახავს წინამდებარე პუბლიკაციაში.

თამაზ ეზანიძე.

ფორუმის წინ

აგრარულიდან იტალიაში

2-9 ივლისს ვენეციიდან 80 კილომეტრით დაცილებული პატარა საზღვაო კურორტი იულიანო ევროპის VIII ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს, სადაც საქართველოდან სპორტის 5 სახეობის 31 წარმომადგენელი იასპარეზებს. უწინ ანალოგიურ ფორუმებში ჩვენი ქვეყნის 150-მა ათლეტმა სცადა ძალა და შთამბეჭდავი მონაგარიც შექმნა – 31 მედალი (9-9 „ოქრო“ და „ვერცხლი“, 13 „ბრინჯაო“). აღსანიშნავია, რომ 31-დან 28 (!) ჯილდო ძიუდოისტებმა მოიპოვეს, თუმცა ტკბილად გასახსენებელი ყმაწვილ ფეხბურთელთა მიღწევაც გახლავთ – 1997 წელს ვახტანგ კოპალეიშვილის გაწვრთნილი გუნდი პორტუგალიიდან გამარჯვებული დაგვიბრუნდა.

მომავალ კომპლექსურ ბატალიებში ტყავის ბურთის ქართველი ოსტატები მესამედ მიიღებენ მონაწილეობას. ჭაბუკ „ჯვაროსანთა“ საიტალიო სამზადისს მიეძღვნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის, გუნდის მწვრთნელების – კობა ჟორჟიკაშვილისა და ლევან მელიქიას, აგრეთვე ქართული მისიის თავკაცის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტული მენეჯერის კოტე ღლონტის პრესკონფერენცია, რომელიც აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ სფფ-ს მომზადების ცენტრ „ბასაში“ მოეწყო.

როგორც შევიტყვეთ, სფფ-ს სათავეში განხორციელებული საკადრო ცვლილებების გამო საქართველოს ნაკრებს „ექსპრომტად“ მოუწია დაკომპლექტება და მხოლოდ ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას უნდა დასჯერდეს, ამიტომ უპირველესი აქცენტი ბიჭების ფსიქოლოგიურ შედუღაბებაზე კეთდება. ამ მიზნით ისინი უკვე იმყოფებოდნენ ეროვნულ მუზეუმში, აპენინებზე გამგზავრებამდე კი ერთი-ერთ თეატრსაც ეწვევიან. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული ნაკრების ბაზაზე ოფლისღვრა და ეროვნული ნაკრების ავტობუსის მომსახურება, – აღნიშნეს ორატორებმა. სფფ-ს თავკაცმა ისიც დასძინა, რომ გუნდს, ისევე როგორც მომავალი ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე ყველა კლუბს, საჩუქრად ფედერაციის ძველი ხელმძღვანელობის მიერ ფიფა-დან შეძენილი ფირმა „ტრამონდის“ 20 გუნდი გადაეცა საჩუქრად.

– ადრეც მიმუშავია ჭაბუკთა ეროვნულ ნაკრებებში. თამამად ვაცხადებ, რომ ყურადღებისა და პირობების მხრივ ვითარება უკეთესობისკენ კარდინალურად შეიცვალა და ახალმა სიომ დაუბერა ქართულ ფეხბურთში – ეს გუნდის მთავარი მწვრთნელის კობა ჟორჟიკაშვილის საგულისხმო სიტყვებია. შეკრებილებმა მადლიერებით მოიხსენიეს სეოკის და „დინამოს“ ძიძის საწვრთნელი ბაზის მესვეურებიც.

გაუწყებთ, რომ ჩვენს გუნდში 1988 წელს დაბადებული 10 და 1989 წელს დაბადებული 6 ფეხბურთელია. აი, მისი შემადგენლობა:

მეკარეები: თედორაძე, დაუთაშვილი.

მცველები: ხუმარაშვილი, თომაშვილი, ხიდეშელი, გვაძაბია, შარანგია, ელბაქიძე;

ნახევარმცველები: ბენაშვილი, დაუშვილი, გოგოხია, ბჟალავა, ნიკოლაიშვილი, ძარია.

თავდამსხმელები: ჯანელიძე, ლაფერაშვილი, წინამძღვრიშვილი.

დავძენთ, რომ ქვეჯგუფში ქართველთა მეტოქეები შვეიცარიელები და ლატვიელები იქნებიან, დელეგაციაში კი მსაჯი ლაშა სილაგავაც არის შეყვანილი.

გია პლატონიშვილი

ფეხბურთი

არც ერთი იყო იაპონელი...

რა ადვილი ყოფილა ბრაზილიასთან ქულის აღება – საამისოდ საკმარისია მწვრთნელიც ბრაზილიელი გყავდეს – ამ შემთხვევაში ზიკო – და ძირითადი შემადგენლობის ერთი წევრიც „ყავის ქვეყნის“ შვილი იყოს, თუნდაც ნატურალიზებული – სანტოსი.

იაპონიის ნაკრებზე მოგახსენებთ, რომელიც ჯიუტად იმკვიდრებს ადგილს საფეხბურთო ელიტაში – მარტო განვლილ „მუნდიალზე“ ნაჩვენები თამაშის ხარისხის გახსენება, ვფიქრობთ, დაგარწმუნებთ ნათქვამის საფუძვლიანობაში. მართალია, აზიელები კონფედერაციათა თასის გათამაშებას ჯგუფური რაუნდის შემდეგ გამოეთიშნენ, მაგრამ კაცს ენა არ მოგიბრუნდება მათ გასაკრიტიკებლად – გუნდი რომ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს ორჯერ გაუთანაბრებს ანგარიშს, დაგვეთანხმებით, პატივისცემას იმსახურებს.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს სამხრეთამერიკელები უკვე ჩამოსაწერად გვყავდეს განწირულნი – კაფუს, რობერტო კარლოსისა და რონალდოს არყოფნის მიუხედავად, პენტერიერას შეგირდები ყველასათვის მრისხანე მეტოქედ რჩებიან. აქ, უბრალოდ, ლოკალურ ჩავარდნაზეა საუბარი, რომელიც მომქანცველი სეზონის შემდეგ სრულიადაც არაა გასაკვირი. დავძენთ, რომ „ამომავალი მზის ქვეყნის“ წარმომადგენელთა წინააღმდეგ არც მეკარე დიდას უთამაშია.

კონფედერაციათა თასის გათამაშება. „ბ“ ჯგუფი. III ტური.

ბრაზილია-იაპონია 2:2. გოლები: რობინიო, რონალდინიო, ნაკამურა, ოგურო.

მექსიკა – საბერძნეთი 0:0.

მექსიკა – 7, ბრაზილია, იაპონია – 4-4, საბერძნეთი – 1 ქულა.

ნახევარფინალში ითამაშებენ: გერმანია-ბრაზილია, არგენტინა – მექსიკა.

მემორიალი

გვახსოვხარ, ლასტაქარო!

სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებათა 11 გუნდი მონაწილეობდა ქართული სპორტული მედიცინის პატრიარქის ზაქარია თელიას II მემორიალში, რომელიც სახელგანთქმული დასტაქრის დაბადების დღეს მიეძღვნა. ასტაქრის დაბადების დღეს მიეძღვნა.

პარეზობის ორგანიზატორებმა – ქვეყნის სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა (თავმჯდომარე – იროდი ბეჟაშვილი), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა (რექტორი – ბატონი ზაქარიას ვაჟი, პროფესორი დავით თელია) და მასპინძელმა – სპორტკომპლექსმა „ქარიშხალამ“ (დირექტორი – კახა დევდარიანი) ჩინებულ ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი – ამიერიდან ანალოგიური ტურნირები ყოველწლიურად გაიმართება და ზაქარია თელიას დაბადების დღეზე დაიწყება. ახლა კი გაგაცნობთ ჩემპიონსა და პრიზიორებს.

ფინალი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (მთავარი მწვრთნელი – მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე ვახტანგ ბაქანიძე) – ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის საავადმყოფო 3:1.

მატჩი III ადგილისათვის. ქალაქის I საავადმყოფო – ჯანდაცვისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტრო 6:4.

როგორც ყოველთვის, მემორიალის საუკეთესო მოთამაშეთა ოსტატობა პრიზებითა და სამახსოვრო საჩუქრებით აღინიშნა. მათი მფლობელნი გახდნენ ლუხუმ ჭანტურია, ზაზა სოფრომაძე, ცოტნე გახოკიძე, კოტე ოჩიგავა, გია აზმაიფარაშვილი, ლადო გაბაშვილი, ელგუჯა ლონლაძე და ვახტანგ ბაქანიძე.

გია რაჭველიშვილი.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

კალათბურთი

ჩვენი ამბიციები საფუძვლიანია

კიევიდან სამშობლოში დაბრუნებულმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებმა – ნუგზარ კანდელაკმა და დავით უსტიაშვილმა, გუნდის წევრების – დავით საყვარელიძისა და დავით ერქვანიას მონაწილეობით კაფე „მსოფლიო სპორტში“ პრესკონფერენცია მოიწვიეს და საუბარი არასასიამოვნო ფაქტით დაიწყეს – ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე ბულგარეთში „ჯვაროსნები“ ერთ-ერთი ლიდერის მანუჩარ მარკოიშვილის გარეშე იასპარეზებენ. როგორც გაირკვა, ლიუბლიანას „ოლიმპიას“ ქართველ ლეგიონერს სლოვენიის ჩემპიონატის ფინალური მატჩები, რომლებიც ვლადიმერ ბოისასთან ერთად ტრიუმფით დაასრულა, გამაყუჩებელი ნემსების დახმარებით უთამაშია და ტრავმა გამიზეზებია, რის გამოც ერთთვიანი დასვენება მოუწევს. რაც შეეხება უკრაინული ტურნეს პერიპეტიებს, დიალოგის დროს შევიტყვეთ შემდეგი:

– სასტარტო შეხვედრა სლავ თანატოლებთან დიდებულად დავიწყეთ, პირველ ნახევარში თერთმეტიდან ათი (!) სამქულიანი ჩავაგდეთ და ერთ ეპიზოდში 16 ქულითაც კი დავწინაურდით. მოგეხსენებათ, მოსამზადებელ პერიოდში მთავარი ბიჭების შეთამაშებაა და არა შედეგი, ამიტომ დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე რეზერვისტები შევუშვით და 9 ქულით დავმარცხდით. მეორე დღეს ავიარეისის გამო ერთბაშად ორი მატჩი დაგვინიშნეს, რამაც, ბუნებრივია, თავისი როლი ითამაშა მოვლენათა განვითარებაში. კერძოდ, თუ დილით უპრობლემოდ – 10 ქულით ვძლიეთ ერთი წლით უმცროს მასპინძლებს, საღამოს თანატოლებთან განმეორებით დუელში ძალები ბოლომდე არ გვეყო და 1 ქულით წავაგეთ. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში მე-6 წუთიდან ხელის ტრავმის გამო ცინცაძე გამოგვაკლდა, თანაც, ადგილობრივმა მსაჯმა პერსონალური შენიშვნებით დაგვბომბეს, რის გამოც 5-5 საჯარიმო ერთბაშად 5 ჩვენს კალათბურთელს დაუგროვდა, მათ შორის, საყვარელიძეს, ერქვანიასა და მდივანს. დაუმატეთ ყოველივეს უკრაინელთა გიგანტების უპირატესობა სიმაღლეში – მათ ღირსებას რამდენიმე 220 და 218-სანტიმეტრიანი ჭაბუკი იცავდა, მათ შორის ცნობილი ოსტატის – ფესენკოს ძმისწული და მიხედვით, როგორ მეტოქესთან გვქონდა საქმე. სწორედ მათთან ღირსეულად გამკლავება გვაფიქრებინებს, რომ მდიდარი პოტენციალი გაგვაჩნია და შეგვწევს უნარი, „ბ“-დან ევროპულ ელიტაში, „ა“ ჯგუფში გადავიდეთ.

* * *

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა – მოეწყო გაზეთ „მთავარი სპორტის“ ტრადიციული გამოკითხვის (ჟურნალისტები და მწვრთნელები) ლაურეატთა დაჯილდოება.

განვლილი სეზონის შედეგების მიხედვით საქართველოს საუკეთესო კალათბურთელი გახდა სტუ-ს სნაიპერი გიორგი მარკოიშვილი **(სურათზე ბურთით).** თსუ-ს ლიდერმა მიხეილ ფანჩულიძემ II ადგილი დაიკავა. მან 1 ქულით გაუსწრო პოლიტექნიკოსთა ვეტერანს რამაზ გოგობერიშვილს.

გია პლატონიშვილი.

ვერნისაჟი

რატომ იცნობენ ალექს ბერდიშევს საკუთარ ქვეყანაზე უკეთ უცხოეთში?

„ზეთის მხატვრობასთან, ქაღალდზე შესრულებულ ნამუშევრებსა და ციფრულ სახეებთან ჩემი ექსპერიმენტების საბოლოო შედეგის გამოცნობა ხშირად შეუძლებელია. მე ვქმნი მრავალ განსხვავებულ სამყაროს, რომელშიც მკაფიო და აბსტრაქტული საგნები რაიმე ფიზიკური თუ ლოგიკური ჩარჩოების მიღმა თანაარსებობენ და ურთიერთქმედებენ. ერთი მხრივ, ქაოსი და დეფორმაცია, მეორე მხრივ, მკაფიო ხაზები და ზუსტად წარმოსახული დეტალები ჩემი მხატვრობის მთავარი კონცეფციაა. ისინი, იმავდროულად, გამოხატავენ საგნის ფორმების შინაგანად უხილავ დაძაბულობას და დაუსაბამო ბრძოლას ურთიერთს შორის“. – თავისი შემოქმედებითი ესთეტიკა... ასეთი კონტექსტი დაურთო ახალგაზრდა მხატვარმა ალექს ბერდიშევმა თავის იმ სიურეალისტურ ფერწერას, რომელიც გალერეა „TMS“-ში გამოიფინა...

გალერეაში ალექსის ექსპერიმენტულ კომპოზიციებს საოცარი ინტერესით აკვირდება ცნობილი ფერმწერი **ჯოვანი ვეფხვაძე...** ვიდეოკამერით ის დამთვალიერებელთა რეაქციებს აფიქსირებს...

– ბატონო ჯოვანი, ვიდეოკამერით ხშირად დადიხართ ექსპოზიციებზე?

– არა, ხშირად არ დავდივარ... მარტო ალექსის გამოფენაზე, რადგანაც მისი ნამუშევრები ძალიან დიდი გემოვნებითაა შექმნილი და ძალიან მსიამოვნებს მათი გადაღება. ის ინტერნაციონალურ ფერწერას ქმნის... ეს ევროპული მხატვრობაა, მაგრამ აქ არის მსოფლიო მხატვრობის კომბინაცია. მე რეალისტი მხატვარი ვარ, მაგრამ მომწონს ალექსის სიურეალისტური ესთეტიკა. მომწონს, რადგანაც ეს ყოველივე შექმნილია ძალიან დიდი გემოვნებით და ძლიერი ტექნიკური შესრულებით. შეხედეთ, როგორი ფერის გრძნობა აქვს მხატვარს, როგორი დამჯდარი და ქღერადი ტონებია... ალექსი ხშირად მართავს ექსპოზიციებს ევროპის მთელ სივრცეში, ხშირად დადის შოტლანდიაში და ამიტომაც მაქს ბერდიშ ვეძახი მხატვართა წრეში.

...მიუხედავად იმისა, რომ ალექს ბერდიშევის შემოქმედებას მასშტაბურად წარმოაჩენს არაერთი სამხატვრო სალონი თუ გალერეა, ჩვენგან განსხვავებით, ახალგაზრდა მხატვრის ხელოვნებას გაცილებით უკეთ იცნობს მთელი ევროპა. ამ „ნიუანსზე“ წერს **ბრიტანული პრესა:**



„მხატვარი ალექს ბერდიშევი უჩვეულო მდგომარეობაში აღმოჩნდა – მას კარგად იცნობენ შოტლანდიაში, ნაკლებად – საკუთარ ქვეყანაში... შეიძლება ეს მიგრაციული პროცესების ბრალია, მაგრამ ხელოვნებას საზღვრები არ გააჩნია და მის შემოქმედებით იმპულსებს კარგად უნდა იცნობდეს მისი ქვეყანა. ეს განწყობილება კარგად ჩანს მის ნამუშევრებში – შოტლანდიურ პეიზაჟებს ასახავს მკვეთრ ფერებში, თბილისურ პეიზაჟებს ყვავისფერ ტონებში. ალექსის მდიდარი წარმოსახვის უნარი ერწყმის მის დახვეწილ ტექნიკას, რაც მას საშუალებას აძლევს შექმნას ამაღელვებელი შედევრები“...

გალერეა „TMS“-ში ალექს ბერდიშევის პერსონალური ექსპოზიცია მასმედიამ უყურადღებოდ დატოვა... სავარაუდოა, რომ ეს ფაქტი პროფესიული აზრის დეფიციტმაც განაპირობა. არცაა გასაკვირი, რადგანაც ოფიციალურ დონეზე ნამდვილ ხელოვნებას საკუთარი ინიციატივით ნაკლებად ეხმაურებიან, სამაგიეროდ ხშირად, დიდი აჟიოტაჟით ხვდებიან ანტიმხატვრულ გაუგებრობებს.

მზეხა მახარაძე

სურათებზე: ალექს ბერდიშევის ნამუშევრები..

სპორტულ ორბიტაზე

კალაძე „ჩელსიში“ არ მიდის?



დიახ, როგორც ჩანს, იტალიური „მილანის“ ქართველი ლეგიონერის კახი კალაძის ლონდონის „ჩელსიში“ გადასვლა არ შედგება. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ანდრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ „კალაძე „ჩელსიში“ არ გადავა, დიდი განსხვავებაა, იმათ შორის რაც ჩვენ გვინდა და რასაც „ჩელსის“ ხელმძღვანელობა გვთავაზობს“. შევნიშნავთ, რომ იტალიური კლუბის ხელმძღვანელობა კალაძეში 8 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. თუმცა ქართველ ფეხბურთელთან კონტრაქტს ვადა 2006 წელს გასდის. თანაც ამ დღეებში ლონდონელებმა კონტრაქტი გააფორმეს ესპანელ აისიერ დელ ორნოსთან, რომელიც კალაძესავით, მარცხენა მცველია.

მარადონა – კვლავ „ბოკა ხუნიორსში“

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა დიეგო მარადონა ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ დათანხმდა არგენტინის „ბოკა ხუნიორსში“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოსტის დაკავებაზე. ადრე მას ჭაბუკთა გუნდთან მუშაობას სთავაზობდნენ.

როგორც კლუბის პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ განაცხადა, მარადონა მონაწილეობას მიიღებს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების განხორციელებაში. მისი აზრი ერთ-ერთი მთავარი იქნება კლუბის ახალი მწვრთნელის შერჩევაშიც.

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჯერ კიდევ ბავშვობაში გულშემატკიერობდა „ბოკას“, ხოლო მის პროფესიულ კარიერაში იყო ორი პერიოდი, როდესაც ის ამ გუნდის სახელს იცავდა.

თურქებმა მწვრთნელი გაუშვეს

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენი მეტოქის – თურქეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერსუნ იანალი თანამდებობიდან დაითხოვეს ტურნირზე წარუმატებელი გამოსვლისთვის. მან ეს პოსტი დაიკავა 2004 წლის აპრილში, როდესაც ეროვნული ნაკრების მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა შენოლ გიუნეშმა დატოვა ეს თანამდებობა. შეგახსენებთ, რომ მაშინ თურქები ვერ მოხვდნენ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში, წააგეს რა პლეი-ოფის მატჩი ლატვიელებთან.

ახლა თურქეთის ნაკრები შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზეა და უკრაინას 7 ქულით ჩამორჩება.

ბოლო ხანებში იანალს მკაცრად აკრიტიკებდნენ თუნდაც იმიტომ, რომ გუნდში არ მიიწვია გამოცდილი ფორვარდი ხაკან შუქური.

თუკი სტრიპტიზი დაეხმარება

ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან იტალიის ჩემპიონატის A ჯგუფში გადასასვლელად ტურინის „ტორინომ“ შეპირაპირების მატჩები უნდა გამართოს „პერუჯასთან“. ამ ორთაბრძოლაში წარმატებისათვის ტურინელებმა ორიგინალური ქომაგი გაიჩინეს. თუკი იტალიურ პრესას დავუჯერებთ, ყოფილი პორნოვარსკვლავი ევა ჰენგერი აპირებს „ტორინოს“ გამარჯვების არასტანდარტულად აღნიშვნას.

როგორც თავად უნგრელმა მსახიობმა ქალმა განაცხადა – ის მზადაა ტურინელთა წარმატების აღსანიშნავად სტრიპტიზის საჩვენებლად. რაც მან ასე გამოხატა: „ახლა ტურინში ჩემს თეატრთან ერთად გასტროლებზე ვარ. ამ მოკლე დროში შემიყვარდა ეს ქალაქი. შევიტყვე აქაურ საფეხბურთო ვნებებზეც. ამიტომაც „ტორინოს“ A სერიაში გადასვლის შემთხვევაში მზად ვარ ჩემი წარსულის გასახსენებლად“.

თუმცა ჯერჯერობით უცნობია ჰენგერი ვისთვის აპირებს გაშიშვლებას. თანაც ასეთ დაპირებებში ის პირველი როდია, სულ ახლახან ასევე „იმუქრებოდა“ ტოტის ყოფილი „გულისვარდი“ მარია მაცცა, რომ დედიშობილად მოევლინებოდა გულშემატკივრებს, თუკი მისი საყვარელი „ნაპოლი“ A სერიაში დაბრუნდებოდა.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

სტალინგრადი. მამაის ყორღანი. მეგობრები (მარცხნიდან): ესმა რობიტაშვილი, მერი მათიაშვილი, თამარ ალადაშვილი, თამარ პაპუაშვილი და ნელი გობეჯიშვილი. 1974 წლის 9 მაისი.

მოგვაწოდა თამარ ალადაშვილმა.

გიხაროდენ!

სამოცდაექვსი ოჯახის სიხარული

ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი სურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს – ზრუნვა მომავალზე. ეს ასეც არის, ვინც თბილისის კლინიკური ცენტრის ივნისის თვის 22 დღის მონაცემებს გაეცნობა:



– 22 ივნისის ჩათვლით ჩვენთან 66 ბავშვი დაიბადა. უმრავლესობა პირველი შვილია, – გვაცნობა დედაქალაქის კლინიკური ცენტრის ადმინისტრატორმა ირინა მარღიშვილმა. ჩვენთან იმშობიარეს აგრეთვე დუშეთიდან, ნინოწმინდიდან, ხობიდან, ზესტაფონიდან, მარტვილიდან, სენაკიდან, ტყიბულიდან ჩამოყვანილმა ქალებმა. ახალშობილებს და მათ დედებს სამედიცინო პერსონალის ყურადღება არ მოკლებიათ.

თბილისის კლინიკური ცენტრის ადმინისტრატორმა ისიც გვაცნობა, რომ დედებმაც თითქოს პირი შეკრეს, განაცხადეს, ოჯახის ტრადიციას არ მოვშლით, ბავშვი ხომ ოჯახის სიხარულიაო!

ჭეშმარიტად!

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...

მივიდა ტიპი ექიმთან.

— რას უჩივით? — ეკითხებიან.

— მთავრობას.

* * *

ახალბედას პოლიციის უფროსი დაკითხავს:

— აბა, ყმაწვილო, იცი რა არის სიცრუის დეტექტორი?

— როგორ არა, ორი წელია, მასზე ვარ დაქორწინებული.

* * *

სახლში მისული ქმარი ცოლს საყვარელთან წაასწრებს. ცოლი შეშინებულია, ქმარი კი ღრიალებს:

— ოჰ, შე უნამუსო, ერთგულებას მეფიცებოდი, შენ კი ვიღაც კახპა ქალთან ატარებ დროს!..

* * *

კომპარტიაში შემსვლელებს ეკითხებოდნენ, რა სხვაობაა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. ერთმა არ იცოდა და, მიიღეს. მეორემ ცუდად იცოდა და, ერთი წლით გადაუვადეს მიღება. მესამემ იცოდა. მან სამი წელი მიიღო.

* * *

— თქვენ ისეთი ლამაზი და მომაჯადოებელი ხართ! სად არის ის პატარა დეფექტი, რომელზეც საქორწინო განცხადებაში წერდით?

— სად არის, სად არის... ჯერჯერობით სკოლაშია, მაგრამ მალე მოვა!

* * *

— სარა, შენზე ვერ დავქორწინდები!

— რატომ?

— ამბობენ, რომ ჩემამდე ბევრი მამაკაცი გყოლია.

— შენ რა, არ მოგწონს ჩემ მიერ მომზადებული სადილები?

— რას ამბობ, ასეთი გემრიელი რამ არასოდეს მიჭამია!

— იქნებ სახლის დალაგების უნარს მიწუნებ?

— პირიქით, ჩვენთან საოპერაციოზე მეტი სისუფთავეა!

— იქნებ სტუმრებს ვერ ცხვდები ჯეროვნად?

— ეს რამ გაფიქრებინა, ყველანი აღტაცებული არიან!

— მაშინ, იქნებ საწოლში არ ვვარგივარ?

— ამაზე საერთოდ არ ღირს ლაპარაკი, ამგვარ სიამოვნებაზე ვერც ვიოცნებებდი!

— ჰოდა, მაშინ შენ რა გგონია, ყველაფერი ეს დაუსწრებელ კურსებზე ვისწავლე?

სეზონის ბოლო საოპერო პრემიერა

3l jy gfcrefkt4 rfhubf7 vfuhfv mfhsekbw eylf udf[cjdltc

ახალი სპექტაკლი – ახალი თაობის საასპარეზო

სცენაზე თამაშდება კომედია – ბერბიჭა დონ პასკუალეს გაცუცურაკების ამბავი, რომელსაც იტალიელი კომპოზიტორის გაეტანო დონიცეტის ნათელ, ტემპერამენტულ კომიკურ ოპერებს შორის ყველაზე გამორჩეულად ოპერა – ბუფას სახე აქვს. სწორედ ამ ქმნილებაში გაცხადებულა ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი მხიარულება, ყოყლოჩინობა და კომპოზიტორის ნიჭიერების საუკეთესო თვისებები. მისი მუსიკალური ქსოვილის მყარ საფუძველს წარმოადგენს სასიმღერო და საცეკვაო ხასიათები, ყოფითი მუსიკის ინტონაცია და რიტმი.

ბუფისათვის ნიშანდობლივ ნაცნობ სიტუაციებში ნაცნობ პერსონაჟთა კომიკური სცენები შეფერილია ლირიკით, ალერსიანი, ნაზი ეპიზოდებით. ოპერა სავსეა ხალასი იუმორით, ირონიით, მელოდიურობითა და სიცოცხლით.

ამ მომხიბლავი თამაშის გმირებმა ახლახან ქართველი საზოგადოებრიობაც შეიქციეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც საოპერო დასმა წლევანდელი თეატრალური სეზონის ბოლო პრემიერად სწორედ „დონ პასკუალე" წარმოადგინა. ამჯერად ყველაზე არსებითი ის იყო, რომ როგორც სადადგმო ჯგუფს, ისე მონაწილეთა უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენენ.

სადადგმო ჯგუფს წარმოადგენენ: დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე, რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე, მხატვარი გიორგი ნადირაძე და ქორეოგრაფი ირაკლი შენგელია. მათგან – დირიჟორი, რეჟისორი და მხატვარი ჩვენი საოპერო თეატრის დებიუტანტები არიან. მართალია, გოგი ჭიჭინაძის, როგორც ნიჭიერი დირიჟორის საშემსრულებლო მოღვაწეობას უკვე კარგად იცნობს ქართველი მსმენელი, მაგრამ საოპერო სცენაზე ამჯერად პირველად წარმართა სპექტაკლი. თეატრის გაზრდილ და გადახალისებულ ორკესტრთან მუშაობაზე იგი იტყვის: საქართველოში ასეთი სიამოვნებით დიდი ხანია არ მიმუშავიაო.

ისე კი „დონ პასკუალე" სადადგმო ჯგუფმა ორიოდე წლის წინათ, თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში წარმოადგინა, ხოლო თეატრში გადმოტანა დირექციის სურვილით მოხდა. დიდმა სივრცემ, ბუნებრივია კორექტივები შეიტანა დადგმაში. იგი უფრო გამდიდრდა მიზანსცენებით, ზოგ ეპიზოდში ქორეოგრაფმა კლასიკური ცეკვების ელემენტებიც შეიტანა, დაიდგა დეკორაციები. რეჟისორი მას ფაქტობრივად ახალ დადგმად მიიჩნევს.

მართალია, სპექტაკლში გამოცდილი მომღერლებიც არიან ჩართულნი, მაგრამ ძირითადად იგი ახალბედა ვოკალისტების საასპარეზოდ იქცა. ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება კი ის არის, რომ მათ არა

მარტო ვოკალურად მოირგეს მთავარ გმირთა პარტიები, არამედ არტისტული თვალსაზრისითაც. ახალგაზრდებმა გაითავისეს სახეები და მაქსიმალურად შეეცადნენ გამოევლინათ საკუთარი ვოკალურ-ტექნიკური და სამსახიობო შესაძლებლობები.

ოთხმა საპრემიერო წარმოდგენამ ქართველ მსმენელს ხალისი შემატა და რაც მთავარია, იმედით განაწყო. გოჩა დათუსანი (დონ პასკუალე), ნიკოლოზ ლაგვილავა (მალატესტა), ნინო მაჩაიძე (ნორინა), გია მახარაძე (ერნესტო), აი ის ოთხეული, ვინც პირველი წარმოდგენის

პირველი საუკეთესო შთაბეჭდილება შექმნეს. შემდეგში მათ შეენაცვლნენ ნინო ჩაჩუა, ზაზა ხელაია, უკვე გამოცდილები ლევი იმედაშვილი, ბესიკ გაბიტაშვილი, ვანო გალუაშვილი, სულხან გველესიანი. თითოეულმა განსხვავებული, მაგრამ ინდივიდუალობით აღბეჭდილი საინტერესო სახეები ჩამოძერწეს.

საგულისხმოა, რომ თეატრმა ერთი წარმოდგენა საქველმოქმედო მისიით, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს უძღვნა.

შთაბეჭდილებას გვიზიარებს **მუსიკათმცოდნე რუსუდან ქუთათელაძე: „სიამოვნებით ვულოცავ საოპერო დასს ამ შემოქმედებით მიღწევას. სპექტაკლი მთლიანობაში ჩინებულია. გასახარია ახალგაზრდების ნიჭმა და შრომამ ასეთი ნაყოფი რომ გამოიღო. დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე მარჯვედ უძღვება, მტკიცე ხელით მართავს დინამიურსა და ვერცხლისწყალივით ცქრიალა სპექტაკლს. ერთიმეორეზე უკეთესნი არიან სოლისტები: ლაგვილავა, მაჩაიძე, დათუსანი, მახარაძე არა მარტო ვოკალურად, არამედ სცენურადაც. ჟესტი, მიმიკა სრულ თანხმიერობაშია პერსონაჟის ხასიათთან, შეიძლება ითქვას თითოეულ ნოტში აცოცხლებენ თავიანთ გმირებს და ეს მაშინ, როცა ვოკალური პარტია მათ მეტად რთული ამოცანების წინაშე აყენებს. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის რეჟისორს მაია გაჩეჩილაძეს, რომლის ნამუშევარი მახვილგონივრულია, იუმორით სავსეა. მოქმედება ვითარდება მიზანსწრაფულად, ტემპერამენტით, მჩქეფარედ. მიმის – მაჩალაძის პარტიასაც კი გამოვყოფდი. გუნდის და ქორეოგრაფის ნამუშევარმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ყველაზე „სუსტი რგოლია" მხატვრობა, მე ვიტყოდი, არაფრისმთქმელი. იგივე სცენოგრაფია სხვა სპექტაკლსაც იოლად მოერგებოდა.**

და ბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს: ვერდიც და დონიცეტიც, კი ბატონო, საოპერო ხელოვნების კორიფეები არიან, საუკუნეებია, რაც მსოფლიო ყურადღებით ანებივრებს. ჩვენ კი ქართულის ამაგი გვმართებს. მაშ თუ არა თეატრმა, ვინ უნდა იზრუნოს, „აბესალომის", „დაისის", „ქეთო და კოტეს", „მინდიას", „ლელას" ახლებურ დადგმაზე?.. ჩვენ უნდა შევძინოთ მათ დიდება და მსოფლიო სარბიელზე გავიტანოთ". მერწმუნეთ, ქართული მუსიკა ღირსებით დაუდგება გვერდით „აიდასაც", „დონ პასკუალესაც"...

ძნელია არ დაეთანხმო ამ აზრს: ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობა ელოდება განახლებულ ქართულ ოპერებს!

რუსუდან მუხიგულაშვილი

სურათებზე: სპექტაკლ „დონ პასკუალეს" სცენები.

ლევან ლომაძის ფოტო.

დაფასება

გოგებაშვილის მადლცხებულნი

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობის 2005 წლის 21 ივნისის დადგენილებით „პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისთვის" იაკობ გოგებაშვილის მედლით დაჯილდოვდნენ:

გიორგი გოგოლაშვილი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ძველი ქართული ენის კათედრის გამგე; **რუსუდან ლიპარტელიანი** – საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის დაწყებითი განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის მეთოდიკათა კათედრის დოცენტი; **გუგული აბდუშელიშვილი** – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის დაწყებითი განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის მეთოდიკათა კათედრის ლექტორი.

გულწრფელად ვულოცავთ ახალ ლაურეატებს პედაგოგიკის ურთულეს დარგში მიღწეულ წარმატებებს. განსაკუთრებით გვახარებს მეცნიერისა და პუბლიცისტის, ჟურნალ „ბურჯი ეროვნებისას" მთავარი რედაქტორის, ჩვენი გაზეთის აქტიური ავტორის ბატონ გიორგი გოგოლაშვილის აღიარება.

საკუთარი ინფორმაცია.

კონკურსი

ვკითხულობთ რუსთაველს

როგორც კი გორის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ გამოაცხადა „ვეფხისტყაოსნის" მოზეპირეთა კონკურსი – „ვკითხულობთ რუსთაველს" – რაიონის სკოლების 60-მდე მოსწავლე საკუთარ ცოდნასა და ძალებში დარწმუნებული, სასახლეში მივიდა და „ცეცხლის ხაზზე" დადგა.

კონკურსი ძალიან დაძაბული გამოდგა. იგი ყოველი მონაწილისგან ზეპირად „ვეფხისტყაოსნის" რაც შეიძლება მეტი სტროფის ცოდნას მოითხოვდა – ეს კონკურსის მთავარი პირობა იყო – პოემის საფუძვლიან ცოდნასთან ერთად.

ჟიურის სამსჯავროზე გამოვიდა ერთი ციდა მეორეკლასელი ქეთევან კუპრიაშვილი (გორის III საშუალო სკოლა, პედაგოგი ნანა თავზარაშვილი) და „ვეფხისტყაოსნის" 81 სტროფი ისე ჩაარაკრაკა, ერთხელაც არ შეუსვენია.

პაწაწა გარეჯვარამდე გორიდან ათიოდე კილომეტრი თუ იქნება. აქაურ მესამეკლასელს თემურ ნონიკაშვილს სკოლაში უკვე საზეიმო პატივისცემით ეპყრობიან. სუმრობაა განა? თემური კონკურსზე მოვიდა, ნახა და გაიმარჯვა – „ვეფხისტყაოსნიდან" ზეპირად 130 სტროფი წაიკითხა! მადლობა უთხრეს მასაც და მის მასწავლებელს მზია ღონიჯაშვილსაც.

კიდევ უფრო დაძაბული ბრძოლა გაიმართა უფროს ასაკობრივ ჯგუფში. გორის VII საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ თეონა ქიქიაშვილმა იქ დამსწრენი განაცვიფრა, როცა ზეპირად პოემის 250 სტროფი წარმოთქვა, მისი მასწავლებელია მედეა სუხაშვილი. რეკორდი მაინც კარალეთელმა მერვეკლასელმა თამარ გოგიაშვილმა დაამყარა – 300 სტროფი!

მადლობა თამარს და მის მასწავლებელს დიანა ბალამწარაშვილს!

ჩვენ გამარჯვებულებზე გიამბეთ, მაგრამ საპრიზო ადგილებზე გასულებმაც ძალიან გამოიჩინეს თავი.

ჟიურიმ ყველა მათგანი შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

გურამ პავლიაშვილი.

ცხადდება კონკურსი

საუკეთესო ლექსზე და ბალადაზე 30 წლამდე ახალგაზრდებისთვის (ლექსების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს).

კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. 1 აგვისტოს გამოცხადდება 7 გამარჯვებული, ხოლო 7 აგვისტოს გაიმართება კონკურსის ფინალური ნაწილი დაბა წყნეთში, სადაც გამოვლინდებიან ორ ნომინაციაში (ლირიკა და ბალადა) გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდებიან ლაშა გახარიას და ნუგზარ ზერაძის (ლილინო ცახურის) სახელობის ფულადი პრემიებით, ხოლო დანარჩენი ხუთი გამარჯვებული დაჯილდოვდება ლაურეატის წოდებით და სამახსოვრო საჩუქრებით.

ლექსები გამოგვიგზავნეთ 25 ივნისიდან 20 ივლისამდე მისამართზე: კოსტავას ქ. № 14 (შესასვლელი ჭოველიძის ქუჩიდან).

გაზეთ „ნერგის" რედაქცია. ტელეფონი: 93-19-86; 899 366 925.

კონკურსის მხარდამჭერია გამომცემლობა „გლობალ-პრინტი".

საინფორმაციო მხარდამჭერები: გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა", „ასავალ-დასავალი", „თბილისი", „ლიტერატურა და ხელოვნება", „ასი მწერლის გაზეთი".

საორგანიზაციო კომიტეტი:
საპატიო თავმჯდომარე როზა ბერიკაშვილი.
„დიაოხი" – იკა ქადაგიძე.
„მაჯახელა" – ერეკლე სალლიანი.
ჟურნალისტთა კავშირის მდივანი და „ნერგის" რედაქტორი მარინა თექთუმანიძე.
დიმიტრი ყიფიანის საზოგადოება – ხათუნა გელოვანი.
„ქიმერიონი" – ვანო იბერი.

ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

ამინდი

24 ივნისი	☼	)
თბილისი	28°	17°
ბათუმი	23°	16°
თელავი	26°	14°
სოხუმი	22°	15°
ქუთაისი	23°	16°

ლარის კურსი

24 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლ. გირვ. სტერ.	1	3.3015 ლ.
აშშ დოლარი	1	1.8126 ლ.
ევრო	1	2.1925 ლ.
რუსული რუბლი	1	0.0633 ლ.
აზერბაიჯ. მან.	1000	0.3835 ლ.
სომხური დრამი	100	0.4079 ლ.
უკრაინული გრივ.	10	3.6036 ლ.

დღის კალენდარი 24 ივნისისთვის

წლის 175-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 190 დღე.

საეკლესიო კალენდარი

ხსენება წმიდა მოციქულთა ბართლომესი და ბარნაბასი (I), ღვთისმშობლის ხატისა „ღირს არს" (X).

დაიბადნენ:

1838 – იან მატეიკო, პოლონელი მხატვარი. გარდაიცვალა 1893 წელს.

1850 – ჰორაციო კიტჩენერი, ინგლისელი ფელდმარშალი, გრაფი. გარდაიცვალა 1916 წელს.

1913 – აკაკი სურგულაძე, ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. გარდაიცვალა 1991 წელს.

1915 – ფრედ ჰოილი, ინგლისელი ასტრონომი.

1954 – გიორგი გაჩეჩილაძე, საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე.

გარდაიცვალნენ:

1908 – სტივენ კლივლენდი, აშშ-ს 22-ე და 24-ე პრეზიდენტი.

1978 – მსტისლავ კელდიში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

მოვლენები:

1793 წელი – საფრანგეთის კონვენტმა მიიღო პირველი დემოკრატიული კონსტიტუცია.

1894 წელი – პარიზში კონგრესზე, რომელიც ბარონ პიერ დე კუბერტენის ინიციატივით იყო მოწვეული, მიიღეს გადაწყვეტილება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შექმნისა და ოლიმპიური თამაშების ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარების შესახებ.

1894 წელი – პარიზში გაიხსნა პიკასოს სურათების გამოფენა.

1920 წელი – საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ჟანა დ'არკის ხსენების დღის დაწესების შესახებ, რომელიც აღინიშნება მაისის მეორე კვირას.

ღირსსახსოვარი დღეები:

კანადა – იოანე ნათლისცემლის დღე, კვებეკის ეროვნული დღე.
პერუ – ინდიელების დღე
ვენესუელა – არმიის დღე
ჩუვაშეთი – სახელმწიფოებრიობის დღე.

მელიანიუსი.

მოსკოველი მეგობრები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ თენგო შამუგიას დედის

ლეილა ბასარია-შამუგიას

გარდაცვალების გამო.

ბახვა უბილავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი ადამიანის

ლეილა ბასარია-შამუგიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა საერთო ეროვნული შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ღვაწლმოსილი წარმომადგენელი, ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის მთავარი ადმინისტრატორი და ყოფილი სოლისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი

ემზარ ბაბელია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები ზურაბი, თენგიზი, მარინა, რძლები ნანა, ნესტანი, შვილიშვილები გურანდა, მირანდა, ალექსანდრე, ვლადიმერ, მარიამ გაბუნიები, ირაკლი, დიმა, ბუბა გოგინავები, დები მადლენა, იზო, ძმა ალეკო ქვანიები, რძალი მადონა ანდღულაძე, მული გული გაბუნია, სიძეები გურამ ჩიტაია, ბორის გოგინავა, მძახლები გენო, ლუდა აკობიძეები, ანზორ, მაგული კეკელიები იუწყებიან

სვეტლანა ვლადიმერის ასულ ქვანია-გაბუნიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 26, 27 VI, 17 სთ. დაკრძალვა 28 VI, 15 სთ. ვარკეთილის მე-4 მ/რ II რიგი, I კორპუსი. ბ. 71-72.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლებანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK